1	a	w	ɔ	<p>ანთროპონიმები</p> <p>Աշոտ - aʃot - აშოტ-ი, Արմեն - aɾmen - არმენ-ი Բაկულ - bakuλ ~ ბაკურ-ი Մինաս - minas - მინას-ი Անასիա - ananias - ანანია,</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Անի - ani - ანი (ანის-ი), Գառնի - garni - გარნი(გარ- ნის-ი), <b>Աղթամար - axt̥amaj ~ r -</b> აღთამარ-ი Տაթև - tath̥ev - ტათევ-ი</p>	<p>სომხური <b>Գառնի - garni</b> - გარნი, Անի - ani - ანი, <b>Բջնի - bdzni</b> - ბჯნი, <b>Օլეի - ol̥i</b> - ოლო შესატყვისად ქარ- თულში ტრადიცი- ულად დამკვიდრებუ- ლია გეოგრაფიული სახელების მანარმოე- ბელდართული ფორმე- ბი: გარნ-ის-ი, ან-ის-ი, ბიჯნ-ის-ი, ოლო-ის-ი.</p>
2	b	p	ö	<p>ანთროპონიმები</p> <p>Բարսեղ - bas ~ regh - ბარს- ეღ-ი, Բაգրაտ - bagr ~ rat - ბაგრატ-ი Աբգար - abgar ~ r - აბგარ-ი Աբրահაմ - abr ~ raham - აბრაჰამ-ი Բեկ-Հովհաննիան - bek-hovhannijan - ბეკ-ჰოვհაնნიან-ი Մելիքսեթ-Բեկ// Մելիքսեթ- <b>Բեկ - melikhseth ~ beg //</b> - melikhseth-bek - მელ- იქსეთ-ბეგ-ი//მელი- ქსეთ-ბეკ-ი</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Բաղեշ - bahej - ბაღეშ-ი Աբანა - abana - აბანა</p>	<p>- Բեգ//Բեկ-beg//bek - <b>ბეგ/ბეკ-ზე</b> დაწყებუ- ლი ან დაბოლოებული გვარები სომხურში დე- ფისით იწერება ხოლმე, თუმცა აღნიშნული ელ- ემენტი შეიძლება არც იყოს დეფისით გამოყო- ფილი</p> <p><b>Բեկնაզაրյան -</b> <b>beknazar ~ rjan -</b> <b>ბეკნაზარიან-ი</b></p>

	<b>IPA</b> (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
3	g	q	გ	<p>ანთროპონიმები</p> <p>Գրիգոრ - gr~igor~r -</p> <p>გრიგორ-ი</p> <p>Գուլգեს - gu~ges -</p> <p>გურგენ-ი</p> <p>Բագրատ - bagu~rat -</p> <p>ბაგრატ-ი</p> <p>Թորգոմ - thor~gom -</p> <p>თორგომ-ი</p> <p>Սարգիս - sau~rgis - სარგის-ი</p> <p>Գևորգ - gevur~rg - გევორგ-ი</p> <p>Սարգսյան - sau~rgsjan -</p> <p>სარგսიაն-ი</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Գառնի - garni - გარნი</p> <p>(გარნისი)</p> <p>Գետիկ - getik - გეტიკ-ი</p> <p>Բագարան - bagar~ran -</p> <p>ბაგარან-ი</p>	
4	d	դ	დ	<p>ანთროპონიმები</p> <p>Դավիթ - davit<sup>h</sup> - დავით-ი</p> <p>Դեմետր - demet~r - დემეტრე</p> <p>Ադամ - adam - ადამ-ი</p> <p>Թադեւս - thadeus -</p> <p>თადევოს-ი</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Դարձակերտ - dau~rakert~rt -</p> <p>დარձაკერტ-ი</p> <p>Դիլիջան - dilidzhan -</p> <p>დილոջան-ი</p> <p>Բերդավան - bev~rdavan -</p> <p>ბერდავან-ი</p> <p>Բերդ - bev~rd - ბერდ-ი</p>	

	IPA (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
5	ɛ	է	ɔ	<p>ანთროპონიმები</p> <p>Եղիշե - ɛhɪʃe - ეღიშე Եզնիկ - eznik - ეზნიკ-ი Բեსիամին - bəsiamın - ბენიამინ-ი, Բարսեղ - baş~resək - ბარსეღ-ი</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Երևան - εր~evan - ერევან-ი Երևակ - εր~evək - ერევაკ-ი Չանգչազ - zangchaz - ზანგჯაზ-ი Թերութ - tʰerut - თერუტ-ი Թեփե - tʰepʰe - თეფე</p>	
6	z	զ	ø	<p>ანთროპონიმი</p> <p>Զաքարիա - zakʰar~ria - ზაქარია</p> <p>Զինա - zina - ზინა</p> <p>Իզաբել - izabel - օზაბელ-ი Ազարիա - azar~ria - აზარია</p> <p>Ազիզ - aziz - აზიზ-ი Թամազ - tʰamaz - თამაზ-ი</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Զարթոնք - zaɾ~tʰonkʰ - ზართონქ-ი</p> <p>Զովունի - zovuni - ზოვუნ-ი Թազաքենդ - tʰazakʰend - თაზაქენდ-ი</p> <p>Լեհվազ - lehvaz - ლეჲვაზ-ი</p>	
7	ɛ	է	ɔ	<p>ანთროპონიმი</p> <p>Էմმა - emma - ემმა</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Էջմիածին - edʒmiatsin - ეჯმიაծინ-ი</p>	<p>ქართულში დამკვიდრე- ბული ტრადიციით: ემა</p> <p>ქართულში ტრადიცი- ულად მიღებულია: ეჩმიაძინი.</p> <p>უნდა დამკვიდრდეს: ეჩმიაძინი.</p>

	IPA (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
8	θ	թ	∅ θ	<p>ქართულში ძირითადად არ გადმოიცემა.</p> <p>საკუთარ სახელებში სი-ტყვის თავში რიგ შემთხვევებში გადმოდის ო-ხმოვნით.</p> <p><b>ტოპონიმები</b></p> <p>Ընձაկ - θendzak - ინձაკ-ი</p> <p>Ըռია - θerna - ირნა</p> <p>Ըրմაკ - θer~rmak - ირმაკ-ი</p>	
9	t <sup>h</sup>	թ	τ	<p>ანთროპონიმები</p> <p>Թამარ - tʰamar~r - თამარ-ი</p> <p>Թაթուლ - tʰathul - თათულ-ი</p> <p>Թამთა - tʰamtʰa - თამთა</p> <p>Դավիթ - davitʰ - დავით-ი</p> <p>Հարություն - hau~ruthjun -</p> <p>Ֆաრუթուն -</p> <p>Հարությունյան -</p> <p>հայ~ruthjunjan -</p> <p>Ֆաრუթունյան-ი</p> <p><b>ტოპონიმები</b></p> <p>Թაլին - thalin - თალინ-ი</p> <p>Աթան - athan - ათან-ი</p>	
10	ʒ	ժ	չ	<p>ანთროპონიმები</p> <p>Ժիրայր - զյ~rajr~r -</p> <p>Շորատը -</p> <p>Վարդեման - vau~rusman -</p> <p>Վարուշան-ი</p> <p>Սերժ - sev~rɔ - სერժ-ი</p> <p><b>ტოპონიმები</b></p> <p>Ժիվանք - զivankʰ - շივანქ-ი</p> <p>Ճանժալու - զanžalu -</p> <p>Շանժալու</p>	

	IPA (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
11	i	հ	ი	<p>ანთროპონიმები</p> <p>Լիպարիտ - lipari~rit - լուპარიტ-ი</p> <p>Կիրակոս - k'ir~rakos - კირაკოს-ი</p> <p>Դոստի - d'osti - დოსტი</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Իջևան - idzevan - იჯევან-ი</p> <p>Իրիսդ - i~rind - ირინდ-ი</p> <p>Անի - ani - ანი(ანის-ი)</p> <p>Գառնի - garni - გარნი(გარ- ნის-ი)</p>	
12	l	լ	լ	<p>ანთროპონიმები</p> <p>Լևոն - levon - ლევონ-ი</p> <p>Լուսինե - lusine - ლუსინე</p> <p>Լալիսաթուն - lajaxathun - ლალիսათუნ-ი</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Լեռնակերտ - leernakert - ლერნაკერტ-ი</p> <p>Լճաշեն - lit [2]asen - ლժაშენ-ი</p> <p>Բալաք - balakʰ - ბალაქ-ი</p> <p>Դալար - dalar~r - დალარ-ი</p>	
13	X	խ	ხ	<p>ანთროპონიმები</p> <p>Խաչատուր - xat'hatur - ხაჩატურ-ი</p> <p>Խաթուն - xathun - ხათუნ-ი</p> <p>Բարիխուդար - bar~xudar - ბარხუდარ-ი</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Խորանաշատ - xor~xanašat - ხორანაშატ-ი</p> <p>Խորիխոր - xor~xor - ხორხორ-ი</p> <p>Ախուղյան - aχu~rjan - ახუღյან-ი</p> <p>Արխաշան - am~xajan - არხაშან-ი</p>	

	IPA (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
14	ts	ծ	Ծ	<p>ანთოპონიმები</p> <p>Ծაუჩი - tsavch - წალიკ-ი</p> <p>Ծერის - ts'eris - წერუნ-ი</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Ծაუკაბი - tsavkab - წალკაბორ-ი</p> <p>Ծიჭე - tsivche - წოჭქ-ი</p> <p>Արծվաշեն - au~rtsvashen - არწვაშენ-ი</p> <p>Արագած - au~ragats - არაგაწ-ი</p>	
15	k	կ	Յ	<p>ანთოპონიმები</p> <p>Կիրակոս - k'irakos - კირაკოს-ი</p> <p>Կարապետ - karapet - კარაპეტ-ი</p> <p>Բակուր - bakur - ბაკურ-ი</p> <p>Գագիկ - gagik - გაგიკ-ი</p> <p>Նարեկ - nar'ek - ნარეკ-ი</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Կամախ - kamax - კამახ-ი</p> <p>Կապույտ - kaput - კაპუიტ-ი</p> <p>Երևակ - er~rvazak - ერნջակ-ი</p> <p>Ասդոկ - asdok - ანდოკ-ი</p>	
16	h	հ	Յ	<p>ანთოპონიმები</p> <p>Հրայա - hru~ratjya - ჰრაჩია</p> <p>Հայկ - hajk - ჰაიკ-ი</p> <p>Գոհար - gohar~r - გოჰარ-ი</p> <p>Մահեსի - maheesi - მაჟესი</p> <p>Հակոբ - hakob - ჰაკობ-ი</p> <p>Համբարձումյան - hambarydzumyan - ჰაմბარձումյանი</p> <p>Համბարձումյունი</p> <p>Հերուսի - heru~runi - ჰერუნი</p>	<p>სომხურში ზეპირი მე- ტყველებისას <b>հ-Յ</b> თანხმოვანი რიგ შემთხვევებში იკარგე- ბა <b>Ի-Ր-Ր-Ս</b> შემდგომ მაგ.: <b>Շնոր(հ)ավոր - Մուր-ր(հ)առա-ր-</b> <b>- Ցնոր(Յ)ազոր-ი.</b></p> <p>თუ საკუთარ სახელში ორი <b>հ-Յ</b> თანხმოვანია, იგი ამოვარდება სიტყვის შუა ნაწილიდან: <b>Տաթել(հ)անես - Հով(Յ)անես-</b> <b>հօն(հ)անես - Ցով(Յ)անես-ი,</b> თუმცა ოფიციალური დოკუმენტის თარგმანში თანამედროვე საკუთარი სახელების გადმოტანისას <b>հ-Յ</b> არ უნდა ამოვარდეს;</p>

	IPA (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
16	h	h	ჸ	ტოპონიმები <b>ჰაցავასი - hatsavan -</b> ჰაცავან-ი <b>ჰაնქავანი - hankhavan -</b> ჰანქავან-ი <b>ჰაցაჟენი - hatsajen -</b> ჰაცაჟენ-ი <b>Մահմեդաբադ - mahmedabad -</b> մաჰմեდაბად-ი	<b>Սահակ - sahak - საჰაკ-ი</b> ქართულში გვხვდება გა- მარტივებული ფორმითაც <b>სააკ-ი, მაგრამ ეს ოფიციალ-</b> ურ დოკუმენტებში არ უნდა აისახოს.  თუ საკუთარი სახელი იწყება <b>ჸ-ჸ</b> თანხმოვნით, რომელსაც მოსდევს <b>ჸ-ჸ-ჸ</b> თანხმო- ვანი, ზოგ შემთხვევებში იკარგება თავკიდური ჸ, მაგ.: <b>Հրիփսիմե - hrip'sime -</b> რიფსიმე <b>Հրոմկլա - hr~romkla - რომკლა</b> <b>Հրազդան - hr~razdan -</b> რაზდანი ეს ცვლილება სომხური ოფიციალური დოკუმენტების ქართულად გადმოტანისას არ უნდა აისახოს.
17	dz	δ	d	<b>ანთროპონიმები</b> <b>ღაფიկ - dzagik - ძაგიკ-ი</b> <b>ღյուსიჩიკ - dzjunik - ძიუნიკ-ი</b>  ტოპონიმები <b>ღორაգეთ - dzor~raget -</b> ძორაგეტ-ი <b>ღორაგლუხ - dzor~raglux -</b> ძორაგლუხ-ი <b>Գանձակ - gandzak - განძაკ-ი</b>	
17	ɛ	η	β	<b>ანთროპონიმები</b> <b>Ղարիբ - բար~rib - ღարიბ-ი</b> <b>Բաղդասար - bahtdasar~r -</b> ბაღდასარ-ი <b>Տղապարոն - tshapar~ron -</b> ტღაპარონ-ი <b>Մուշեղ - տսէշ - մუշեղ-ი</b>  ტოპონიმები <b>Ղուկասյան - բukasjan -</b> ღუկասյան-ი <b>Գեղարդ - ցեբար~rd -</b> გეღաრდ-ი <b>Գեղաջեն - ցեբայեն -</b> გეღաջեն-ი	

	IPA (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
18	tʃ [2]	ճ	ჭ	<p>ანროპონიმი <b>ძ</b>ალავირ - tʃ [2]gnaonvər - ჭვნავორ-ი</p> <p><b>ძ</b>ანტიპუ - tʃ [2]ntʃ [2]tsuk - ჭნჭლუკ-ი</p> <p>ტოპონიმი <b>ძ</b>ალატენ - tʃ [2]akaten - ჭაკატენ-ი</p> <p><b>ძ</b>ამբარაკ - tʃ [2]ambas~rak - ჭამბარაკ-ი</p>	
19	m	մ	ð	<p>ანთოპონიმები <b>Մ</b>իլթար - mχitʰar~r - მხითარ-ი</p> <p><b>Մ</b>ովսես - mɔvses - მოვსეს-ი</p> <p><b>Մ</b>ემբატ - smbat - სმბატი</p> <p><b>Ա</b>մբակუմ - ambakum - ამბაკუმ-ი</p> <p><b>Մ</b>არիამ - mai~riam - მარიამ-ი</p> <p><b>Մ</b>ելիք-Բախչյան - melikʰ-baxχjan - მელიქ-ბახშიან-ი</p> <p><b>Մ</b>ելիք-Օհանջանյան - melikʰ-ɔhanχjanjan - მელიქ-ოჰანჯანიან-ი</p> <p><b>Մ</b>ելիք-Շահնազարյան - melikʰ-sahnazar~rjan - მელიქ-შაჰნაზარიან-ი</p> <p><b>Մ</b>իրզա-Ավագյան - mɪr~rzɑ-avagjyan - მირზა-ავაგიან-ი</p> <p><b>Մ</b>իրզա-Պողոսյան - mɪr~rzɑ-pօχosjan - მირზა-პოղոսიან-ი</p> <p>ტოპონიმები <b>Մ</b>արտուლի - mai~rtuni - მარტუნი</p> <p><b>Մ</b>ეլիք - tʃ - ჭ</p>	<p>სახელები, რომლებიც ორსავე ენაში არსებობს, მხოლოდ განსხვავე- ბული ფორმით - მაგ, მოსე-მოვსესი, ნერსე - ნერსესი, სმბატ - სუმბატი// სუმბათი.</p> <p>ოფიციალურ დოკუმენ- ტებში უნდა აისახოს დედნისეული ვითარება. სხვა შემთხვევაში შეიძლე- ბა გამოყენებული იქნეს ქართულში ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმა.</p> <p><b>Մ</b>ելիք - melikʰ - მელიქ-ზე და <b>Մ</b>իրզա-ზე დაწყებული გვარები სომხურში დე- ფისით იჩერება, თუმცა არის გვარები, რომლებშიც სომხურში აღნიშნული ელ- ემენტები დეფისით არ გა- მოიყოფა <b>Մ</b>իրզախանյան - mɪr~rzɑχjanjan -</p> <p>მირზახანიან-ი</p> <p><b>Մ</b>ելիքսեթյան - melikʰsɛtʰ- jan - მელიქսეտიან-ი.</p>

	IPA (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
20	j	J	o	<p>ანთროპონიმი</p> <p>Սերգեյ - sev~rgej - სერგეი</p> <p>Նոյ - noj - ნოი</p> <p>Հակոբյան - hakobjan -</p> <p>Ֆայանե - gajane - გაიანე</p> <p>Ակայորդի - skajor~rdi -</p> <p>სკაიორდი</p> <p>ტოპონიმი</p> <p>Բայանդուր - bajandur~r -</p> <p>Ծաიანდურ-ი</p> <p>Գյումրի - gjumri~ri - გიუმრი</p> <p>Յարփուզ - ja~rpuz -</p> <p>იარფუზ-ი</p> <p>Յոզդաթ - jozdat<sup>h</sup> - იოზდათი</p>	
21	n	ն	ö	<p>ანთროპონიმი</p> <p>Ներսես - nev~res - ნერსეს-ი</p> <p>Սիրանուշ - si~ranus -</p> <p>Սიրանუშ-ი</p> <p>Շուշան - shusan - შუშან-ი</p> <p>Աննա - anna - ანნა</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Նախրի - nax~ri - ნაირი</p> <p>Վաւանդ - vavand - ვალანდ-ი</p> <p>Սյունիք - sjunik<sup>h</sup> - სიუნიქი</p> <p>Նորամյեն - nor~majen -</p> <p>ნორაմյენ-ი</p>	<p>ქართული ტრადიციით: <b>ანა</b></p> <p>ქართული ტრადიციით - <b>სივნიეთი.</b></p>

	IPA (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
22	ʃ	2	შ	<p>ანთროპონიმები</p> <p>Շամիրամ - ſamir~ram -</p> <p>შამირამ-ი</p> <p>Շապուհ - ſapuh - შაპუჟ-ი</p> <p>Շուշան - ſuſan - შუშან-ი</p> <p>Նուշիկ - nuſik - ნუშიკ-ი</p> <p>Սիրանուշ - ſir~ranuʃ -</p> <p>სირანუშ-ი</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Շամախյան - ſamaxjan -</p> <p>შაմახიაն-ი</p> <p>Շուշի - ſuʃi - შუში</p> <p>Ղաշբաշ - daʃbaʃ - ღაშბაშ-ი</p>	
23	č	η	ო	<p>Տոփყვის შუაში და ბოლოს ანთროპონიმი</p> <p>Կոմիտաս - komitas -</p> <p>კომიტას-ი</p> <p>Մովսես - movses -</p> <p>მოვსეს-ი//მოსე</p> <p>ტოპონიმი</p> <p>Նորակերտ- noր~rakev~rt -</p> <p>ნორაკერტ-ი</p> <p>Կամօ - kamօ - კამო</p> <p>Ղավօ - davօ - ღავო</p> <p>Տոփყვის თავში</p> <p>ანთროპონიმი</p> <p>Ոսկի - vɔski- ვოსკი</p> <p>Ոսկյան - vɔskjan - ვოსკյան-ი</p> <p>ტოპონიმი</p> <p>Ոստան - vɔstan - ვოსტან-ი</p> <p>Որոտան - vɔ~rɔtan -</p> <p>ვოროტან-ი</p>	<p>ისტორიული ტრადიციით:</p> <p>Որսիգդ - ՎՐ-ոմիզդ - ռոմիზճո.</p>

	IPA (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
24	tʃ	չ	ჩ	<b>ანთროპონიმები</b> Չოբაն - tʃoβan - ჩობან-ი Չիსար - tʃisar - ჩინარ-ი Խաչատուր - χatʃatut - ხაჩატურ-ი  <b>ტოპონიმები</b> Չასაխჩի - tʃasaxtʃi - ჩასახჩი Չորაթան - tʃorɑ~rathən - ჩორათან-ი Աշաջուր - atʃadzur - աշաջուր-ი Կեշուս - kətʃus - კეშუს-ი	
25	p	պ	პ	<b>ანთროპონიმები</b> Պետրոս - petros - პეტროს-ი Շապուհ - ʃapuh - Շապուհ-ი <b>Պապ</b> - pap - პაპ-ი Չոհրապյան - zohr~rapjan - ზოჰրաპյան-ი  <b>ტოპონიმები</b> Պաշարաջուր - paʃar~radzur - პაშარաջուր-ი Պեմզաշեն - pemzaʃen - პეմზაშեნ-ი Ապարան - apan~rapan - ապարան-ი Աստապատ - astapat - աստապատ-ი	Դարպաս - daɾ~gras - დარბაზი.
26	dʒ	զ	ჯ	<b>ანთროპონიმები</b> Զափյառ - dʒapʰjar - ջաფյառ-ი Զալալ - dʒalal - ջալալ-ი  <b>ტოპონიმები</b> Զերմուկ - dʒermuk - ջერմუკ-ი Զուղա - dʒugha - ջուღა Զիրաջլու - kʰju~radzlu - ջիրաջլու-	

	<b>IPA</b> (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
27	r	Ռ	Ր	<p><b>ანთროპონიმები</b></p> <p>Ռაֆֆի - raffi - რაფი Ռոմაնոս - რომანოս-ი</p> <p>Առաքել - arak̥el - არაქელ-ი</p> <p>Առուշան - arušan - არუშან-ი</p> <p>Թոռնիկ - tʰornik - თორნიკ-ი</p> <p><b>ტოპონიმები</b></p> <p>Ռանչպար - rantʃpar - რანჩპარ-ი</p> <p>Ռինդ - rind - რინდ-ი</p> <p>Սառնակունք - sarnakunkʰ - სარნაკუნქ-ი</p>	<p>ქართულში ტრადიცი- ულად: <b>თორნიკე.</b></p>
28	s	ս	Տ	<p><b>ანთროპონიმები</b></p> <p>Սաթենիկ - sathenik - სათენიკ-ი</p> <p><b>Սեդა</b> - seda - სედა</p> <p>Վասակ - vasak - ვასაკ-ი</p> <p>Ասլան - aslan - ასლან-ი</p> <p><b>ტოპონიმები</b></p> <p>Սևան - sevan - სევან-ი</p> <p>Սալուտ - salut - სალუტ-ი</p> <p>Սասուն - sasun - სასუნ-ი</p>	
29	v	Վ, Լ	Յ	<p><b>ანთროპონიმები</b></p> <p>Վահան - vahan - ვაჰან-ი</p> <p>Վարդան - van~rdan - ვარდან-ი</p> <p>Նավասարդ - navasard~rd - ნავასარდ-ი</p> <p>Մովսես - movses - მოვსეს-ი</p> <p><b>ტოპონიმები</b></p> <p>Վահրավար - vahv~ravav~r - ვაჰრავარ-ი</p> <p>Վաղաշեն - vahaben - ვაღაშენ-ი</p> <p>Բագավան - bagavan - ბაგავან-ი</p>	

	IPA (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
30	t	თ	ঁ	<p>ანთროპონიმები</p> <p><b>შ</b>აფრაն - tigu~ran - ტიგრან-ი</p> <p>Ատოմ - atəm - ატომ-ი</p> <p>Աշուտ - aʃot - აშოტ-ი</p> <p><b>Տ</b>ეր-Պետրոսյան - tev~r-pev~rɔsjan -</p> <p>ტერ-პეტროსიან-ი</p> <p><b>Տ</b>ეր-Գրիգորյան - tev~r-gu~rigor~rjan -</p> <p>ტერ-გრიგორიან-ი</p> <p><b>Տ</b>ეր-Պողոսյան - tev~r-pɔhosjan -</p> <p>ტერ-პოղօսյան-ი</p> <p><b>Տ</b>ეր-Գաբրիելյան - tev~r-gabv~rieljan -</p> <p>ტერ-გაბრიելյան-ი</p> <p> ტოპომინები</p> <p><b>Տ</b>აթև - tatʰev - ტათევ-ი</p> <p>Ռինտ - r~rint - რინֆ-ი</p>	<p><b>Տ</b>ეր - tev~r - ტერ-ზე დაწ- ყებული გვარები სომხურ- ში დეფისით იწერება.</p>
31	r~r̥	ռ	ৰ	<p>ანთროპონიმები</p> <p>Րաբուნի - r~rabuni - რაბუნი</p> <p>Վրամ - aŋ~ram - არამ-ი</p> <p>Վրսիկ - aŋ~revik - არევიკ-ი</p> <p>Բագրատ - bagv~rat - ბაგრატ-ი</p> <p>Խաչատուր - χatʃatutu~r -</p> <p>Եաჩաტუր-ი</p> <p>Գրիգոր - gu~rigor~r -</p> <p>გრიგორ-ი</p> <p> ტოპონიმები</p> <p><b>Տ</b>երուսական - tev~runakan -</p> <p>ტეրუნაკან-ი</p> <p>Վրագած - aŋ~ragats -</p> <p>არაგაწ-ი</p>	

	IPA (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
32	ts <sup>h</sup>	g	(3)	<b>ანთოპონიმები</b> <b>ზილაკ - tsʰolak - ცოლაკ-ი</b> <b>Մաշտոց - mɑʃtɔtsʰ - մաժթոց-ი</b> <b>Մուրացაն - mu~ratshən - մურაცან-ი</b>  <b>ტოპონიმები</b> <b>Ցამაქაბერდ - tsʰamakʰabεvərd - ცამაქაბერდ-ი</b> <b>Ցამაქაბერდ - tsʰakʰut - ცაქუტ-ი</b> <b>Հացավան - hatsʰavan - ჰაցავან-ი</b>	
33	u	ու	յ 3	<b>ანთოპონიმები</b> <b>Ուխտանես - uxтанес - უხტანეს-ი</b> <b>Շուշանիկ - յիշանիկ - ժշխանիկ-ი</b> <b>Մուշեղ - mušeg - մუշեղ-ი</b> <b>Մուրեն - su~ren - სუրեն-ი</b>  <b>ტოპონიმები</b> <b>Ուռնայր - urnajr ~r - յորնაიր-ი</b> <b>Ուշի - ushi - յոշი</b> <b>Ուռուտ - urut - յորուտ-ი</b> <b>Փուշիկ - phusik - ფյուշիկ-ი</b>  <b>Ուի - ui - յու, ուա - ua - յա</b> <b>Կոմըլլեյլեմში յ ქართულ- ში შეიძლება გადმოვიდეს Յ-თი, შესაბამისად մո- ვიღებთ Յ და Յ Կոմըլլե- յլեմშ.</b> <b>Աստուածատուր - astuatsatua~r - ասդգանճաթუր-ი</b> <b>Զուիկ - dzuik - ձզոյ-ი</b> <b>Երուանդ - ε~ruand - ერვანდ-ი</b>	

	IPA (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
34	p <sup>h</sup>	փ	ფ	<p>ანთროპონიმები</p> <p>Փառასძეմ - pharandzem - ფარანძემ-ი</p> <p>Ստეփիանսու - stephannos - სტეფანოს-ი</p> <p>Սովիհա - sovhia - სოფია</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Փաსիկ - phasik - ფანიქ-ი</p> <p>Փաշաքենդ - phashakhend - ფაშაქენდ-ი</p> <p>Կոփի - koph - კოფ-ი</p>	
35	k <sup>h</sup>	բ	յ	<p>ანთროპონიმები</p> <p>Քրիստափոր - khristap'hov - ქრისტაფორ-ი</p> <p>Սարգսյան - saurkhsjan - სარქսიან-ი</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Քարաշեն - kharm - კარაშენ-ი</p> <p>Քոբեր - khober - ქობერ-ი</p>	<p>ქართული ტრადიციით ქრისტეფორ.</p> <p>ეს არ ვრცელდება ოფი- ციალური დოკუმენტების ტრანსლიტერირებისას.</p>
36	ɔ	օ	ო	<p>ანთროპონიმები</p> <p>Պռօշյան - prousjan - პროშიანი</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Օշին - ejin - ოშინ-ი</p> <p>Օլթի - olthi - ოლთი(//ოლთის-ი)</p>	
37	f	ֆ	ფ	<p>ანთროპონიმები</p> <p>Ֆարուխ - farux - ფარუხ-ი</p> <p>Ֆրիկ - frik - ფრიკ-ი</p> <p>Զաֆար - dzafar - ჯაფარ-ი</p> <p>ტოპონიმები</p> <p>Ֆանտան - fantan - ფანტან-ი</p> <p>Ֆուրունջա - furndza - ფურუნჯა</p> <p>Սոֆլու - sofli - სოფლუ</p>	

	IPA (საერთაშო- რისო ფონე- ტიკური ანბანი)	თანამედროვე ალმოსავლუ- რი სომხური სალიტერატუ- რო ენა	ქარ- თული შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
38	εν	Ա=Ե+Լ	ՅՅ	ანთროპონიმები Եվა - ევა - ევა Եվაգր - ევაგრ- - ევაგრე Լևი - լევი - ლევონ-ი Ղևոնի - ხევოն - ლევონდ-ი  ტოპონიმები Սևան - სევან - სევან-ი Չարեսանդ - չար-շանდ - ზარევანდ-ი Երևան - յա-րեվան - յըրեվան-ი	
	œ	Էօ	Եօ	Էօժենի - օջուნი - ეօժեნ-ი	
	aj	այ	ԱՈ	Գայանէ - գայուս - ցանց Կայթ - կայթ - զանտ-ი	
	ɛj	Եյ, Էյ	ԵՈ	Թեյդառ - թէյդառ - տეიდალ-ი	
	ij	Իյ	ՈՈ	Միյան - միյան - մոօան-ი	
	ɔj	Ոյ	ՈՈ	Խոյթ - խօյթ - եռոտո	
	uj	Ույ	ՈՈ	Պարույր - բա-րոյր - ձարշոր-ი Կապույտ - կապոյտ - ցածրութ-ი	
	ja	յա, իա	ՈԱ	Ջյարքի - կհյա-րքի- - յիօրյո Մանուկյան - մանուկյան - մանչյույն-ი	
	ju	յու	ՈՅ	Սյունիք - սյունիք - սունոյի-ი Գյումրի - գյումր-ი - ցոյմրո	
	jɛ	Ե,	Ե, ՈԵ	Երևան - յա-րեվան - յըրեվան-ი Կայեն - կայեն - զաօյնո	
	ji	յի	Ո,	Եսայի - էսայի - յսաօ Կայիմք - կայիմք - ցաօօմքո	
	jɔ	յո	ՈՈ	Կյուսուլ - կյօկհսու - ցոօյլսու	

## **შენიშვნა:**

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება საკუთარი სახელები: ელიშე - ელიშე, ლევონდი - ლევონდი. ვერ ვიტყვით, რომ გარკვეულ შემთხვევებში სომხური ღ- რამე წესით უნდა გადმოდიოდეს აუცილებლად ყ-თი, მაგრამ უმეტესად სწორედ ის შეესაბამება სხვა ენების ყ თანხმოვანს. მაგ. ყარაბაღ- ურამებას, აგრეთვე თურქულიდან შემოსული სახელები ურამებას - კაზბულას- ყაზბულასი (ასეთ შემთხვევებში, როდესაც სომხურში ორი ღ თანხმოვანია, ქართულში პირველი ყ თანხმოვანია, ხოლო მეორე - ს თანხმოვანია).

## **მასალა ამოღებულია შემდეგი წყაროებიდან:**

ქ. Աճառյան, Հայոց անձնանունների բառարան, հ Ա, Երևան1942//ჰ.აჭარიანი, სომხური ანთროპონიმების ლექსიკონი, 1ტ., ერევანი1942

ქ. Աճառյան, Հայոց անձնանունների բառարան, հ Բ, Երևան1944//ჰ.აჭარიანი, სომხური ანთროპონიმების ლექსიკონი, 2ტ. ერევანი1944

ქ. Աճառյան, Հայոց անձնանունների բառարան, հ Գ, Երևան1946//ჰ.აჭარიანი, სომხური ანთროპონიმების ლექსიკონი, 3ტ, ერევანი1946

ქ. Աճառյան, Հայոց անձնանունների բառարան, հԴ , Երևան1948//ჰ.აჭარიანი, სომხური ანთროპონიმების ლექსიკონი, 4ტ., ერევანი1948

ქ. Աճառյան, Հայոց անձնանունների բառարան, հԵ , Երևան1962//ჰ.აჭარიანი, სომხური ანთროპონიმების ლექსიკონი, 5ტ., ერევანი 1962

Թ. Հակոբյան, Ստ. Մելիք-Բախչյան, Հ. Բարսեղյան, Հայաստանի և հարակից շրջանների տեղանունների բառարան, հ.1, Երևան 1986// თ.աշխարհագիր, սტ.մելոյ- ծաթափան, ჰ. ծարսեղան, սოմხեցու և մոմֆեց օլլեց գրանու լեქსიკոն, 1ტ., ეրեվանი 1986

Թ. Հակոբյան, Ստ. Մելիք-Բախչյան, Հ. Բարսեղյան, Հայաստանի և հարակից շրջանների տեղանունների բառարան, հ.2, Երևան 1988// თ.աշխարհագիր, սტ.մելոյ- ծաթափան, ჰ. ծարսեղան, սოմხեցու և մոմֆեց օլլեց գրանու լեქսიკոն, 2ტ., ეրեվանი 1988

Թ. Հակոբյան, Ստ. Մելիք-Բախչյան, Հ. Բարսեղյան, Հայաստանի և հարակից շրջանների տեղանունների բառարան, հ.3, Երևան1991// თ.աշխարհագիր, սტ.մելոյ- ծաթափան, ჰ. ծարսեղան, սოմხեցու և մոմֆեց օլլեց գրանու լեქսიკոն, 3ტ., ეրեվանი 1991

Թ. Հակոբյան, Ստ. Մելիք-Բախչյան, Հ. Բարսեղյան, Հայաստանի և հարակից շրջանների տեղանունների բառարան, հ.4, Երևան 1998// თ.աշխարհագիր, սტ.մելոյ- ծաթափան, ჰ. ծարսեղան, սოմხեցու և մոմֆեց օլլեց գրանու լեქսიკոն, 4ტ., ეրեվանი 1998

Թ. Հակոբյան, Ստ. Մելիք-Բախչյան, Հ. Բարսեղյան, Հայաստանի և հարակից շրջանների տեղանունների բառարան, հ.5, Երևան 2001// თ.աշխարհագիր, սტ.մելոյ- ծաթափան, ჰ. ծարսեղան, սოմხեցու և մոմֆեց օլլեց գրանու լեქսიკოն, 5ტ., ეրեվանი 2001

Տ. Վետիսյան, Հայոց ազգանունների բառարան, Հեղինակային հրատարակություն, Երևան 2010// թ. աշխարհագիր, սოմხեց լեქսიკոն, սաաշխարհագիր, 2010, იնֆյուն է

[http://www.nayiri.com/imagedDictionaryBrowser.jsp?dictionaryId=99&dt=HY\\_HY&pageNumber=12](http://www.nayiri.com/imagedDictionaryBrowser.jsp?dictionaryId=99&dt=HY_HY&pageNumber=12)

ნორმის პირველი ვერსია მოამზადა აკაკი შანიძემ, გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

### **ნორმის პროექტის ახალი რედაქცია შეიმუშავა ვახტანგ მალრაძემ.**

პროექტი განხილულია თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის პირველი ივლისის სხდომაზე და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2019 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს.

## **ვითარებითი ბრუნვის ფორმის წარმოებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:**

1. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი თანხმოვანფუძიანებთან უნდა იყოს -**ად**. მაგალითად: **კაცად** (და არა კაცათ), **მეგობრად** (და არა მეგობრათ), **სახლად** (და არა სახლათ), **სოფლად** (და არა სოფლათ), **დიდად** (და არა დიდათ), **კარგად** (და არა კარგათ), **ცუდად** (და არა ცუდათ), **სამად** (და არა სამათ)...

ხმოვანფუძიანებთან ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს -**დ**. მაგალითად: **გზად** (და არა გზათ), **მზედ** (და არა მზეთ), **ტრამვაიდ** (და არა ტრამვაით), **ყრუდ** (და არა ყრუთ), **წყაროდ** (და არა წყაროთ), **მწარედ** (და არა მწარეთ), **უნებლიერდ** (და არა უნებლიერთ), **რვად** (და არა რვათ), **რად** (და არა რათ)...

2. ერთი ჯგუფი სიტყვებისა (კერძოდ, ზმნისართებისა), რომლებიც მოქმედებითი ბრუნვისგან მიიღება ან ფუძეში შეიცავს **თ-ს**, დაინერება **თ-თი** (და არა **დ-თი**): **გარეთ**, **ზემოთ** (// **ზევით**), **ქვემოთ** (// **ქვევით**), **ნინათ**, **უკეთ**, **ალბათ**, **შიგნით**.

**შენიშვნა: უნებლიერ ფორმა მართებულად უნდა მივიჩნიოთ ტრადიციულად დამკვიდრებულ გამოთქმაში „ნებსით თუ უნებლიერ“.**

## **დასაბუთება**

სალიტერატურო ქართულში (ძველი წერილობითი ძეგლებიდან მოყოლებული დღემდე) ვითარებითი ბრუნვის ნიშანდ თანხმოვანფუძიან სახელებთან გვაქვს -**ად**, ხოლო ხმოვანფუძიანებთან - **-დ**, თუმცა XVII-XVIII საუკუნეების ტექსტებსა და ცოცხალ კილოებში თავს იჩენს **დ-ს** დაყრუებული ვარიანტი (თანხმოვანფუძიანებთან გვხვდება -**ათ**, ხოლო ხმოვანფუძიანებთან - **-თ**). კილოების გავლენით **-ათ** და **-თ** დაბოლოებანი ჩნდება სალიტერატურო ენაშიც.

ვითარებით ბრუნვაში **დ-ს თ-დ ქცევა განცალკევებით** მდგომი მოვლენა არ არის. ამგვარივე ხასიათისაა **ბ-ს დაყრუება** და მისგან **ფ-ს მიღება:** **ვაკეთეფ**, **ვამბოფ**, **ვაწყოფ** და **სხვ**.

ბოლოკიდური მულერი ბერების დაყრუება, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ ყრუ ბერა უნდა დაინეროს, შდრ.: ზმნათა -**ეფ** და **-ოფ** სუფიქსებიანი დიალექტური ვარიანტები, რომლებიც, ბუნებრივია, მცდარ ფორმებად მიიჩნევა. ამ შემთხვევაში **ბ** (და არა **ფ**) რჩება იმის გამო, რომ ის უცვლელად არის წარმოდგენილი **აკეთებს**, **ამბობს**, **აფერადებს** და **ა. შ.** ტიპის ზმნებში.

**-ეფ** და **-ოფ** სუფიქსების მსგავსად დიალექტურია ვითარებით ბრუნვაში გამოვლენილი **თ-ც**, რომლის პირვანდელი სახე **დ** მკვიდრად არის დაცული ვითარებითისაგან ნაწარმოებ ფორმებში. ასეთებია:

- ა) წილობითი რიცხვითი სახელები: **მესამედი**, **მეოთხედი**, **მეათედი**, **მეასედი** და **სხვ**.
- ბ) ყველა ის სახელი, რომელთა ფუძედ ვითარებითი ბრუნვის ფორმაა გამოყენებული: **გულად** – **გულადი** – **გულადობა**, **პირად** – **პირადი** – **პირადობა**, **თვალად** – **თვალადი** – **თვალადობა**, **ტანად** – **ტანადი** – **ტანადობა** და **სხვ**.

ცალკე უნდა აღინიშნოს **უნებლიერი** ფორმის შესახებ, რომელიც ძველი ქართულიდან მომდინარეობს და მართებულად არის მიჩნეული სალიტერატურო ენისთვის. თანამედროვე ქართულში დასტურდება აგრეთვე **უნებლიერი** ვარიანტი, რომელიც **უნებლიერი** ზედსართავი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმაა და ძირითადად გამოიყენება ზმნისართის ფუნქციით: **უნებლიერი** შეცდა, **უნებლიერი** წაეშალა (შდრ.: კარგად ხატავს, ლამაზად წერს, მნარედ მოტყუვდა...). აღნიშნული ფორმა უნდა იქნეს მიჩნეული მართებულ ვარიანტად.

**უნებლიერი** ვისმინე, რაც ხევისბერს შენ უთხარი, ჩემო (კ. გამსახურდია);  
ოი, – **უნებლიერი** აღმოხდა ბავშვს, – საწყალი, საწყალი (გ. რჩეულიშვილი);  
ქართული კულტურის ევროპულობა **უნებლიერი** იქცა ამ ფესტივალის ერთ-ერთ მთავარ ტენდენციად (დ. კაკაბაძე)...

ვითარებითი ბრუნვის ფორმის წარმოებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი თანხმოვანფუძიანებთან უნდა იყოს **-ად**, ხმოვანფუძიანებთან **-დ**: **კაცად** (და არა კაცათ), **მეგობრად** (და არა მეგობრათ), **სახლად** (და არა სახლათ), **სოფლად** (და არა სოფლათ), **გზად** (და არა გზათ), **მზედ** (და არა მზეთ), **ტრამვაიდ** (და არა ტრამვაით), **ყრუდ** (და არა ყრუთ), **წყაროდ** (და არა წყაროთ), **დიდად** (და არა დიდათ), **კარგად** (და არა კარგათ), **ცუდად** (და არა ცუდათ), **მნარედ** (და არა მნარეთ), **სამად** (და არა სამათ), **რვად** (და არა რვათ), **რად** (და არა რათ) და სხვ.

2. ერთი ჯგუფი სიტყვებისა (კერძოდ, ზმნისართებისა), რომლებიც მოქმედებითი ბრუნვისგან მიიღებიან ან ფუძეში შეიცავენ **თ-ს**, დაიწერება **თ-თი** (და არა **დ-თი**): **გარეთ**, **ზემოთ** (// ზევით), **ქვემოთ** (// ქვევით), **წინათ**, **უკეთ**, **ალბათ**, **შიგნით**.

**შენიშვნა:** **უნებლიერი** ფორმა მართებულად უნდა მივიჩნიოთ ტრადიციულად დამკვიდრებულ გამოთქმაში „ნებსით თუ **უნებლიერი**“.

ნორმის პირველი ვერსია მოამზადა აკაკი შანიძემ, გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

### **ნორმის პროექტის ახალი რედაქცია შეიმუშავა ქეთევან დათუკიშვილმა.**

პროექტი განხილულია თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის პირველი ივლისის სხდომაზე და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2019 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს.

## **ცოდებითი პრუნვის ფორმა**

წოდებითი ბრუნვის ფორმათა წარმოებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. საზოგადო სახელების წოდებითი ინარმოება შემდეგნაირად:

1.1. ბოლოთანხმოვნიანებს უნდა დაერთოს -ო ნიშანი: მაგალითად: **თავ-ო, კაც-ო, მეგობარ-ო, შვილ-ო, წყალ-ო და სხვ.**

1.2. ბოლოხმოვნიანი ორ- და მეტმარცვლიანი სახელები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორგვარად: ვ-ნიშნით ან უნიშნოდ (ე. ი. ფუძის სახით). მაგალითად: **დედა-ვ // დედა, კენგურუ-ვ // კენგურუ, მებალე-ვ // მებალე, მინა-ვ // მინა, სამშობლო-ვ // სამშობლო, ქვეყანა-ვ // ქვეყანა, წყარო-ვ // წყარო და სხვ.**

1.3. ერთმარცვლიან ბოლოხმოვნიან სახელებს უნდა დაერთოს -ო ნიშანი. მაგალითად: **და-ო, მთა-ო, მზე-ო, ყრუ-ო, ძმა-ო, ხბო-ო და სხვ.**

**შენიშვნა:** კერძო შემთხვევებში დასაშვებია: **დედა-ო, მამა-ო, მზე-ვ, ძმა-ვ და სხვ.**

2. ადამიანთა საკუთარი სახელები წოდებითში გამოიყენება ბრუნვის ნიშნის გარეშე, ფუძის ფორმით: **აკაკი! გიორგი! გურამ! დავით! ეთე! ელენ! თენგიზ! ირაკლი! ლუკა! ნოდარ! ნუნუ! პეტრე!..**

3. გვარები წოდებითში უნდა გაფორმდეს შემდეგნაირად:

3.1. თუ გვარი ქართულია და ბოლოთანხმოვნიანი, უნდა დაერთოს -ო ნიშანი: **ბურდულ-ო, გომართელ-ო, მჭედლიშვილ-ო, ცხვედიან-ო, წერტელ-ო და სხვ.**

3.2. თუ გვარი ქართულია და ბოლოხმოვნიანი, წოდებითში მას ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის: **ბაქრაძე! ბურძგლა! გალოგრე! გუგუნავა! ინგოროვა! კუპრავა! მენაბდე! ნოდია! ჭავჭავაძე! ჭონქაძე! ხოშტარია! ჯაბუა!..**

3.3. თუ გვარი უცხოურია და თანხმოვანზე ბოლოვდება, უნდა დაერთოს -ო: **ბაირონ-ი – ბაირონ-ო, პუშკინ-ი – პუშკინ-ო, რეიგან-ი – რეიგან-ო, შექსპირ-ი – შექსპირ-ო, ჩერჩილ-ი – ჩერჩილ-ო, ხაჩატურიანი-ი – ხაჩატურიან-ო და სხვ.**

3.4. თუ გვარი უცხოურია და ბოლოვდება **ი** ხმოვნით, წოდებით ბრუნვაში გამოიყენება უნიშნოდ. ფუძისეული ხმოვანი ქართულად გადმოტანისას შენარჩუნდება. მაშასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს:

ბოტიჩელი – ბოტიჩელიმ	წოდ. ბოტიჩელი
განდი – განდიმ	წოდ. განდი
დოსტოევსკი – დოსტოევსკიმ	წოდ. დოსტოევსკი
ვერდი – ვერდიმ	წოდ. ვერდი
კიაროსტამი – კიაროსტამიმ	წოდ. კიაროსტამი
ლი – ლიმ	წოდ. ლი
მურაკამი – მურაკამიმ	წოდ. მურაკამი
პაგანინი – პაგანინიმ	წოდ. პაგანინი
პავაროტი – პავაროტიმ	წოდ. პავაროტი

4. პირისადმი მიმართვისას სავალდებულოა გვარების წოდებითში გამოყენება: **ასათიან-ო, გომართელ-ო, დავითაშვილ-ო, ხოლო სიაში ამოვითხვისას – სახელობითში: ასათიან-ი, გომართელ-ი, დავითაშვილ-ი და სხვ.**

5. გეოგრაფიული სახელები წოდებითში უნდა გაფორმდეს ამგვარად:

5.1. ბოლოთანხმოვნიანებს უნდა დაერთოს -ო; მაგალითად: **გორ-ო, თბილის-ო, თერგ-ო, ლონდონ-ო, მტკვარ-ო, პარიზ-ო, რიონ-ო, ქუთაის-ო და სხვ.**

5.2. ბოლოხმოვნიანებთან დასაშვებია როგორც -ვ ნიშნიანი, ისე უნიშნო ვარიანტები. მაგ.: აპაშა-ვ // აპაშა, ბარსელონა-ვ // ბარსელონა, მცხეთა-ვ // მცხეთა, ონტოფო-ვ // ონტოფო, პერუ-ვ // პერუ, რაჭა-ვ // რაჭა, საჩხერე-ვ // საჩხერე და სხვ.

**შენიშვნა:** ამავე წესს მიჰყება ცხოველთა საკუთარი სახელები: **ლაბა-ვ // ლაბა, ნიშა-ვ // ნიშა, ნიკორა-ვ // ნიკორა, ყურშა-ვ // ყურშა, შვინდა-ვ // შვინდა** და სხვ.

5.3. თუ გეოგრაფიული სახელი უცხოურია და მისი ფუძე ი-ზე ბოლოვდება, წოდებითში იგი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს. შესაბამისად, გვექნება: **დელი – დელიმ, წოდ. დელი, ტრიპოლი – ტრიპოლიმ, წოდ. ტრიპოლი** და სხვ.

6. უცხოურიდან მომდინარე ტიტულისა და წოდების აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც თანხმოვანზე ბოლოვდება, წოდებითში წარმოდგენილი იქნება -ო ნიშნით: **გენერალ-ი – გენერალ-ო, მაიორ-ი – მაიორ-ო, პროფესორ-ი – პროფესორ-ო... ბარონ-ი – ბარონ-ო, გრაფ-ი – გრაფ-ო, ვიკონტ-ი – ვიკონტ-ო, ლორდ-ი – ლორდ-ო, მარკიზ-ი – მარკიზ-ო, პერცოგ-ი – პერცოგ-ო** და სხვ.

7. უცხოური მიმართვის ფორმები წოდებითში ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს: **მადამ! მადმუაზელ! მილორდ! მის! მისის! მისტერ! სერ! სინიორ! ფრონტილაინ!..**

## დასაბუთება

საზოგადო სახელებთან წოდებითი ბრუნვის ნიშანი ძველ ქართულში იყო -ო. იგი დღესაც უცვლელად არის წარმოდგენილი ბოლოთანხმოვნიან სახელებთან: **კაც-ო, მეგობარ-ო, სახლ-ო** და სხვ. ხმოვნით გათავებულ ფუძეებთან კი წოდებითის -ო იქცა ვ-დ ან სულ დაიკარგა. ამიტომ მივიღეთ პარალელური ფორმები: **დედა-ვ და დედა, მებალე-ვ და მებალე, წყარო-ვ და წყარო** და სხვ.

რაც შეეხება ადამიანთა საკუთარ სახელებს, არც თანხმოვანფუძიანებს და არც ხმოვანფუძიანებს წოდებით ბრუნვაში ნიშანი თავიდანვე არ ჰქონდა და ისინი დღესაც უნიშნოდ არის წარმოდგენილი: **დავით! ვახტანგ! პეტრე! გიორგი!..** ამ სახელებთან ზოგჯერ გვხვდება ბრუნვისნიშნიანი ვარიანტები: ხმოვანფუძიანებთან -ვ ნიშნიანი (**გიორგი-ვ, პეტრე-ვ...**) და თანხმოვანფუძიანებთან -ო ნიშნიანი (**დავითან-ო, ქეთევან-ო...**). ამგვარი ფორმები დიალექტურია.

თანამედროვე ქართულ სასაუბრო მეტყველებაში (აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურაში) ადამიანთა საკუთარ სახელებთან წოდებითის ფუნქციით საკმაოდ ხშირად გამოიყენება სახელობითი ბრუნვის ფორმები (**წოდარი! გურამი! თენგიზი! ეთერი!**), რაც სავსებით უმართებულოა სალიტერატურო ენის თვალსაზრისით.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, წოდებითი ბრუნვის ფორმათა წარმოებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. საზოგადო სახელების წოდებითი ინარმოება შემდეგნაირად:

1.1. ბოლოთანხმოვნიანებს უნდა დაერთოს -ო ნიშანი: **მაგ.: თავ-ო, კაც-ო, მეგობარ-ო, შვილ-ო, წყალ-ო** და სხვ.

1.2. ბოლოხმოვნიან ორ- და მეტმარცვლიან სახელებთან დასაშვებია პარალელური ფორმები: **ვ-ნიშნით ან უნიშნოდ (ე. ი. ფუძის სახით).** მაგ.: **დედა-ვ და დედა, კენგურუ-ვ და კენგურუ, მებალე-ვ და მებალე, სამშობლო-ვ და სამშობლო, ქვეყანა-ვ და ქვეყანა, წყარო-ვ და წყარო** და სხვ.).

1.3. ერთმარცვლიან ბოლოხმოვნიან სახელებს უნდა დაერთოს -ო ნიშანი: **ძმა-ო, და-ო, მთა-ო, მზე-ო, ხბო-ო, ყრუ-ო** და სხვ.

**შენიშვნა:** ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით პოეზიაში, დასაშვებია ორ- და მეტმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი საზოგადო სახელები წოდებითში იხმარებოდეს -ო ნიშნითაც. მაგ.: **დედა-ო** („დედაო ღვთისავ! ეს ქვეყანა შენი ხვედრია“. – ილია; „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ...“ – გალაკტიონი და სხვ.); ამგვარი ფორმები მართებულია ასევე სასულიერო პირებისადმი მიმართვისას: **მამა-ო, დედა-ო.** გამონაკლისის სახით დასაშვებია აგრეთვე ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი საზოგადო სახელების წოდებითში -ვ ნიშნიანი ფორმები. მაგ.: **ძმა-ვ** („მართალია, ძ მ ა ვ, კაცს მოსწყინდება ძუნწი ცხოვრება, ეს დასალონი...“ – ილია), **მზე-ვ** („მ ზ ე ვ, შინ შემოდიო!“ – ხალხური) და სხვ.

2. ადამიანთა საკუთარი სახელები წოდებითში უნდა იხმარებოდეს ბრუნვის ნიშნის გარეშე, ფუძის ფორმით: **გურამ! დავით! ეთერ! ელენე! თენგიზ! ლუკა! წოდარ! ნუნუ! პეტრე!..**

**შენიშვნა 1.** ქვემოთ ჩამოთვლილ ადამიანთა საკუთარ სახელებში ბოლოკიდური -ი ფუძისეულია და შერჩება სახელს ყველა ბრუნვაში, მაშასადამე, წოდებითში გვექნება: **აკაკი! ალექსი! გიორგი!**

**დიმიტრი! ირაკლი! რატი! სერგი! ქუჯი!.. ლალი! ლილი! მერი! ნანული! ნინელი!..**

**შენიშვნა 2.** ქემოთ ჩამოთვლილ ადამიანთა საკუთარ სახელებში ფუძე თანხმოვან ბგერაზე ბოლოვდება და, მაშასადამე, წოდებითში უნდა იხმარებოდეს ამგვარად: **ბესიკ! გურამ! დავით! ეთერ!** თამაზ! თენგიზ! მერაბ! ნოდარ! ოთარ! რამაზ! ჯემალ!..

3. გვარები წოდებითში უნდა გაფორმდეს შემდეგნაირად:

3.1. თუ გვარი ქართულია და ბოლოთანხმოვნიანი, უნდა დაერთოს -ო ნიშანი, მაშასადამე, მართებულია: **ბურდულ-ო, გომართელ-ო, მჭედლიშვილ-ო, ცხვედიან-ო, წერეთელ-ო** და სხვ.

3.2. თუ გვარი ქართულია და ბოლოხმოვნიანი, წოდებითში მას ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის: **ბაქრაძე! ბურგლა! გალოგრე! გუგუნავა! ინგოროვა! კუპრავა! მენაბლე! ნოდია! ჭავჭავაძე! ჭონქაძე!** ხოშტარია! ჯაბუა!..

3.3. თუ გვარი უცხოურია და თანხმოვანზე ბოლოვდება, უნდა დაერთოს -ო: **ბაირონ-ი – ბაირონ-ო, გრიბოედოვ-ი – გრიბოედოვ-ო, პუშკინ-ი – პუშკინ-ო, შექსპირ-ი – შექსპირ-ო** და სხვ.

3.4. თუ გვარი უცხოურია და ბოლოვდება ი ხმოვნით, წოდებით ბრუნვაში გამოიყენება უნიშნოდ. ფუძისეული ხმოვანი ქართულად გადმოტანისას შენარჩუნდება. მაშასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს: **ბოტიჩელი – ბოტიჩელიმ, წოდ. ბოტიჩელი, ბუდიონი – ბუდიონიმ, წოდ.ბუდიონი, დოსტოევსკი – დოსტოევსკიმ, წოდ. დოსტოევსკი, ვერდი – ვერდიმ, წოდ. ვერდი, კიაროსტამი – კიაროსტამიმ, წოდ. კიაროსტამი, ლი – ლიმ, წოდ. ლი, პაგანინი – პაგანინიმ, წოდ. პაგანინი, პავაროტი – პავაროტიმ, წოდ. პავაროტი....**

4. პირისადმი მიმართვისას სავალდებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული გვარების წოდებითში ხმარება (ასათიან-ო, გომართელ-ო, დავითაშვილ-ო...), ხოლო სიაში ამოკითხვისას – სახელობითში (ასათიან-ი, გომართელ-ი, დავითაშვილ-ი...).

5. გეოგრაფიული სახელები წოდებითში უნდა გაფორმდეს ამგვარად:

5.1. ბოლოთანხმოვნიანებს უნდა დაერთოს -ო. მაგ.: **გორ-ო, თბილის-ო, თერგ-ო, ლონდონ-ო, მტკვარ-ო, პარიზ-ო, რიონ-ო, ქუთაის-ო** და სხვ.

5.2. ბოლოხმოვნიანებთან დასაშვებია როგორც -ვ ნიშნიანი, ისე უნიშნო ვარიანტები. მაგ.: **აბაშა-ვ და აბაშა, ბარსელონა-ვ და ბარსელონა, მცხეთა-ვ და მცხეთა, პერუ-ვ და პერუ, რაჭა-ვ და რაჭა, საჩხერე-ვ და საჩხერე, ონტოფო-ვ და ონტოფო...**

**შენიშვნა.** ამავე წესს მიჰყვება ცხოველთა საკუთარი სახელები: **ლაბა-ვ და ლაბა, ნიშა-ვ და ნიშა, ნიკორა-ვ და ნიკორა, ყურშა-ვ და ყურშა, შვინდა-ვ და შვინდა და სხვ.**

5.3. თუ გეოგრაფიული სახელი უცხოურია და მისი ფუძე ი-ზე ბოლოვდება, წოდებითში იგი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს. შესაბამისად, გვექნება: **დელი – დელიმ, წოდ. დელი! ტრიპოლი – ტრიპოლიმ, წოდ. ტრიპოლი!..**

6. უცხოურიდან მომდინარე ტიტულისა და წოდების აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც თანხმოვანზე ბოლოვდება, წოდებითში წარმოდგენილი იქნება -ო ნიშნით: **გენერალ-ი – გენერალ-ო, მაიორ-ი – მაიორ-ო, პროფესორ-ი – პროფესორ-ო... ბარონ-ი – ბარონ-ო, გრაფ-ი – გრაფ-ო, ვიკონტ-ი – ვიკონტ-ო, ლორდ-ი – ლორდ-ო, მარკიზ-ი – მარკიზ-ო, პერცოგ-ი – პერცოგ-ო და სხვ.**

7. უცხოური მიმართვის ფორმები წოდებითში ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს: **მადამ!** მადმუაზელ! მილორდ! მის! მისის! მისტერ! სერ! სინიორ! ფრონილაინ!..

ნორმის პირველი ვერსია მოამზადა ივანე გიგინეშვილმა, გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

### **ნორმის პროექტის ახალი რედაქცია შეიმუშავა მაკა ლაპარტყავამ.**

პროექტი განხილულია თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის პირველი ივლისის სხდომაზე და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2019 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს.

## **თანდებულთა და თანდებულიან სახელთა მართლცერა**

თანდებულთა და თანდებულიან სახელთა მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. იმ შემთხვევაში, როცა თანდებულიან სახელს ნაწილაკი არ დაერთვის, **-ზედა, -ზედ, -ზე** სახეობათაგან თანამედროვე ქართულში ერთადერთ სწორ ფორმად უნდა დარჩეს **-ზე: თავზე, ხელზე, მიწაზე...**

**-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას მართებულია როგორც ძველი **(-ზედა)** სახეობა, ისე თანამედროვე ქართულში ფართოდ გავრცელებული **-ზე** ვარიანტიანი ფორმები:

<b>-ზეც</b>	<b>-ზედაც</b>
<b>მთაზეც</b>	<b>მთაზედაც</b>
<b>მიწაზეც</b>	<b>მიწაზედაც</b>
<b>სახლზეც</b>	<b>სახლზედაც</b>
<b>ჩემზეც</b>	<b>ჩემზედაც</b>
<b>მეგობარზეც</b>	<b>მეგობარზედაც</b>
<b>რომელზეც</b>	<b>რომელზედაც</b>

**-ვე** ნაწილაკის დართვისას მართებული ფორმებია როგორც **-ზედ,** ისე **-ზე** თანდებულიანი ვარიანტები:

<b>-ზევე</b>	<b>-ზედვე</b>
<b>მთაზევე</b>	<b>მთაზედვე</b>
<b>მიწაზევე</b>	<b>მიწაზედვე</b>
<b>სახლზევე</b>	<b>სახლზედვე</b>
<b>ჩემზევე</b>	<b>ჩემზედვე</b>

2. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთი მართებული სახეობაა -ში. -ც(ა) ნაწილაკის დართვისას შეიძლება გამოიყენებოდეს -შია სახეობაც:

-შიც	-შიაც
ამაშიც	ამაშიაც
მთაშიც	მთაშიაც
პარშიც	პარშიაც

3. -ც(ა) ნაწილაკის დართვისას მართებულია -თანა, ხოლო -ვე ნაწილაკიან ფორმებთან – -თან სახეობა:

-თანა-ც	-თან-ვე
დედასთანაც	დედასთანვე
მეგობართანაც	მეგობართანვე
სახლთანაც	სახლთანვე
ჩემთანაც	ჩემთანვე

4. -გან თანდებულიან სახელებზე -ც(ა) ნაწილაკის დართვისას მართებული ფორმაა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული -გან-ა-ც ვარიანტი, ხოლო -ვე ნაწილაკის დართვისას – მხოლოდ გაუვრცობელი ფორმა:

-განა-ც	-გან-ვე
მეგობრისგანაც	მეგობრისგანვე
ძმისგანაც	ძმისგანვე
ჩემგანაც	ჩემგანვე

5. ნათესაობითი ბრუნვის ფორმებზე -თვის, -კენ და -გან თანდებულების დართვისას ორივე ვარიანტი (გაუვრცობელიც და გავრცობილიც) მართებულია: ძმისთვის და ძმისათვის, სახლისკენ და სახლისაკენ, მეგობრისგან და მეგობრისაგან...

6. -მდე, -მდის, -მდი, -მდინ და სხვა სახეობათაგან მართებულია მხოლოდ ორი – -მდე და -მდის ფორმები: ქალაქამდე და ქალაქამდის, აქამდე და აქამდის...

ამათგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უპირატესია -მდე ვარიანტი.

7. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს -გან და -დან (//იდან) თანდებულიანი ფორმები:

7.1. -გან გამოიყენება მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა აღნიშნავს ან მასალას, ან

მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მიუგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? (წერილი მივიღე ამხანაგისგან (ამხანაგისაგან); შაქარს ამზადებენ ჭარხლისგან (ჭარხლისაგან); მიწვევა მიღებს უნივერსიტეტისგან (უნივერსიტეტისაგან)).

7.2. -დან (//იდან) გამოიყენება მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა გამოხატავს მოქმედების დაწყების ადგილს ან დროს და მიუგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან? (ქალაქიდან ჩამოვიდა, დილიდან წვიმდა, სამშობლოდან დაბრუნდა).

8. -ვით თანდებული მხოლობით რიცხვში უნდა დაერთოს მიცემითის გავრცობილ ფორმებს (ხმოვანფუძიანებსაც და თანხმოვანფუძიანებსაც): დედასავით, კაცსავით, ლომსავით, მზესავით, ხოლო სახელობით ბრუნვაში – მხოლოდ თანხმოვანფუძიანებს (კაცივით, მეგობარივით, ლომივით), მრავლობით რიცხვში კი – როგორც სახელობითის, ისე მიცემითის ფორმებს: დედებივით, კაცებივით, მეგობრებივით... ბავშვებსავით, ჩურჩელებსავით....

პირის ნაცვალსახელზე -ვით თანდებულის დართვისას შესაბამისი კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძე უნდა იქნეს გამოყენებული და ერთადერთ სწორ ფორმად ჩაითვალოს მიცემითბრუნვიანი ვარიანტები (ჩემსავით, შენსავით, ჩვენსავით, თქვენსავით).

## დასაბუთება

თანამედროვე ქართულში თანდებული დაერთვის სახელობით, მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვათა ფორმებს. ზოგი თანდებული თითო ბრუნვას ერთვის, ზოგიც – ორს. თითო ბრუნვას ერთვის: -ზე, -ში, -თან (მიცემითს); -კენ, -თვის (ნათესაობითს); -მდე // -მდის (ვითარებითს); -ურთ (მოქმედებითს). ორ ბრუნვას ერთვის -გან (მოქმედებითსა და ნათესაობითს) და -ვით (სახელობითსა (მხოლოდ თანხმოვანფუძიანებს) და მიცემითს). ყველა ეს თანდებული თანამედროვე ქართულში ერთმარცვლიანია და შერწყმულია სახელის ბრუნვის ფორმასთან, ძველ ქართულში კი მათი უმრავლესობა ორმარცვლიანი იყო და სახელს არ შეერწყმოდა. შერწყმის პროცესში ცვლილებები მოხდა როგორც ბრუნვის ფორმებში, ისე თანდებულებშიც. სწორედ ამის გამო დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ზოგჯერ გვაქვს პარალელური ვარიანტები.

პარალელურ ფორმათა არსებობას სალიტერატურო ქართულში ისიც იწვევს, რომ ზოგი თანდებული დიალექტებში სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი, აღსანიშნავია ისიც, რომ ბრუნვის ფორმასთან შერწყმისას კილოებში სალიტერატურო ენისგან განსხვავებული პროცესი შეინიშნება. მწერლობის გზით ამგვარი ფორმები, ბუნებრივია, სალიტერატურო ენაშიც იჭრება.

1. -ზე თანდებული მიცემით ბრუნვას დაერთვის და სამი სახით გვხვდება: -ზედა, -ზედ და -ზე. -ზედა სახეობა იხმარებოდა ძველ ქართულში, ცალკე იდგა და სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა უცვლელად იყო წარმოდგენილი. ძველსავე ქართულში იგი ნათესაობით ბრუნვასაც დაერთოდა. -ზედ და -ზე სახეობები -ზედა-ს გამარტივების შედეგია და შერწყმულია ბრუნვის ფორმასთან. შერწყმისას მიცემითი ბრუნვის ფორმანტი დაკარგულია ყველგან: თანხმოვანფუძიანებთანაც და ხმოვანფუძიანებთანაც. მიცემითის -ს დაცულია III პირის ნაცვალსახელში **მა-ს-ზე**, მაგრამ ჩვენებითი ნაწილაკების დართვისას აქაც იყარება: **ამა-ზე, იმა-ზე...**

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული მწერლობის კლასიკოსებთან -ზედ და -ზე სახეობები თანაბრად გვხვდება.

-ზედ თანდებულიანი ფორმები ხშირია ილიას, ვაჟას, აკაკისა და ყაზბეგის შემოქმედებაში, აგრეთვე – უცხოურიდან ნათარგმნ ლიტერატურაში.

მაგ.: „კაცი მას ჰქვიან, ვინც ძონძები ტანზედ ჩაიცვა და მით ამაყობს“ (ვაჟა-ფშაველა); „ეს ოცი წელიწადია მხიარული ფერი არ მიუკარებია ტანზედ“ (ი. ჭავჭავაძე); „რამდენადაც გაგი იქ იტანჯებოდა, იმდენად გორაზედ მყოფთ ნუგეში ეძლეოდათ და იმედი ჰქონდათ“ (ალ. ყაზბეგი); „დარეჯან დედოფლის სასახლე მეტეხის გორაზედ გვიანი შუასაუკუნეების პერიოდის ძეგლია“ (დედათა მონასტრის ისტორია)...

თანამედროვე ქართულში ძირითად სახეობად დასტურდება -ზე თანდებულიანი ვარიანტები. მაგ.: „გლეხი კაცი მოამრავლე, სახლი სახლზე მიადგიო“ (მ. ჯავახიშვილი); „ჯაჭვის ხიდიდან

სალომე და პარმენი მთაზე ზეალმავალ დაკლაკნილ ბილიკს გაჰყვნენ“ (ნ. ლორთქიფანიძე); „ის ქალაქი დიდ მდინარეზე იყო გაშენებული“ (მ. ჯავახიშვილი); „მაინც არ არსებობს დედამიწაზე ისეთი ორი სიტყვა, ოდესმე ერთმანეთს რომ არ შეეხამოს“ (გ. დოჩანაშვილი); „...მკვდარი რო იპოვეს კუს ტბაზე სამი დღის წინათ“ (აკა მორჩილაძე) და ა. შ.

თუმცა გარკეულ შემთხვევებში (პროზასა თუ პოეზიაში) მაინც დასტურდება -ზედა ვარიანტიანი ფორმები.

-ზედ სახეობა იხმარება -ვე ნაწილაკის დართვისას: **თავზედვე, მთაზედვე, თქვენზედვე...**

მაგ.: „ხანჯალი ტანზედვე გაისწორა“ (ა. წერეთელი); „გაჯავრებულმა უფალმა მთაზედვე უთხრა ეს ამბავი მოსეს და დაემუქრა“ (საღმრთო ისტორია, წიგნი II); „სინას მთაზედვე მეფემ ააშენა წმ. ეკატერინეს მონასტერი, რომელიც გაამდიდრა ყოველის შემკულობით...“ (ბიბლიური ისტორია); „და შენს თავზედვე შენგან ცილსა როგორ მოგითმენ, ვიცი ზარმაცი შენ არა ხარ...“ (ივ. მაჩაბელი, თარგმ.)...

თანამედროვე სალიტერატურო ენაში ძირითადად გვაქვს -ზე თანდებულიანი -ვე ნაწილაკდართული ვარიანტები: „ამაზევე მოგახსენე“; „შენზევე ითქვა“; „ჩემზევე უკმაყოფილო ადამიანები რეკავენ“; „თქვენზევე ნათქვამი სიტყვა დამხვდა წინ“. ამას მხარს უჭერს ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კორპუსის მონაცემებიც.

-ზედა სახეობა იხმარება ც(ა) ნაწილაკის დართვისას: **თავზედაც, თქვენზედაც, ჩემზედაც, რომელზედაც, იმაზედაც, მასზედაც.**

მაგ.: „თქვენზედაც გული შემტკივა... აი ამოდენა (დაბლა ხელით აჩვენა) ხელში მჭერიხართ“ (ი. ჭავჭავაძე); „მაგრამ თემი და მისი საქმე შენზედაც დიდია და ჩემზედაც“ (ალ. ყაზბეგი); „შეიტანა შიგ ორი მოკლე ფიცარი, რომელზედაც უნდა დაეწვინა სპიდონა“ (დ. კლდიაშვილი); „დისწულიც ტყეში გამივარდა და მამაც ციხეში მიღება, იმაზედაც იტყვი, ალექსანდრე კაცი არ არისო?“ (მ. ჯავახიშვილი); „მატყლის დიდ საბანს თავზედაც კი წაიფარებდა და ჩათბუნების მოლოდინში ინაბებოდა“ (გ. დოჩანაშვილი)...

თანამედროვე ქართულში -ც(ა) ნაწილაკთან -ზე თანდებულიანი ფორმები უფრო ხშირად დასტურდება: **შენზეც, ჩემზეც, რომელზეც, იმაზეც, მასზეც.**

მაგ.: „ეს იმის დასტური იქნება, რომ რასაც ახლა გეტყვი, იმაზეც ყაბული ხარ“ (ჭ. ამერიჯიბი); „**შენზეც** ვიცი, – ხმას აუნია მაკუცუნამ: – შენ იცი, რას უზამ ვასიკო მუხაშავრიას? (აკა მორჩილაძე); „მისი ღიმილი ჩემზეც გადმოდის და ვეღარ ვულიმი“ (გ. დოჩანაშვილი); „ყოველთვის ვჩეუბობდით და ერთადერთი გოგოა დედამიწის ზურგზე, რომელზეც არასაღეს არაფერი გამიფიქრია“ (აკა მორჩილაძე); „შემთხვევა იმდენად უჩვეულო იყო, რომ ღირს მასზეც ორიოდე სიტყვის თქმა“ („საქ. რესპუბ.“, 2005).

-ზედა თანდებული ჩვეულებრივია პოეზიის ენაში: „გამწიეს და გამომწიეს ჩამომკიდეს ცხენზედაო“ (ხალხური); „ვზივარ სამეფო ტახტზედა! შეურაცხყოფას ვინ მკადრებს? სალამს მიძღვნიან ცდაზედა“ (ვაჟა-ფშაველა); „დაბრძანდა ოქროს ტახტზედა, ვით მეფე ქვეყნის მპყრობელი“ (ვაჟა-ფშაველა); „მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალ-ახალი, ღითონზე უფრო მაგარი, პირამიდებზე მაღალი“ (გ. ტაბიძე); „ადამის მოდგმა დაობლდა თუ გველი გაწვა ცაზედა“ (მ. კოსტავა); „ხან ხმელზე, ხანაც ზღვაზედა, არც კლდეზე ჩაეძინება“ (ვ. ხორნაული)...

ზოგ მნერალთან -ზედა თანდებული გამოიყენებოდა იმ შემთხვევაშიც, როცა ფრაზის შეკვრა იყო საჭირო: „უკეთესია კოზლოვის თარგმანზედა“ (ი. ჭავჭავაძე); „დაასვენეს ტახტზედა“ (ი. ჭავჭავაძე), თუმცა თანამედროვე ქართულში -ზედა ვარიანტი არც ამ შემთხვევაში გამოიყენება. „უკეთესია შენს ლექსზე“, „დაჯდა ტახტზე“...

2. მიცემით ბრუნვას დაერთვის -ში თანდებულიც. ძველ ქართულში გვქონდა -შინა, შემდეგ - -შიგან. ისინი ცალკე მდგომი თანდებულები იყო და მათ წინ სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა უცვლელად დასტურდებოდა. ახლანდელი -ში შერწყმულია ბრუნვის ფორმასთან და ბრუნვის

ფორმანტი დაკარგულია. ბრუნვის ნიშანი დაცულია მხოლოდ III პირის ნაცვალსახელთან: **მასში** (მაგრამ: **ამაში, იმაში...**). დიალექტებში არის **-შიდ**, **-ჩი**, **-ჩიგა** სახეობები, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ენაში ისინი არ გვხვდება.

**-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას გამოიყენება **-შია** სახეობაც: „ზოგი ჩემს **გულშიაც** ჩაიხედე“ (ი. ჭავჭავაძე); „ბატონო, გეძებთ თავქუდმოხდილი, **სასახლეშიაც** გახლდით, ვერ გნახეთ!“ (ა. წერეთელი); „მასწავლებლის **ოთახშიაც** კარგა ბლომად ირევა ხალხი“ (ე. გაბაშვილი)...

თანამედროვე ქართულში ასეთ შემთხვევებში უპირატესობით სარგებლობს **-ში** (და არა **-შია**) სახეობა.

მაგ.: „საწოლ **ოთახშიც** გავვარდი, იქაურობაც წივილ-კივილით მოვირბინე“ (ჭ. ამირეჯიბი); „ჰო, მოგართმევენ, სულ კაპიკ-კაპიკ ჩაგითვლიან, **სახლშიც** წამოგყვებიან, არ გინდა?“ (ნ. შატაიძე); „ზღვაზე ვიყავი და თან **სახლშიც** ვიყავი... კაროჩე, რას გეუბნები“ (აკა მორჩილაძე); „მზე **წვიმაშიც**, თოვლსა და ლრუბლიანობის დროსაც არ მოგვაკლებს ულტრაიისფერ სხივებს“ („საქ. რესპუბ.“, 2014) და სხვ., თუმცა დასტურდება **-შია** სახეობიანი ვარიანტებიც: „ეგვევი რწმენა ჩაენერგა ძმის **გულშიაც**“ (დ. კლდიაშვილი); „ის შენი ქმარი **სახლშიაც** არ იღებს ხმას?“ (რ. ჭეიშვილი); „შენი სიტყვა უთხარი, ესეც დაგჭირდება **გზაშიაც** და **ცხოვრებაშიაც**“ (ლ. გოთუა); „გუშინ ოპოზიციას არეულობის მოწყობა **გულშიაც** არ გაუვლია“ („ახალი თაობა“, 2008); „ზოგი უფრო ახლობელი, **ოთახშიაც** შემოვიდოდა, და იმ მძიმე დღეში მყოფს, გულს შვებად მოეფონებოდა“ („ლიტ. საქ.“, 2003).

პოეზიაში **-შია** ვარიანტი ბუნებრივია: „დამისიეს, გამომიდგნენ, გავექეცი განზედაო, **ალმართშია** მე ვაჯობე, იმათ თავდალმართზედაო“ (ხალხური).

3. **-თან** თანდებულიც მიცემით ბრუნვას დაერთვის. იგი ძველი ქართულის ცალკე მდგომი **თანა** თანდებულისაგან მომდინარეობს, რომელიც ძველ ქართულში მიცემითსაც დაერთოდა და ნათესაობითსაც. მიცემითი ბრუნვის ნიშანი **-ს** დაკარგულია (ე. ი. **სთ** კომპლექსი გამარტივებულია) თანხმოვანფუძიან სახელებთან (**ბალ-თან**, **სახლ-თან**...), მაგრამ შემონახულია ხმოვანფუძიანებთან (**ეზო-ს-თან**, **მამა-ს-თან**...). მთის კილოებში ორივეგან გვაქვს: როგორც თანხმოვანფუძიანებთან, ისე ხმოვანფუძიანებთან (**სახლ-ს-თან**, **დედა-ს-თან**). სხვა აღმოსავლურ კილოებში **ს** ზოგჯერ ხმოვანფუძიანებთანაც იკარგება (**მამათან**) ან სუსტდება და მას **ვ** ცვლის (**მამა-ვ-თან**), ზოგ დასავლურ კილოში კი ხმოვანფუძიან სახელებში მიცემითის **ს** შემონახულია, მაგრამ დაკარგულია თანდებულის **თ** ელემენტი და **სთ** კომპლექსი ამ გზითაა გამარტივებული (**ეზო-ს-ან**, **მამა-ს-ან**)... ეს კილოური მოვლენები სალიტერატურო ქართულზე გავლენას ვერ ახდენს...

**-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას გვქონდა ორივე სახეობა: **ამხანაგთანც** და **ამხანაგთანაც**; **დედასთანც** და **დედასთანაც**, თუმცა თანამედროვე ქართულში **-თანც** ვარიანტიანი ფორმები ფაქტობრივად აღარ დასტურდება. ისინი მთლიანად ჩაანაცვლა **-თანაც** სახეობამ.

მაგ.: „ამ ლაპარაკში ისინი მივიდნენ **სახლთანაც**, რომელიც უფრო ქოხს ჰგავდა“ (დ. კლდიაშვილი); „სხვა საქართველოს“ ჯავრი კი გულთანაც არ გაუკარებია“ (ლ. სანიკიძე); „ამ რამდენიმე დღის წინ დარეკეს მის **ძმასთანაც**, რომელსაც აუხსნეს, რომ შესაძლოა სულხანის ფიზიკური ლიკვიდაცია“ („რეზონანსი“, 2005), „....დაწესებულებაში არ არის ის პირობები, რომ ბავშვმა ერთდღოულად **დედასთანაც** იცხოვროს და პარალელურად სკოლაშიც იცხოვროს“ („საქ. რესპუბ.“, 2012); „მანამდე და მის შემდეგაც ბევრი ჩამოსულა, იმ **ხესთანაც** ბევრს ჩაუვლია“ („დილის გაზეთი“, 2000); „მონიტორინგის ორგანოს ხელშეკრულება გზების დეპარტამენტის კვლევით **ინსტიტუტთანაც** აქვს გაფორმებული“ („საქ. რესპუბ.“, 2010) და სხვ.

**-ვე** ნაწილაკი თანამედროვე ქართულში დაერთვის მხოლოდ გაუვრცობელ ფორმებს.

მაგ.: „ადამიანი თუ შენ გიჩივის, სარჩელი **შენთანვე** უნდა მოიტანოს“ („საქ. რესპუბ.“, 2007); „ეს თქვენთვის ძვირფასი სახსოვარია და **თქვენთანვე** უნდა დარჩესო“ („ახალი 7 დღე“, 2005); „რა თქმა უნდა, ავტომობილი **კარებთანვე** ჩამოუყენეს“ („მწერალი“, 2002).

4. ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის **-თვის** თანდებული. ამ თანდებულის დართვისას ბრუნვის ფორმაში ცვლილებები არ ხდება. ბრუნვის ფორმა გაუვრცობლადაც შეიძლება იყოს

წარმოდგენილი და გავრცობილადაც (მეგობრისთვის, მეგობრისათვის; დედისთვის, დედისათვის...).

მაგ.: „ვითომ მისთვის – მეგობრისთვის გაკეთდა ეგ და უარეს საძებარში და თავსატეხში ჩავაგდეთ ახლა“ (ჭ. ამერიჯიბი); შდრ.: „ოღონდ აქტი გონიერი გვიქადაგებს: ჯერ არს რათა მეგობარმან მეგობრისათვის სული თვისი დადვას“ (მ. ჯავახიშვილი); „ჩონგური უჩუქნია თურმე დედისთვის აგურისფერჩოხიან მამაკაცს“ (კ. გამსახურდია); შდრ.: „ოტია ახლა იმის რჩევაში იყო, თუ როგორ გამოეცხადებინა დედისათვის თავისი განზრახვა“ (დ. კლდიაშვილი), ან კიდევ: „რაღაცნაირად ეშინოდა, ერთხელ არ გაუსწორებია მამისთვის მზერა, მალულად თუ შეათვალიერებდა“ (გ. დოჩანაშვილი); „ეს რომ კოშა თოლორაიას გაუგია, გამწყრალა, ამხანაგისთვის საყვედური უთქამს“ (ჭ. ამერიჯიბი).

აღმოსავლურ დიალექტებში გვხვდება -თვინ, -თვინა, -თვი სახეობები, რომელთაგანაც -თვინ ზოგ დასავლურ დიალექტშიც არის შემორჩენილი. ამ სახეობებმა ადრევე იჩინა თავი და საკმაოდ ხშირად გვხვდება XIX საუკუნის კლასიკოსთა ენაშიც (-თვინ – ილიასთან, ალ. ყაზბეგთან, -თვი – ვაჟა-ფშაველასთან).

კილოური მოვლენები სალიტერატურო ენაზე გავლენას ვერ ახდენს, შესაბამისად, გაბატონებულია მხოლოდ -თვის სახეობა.

5. ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის -კენ თანდებულიც. ფონეტიკური ცვლილებები არც ამ თანდებულის დართვისას ხდება და ბრუნვის ფორმა შეიძლება იყოს გავრცობილიც და გაუვრცობელიც (სახლის-კენ და სახლისა-კენ; ეზოს-კენ და ეზოსა-კენ). მაგ.: „ჯაყოს თითქო არ ესმის, ორივე ხელს ეზოსკენ იქნევს, თითქო პეშვებით ოქროს უყრისო“ (მ. ჯავახიშვილი); შდრ.: „დუქნის წინ გაიარ-გამოიარა ულვაშების გრეხით, გადიარა კაკლუას ეზოსაკენ და გამოეხმაურა გზირს“ (ვ. ბარნოვი); „მესამე დღესვე მთელი ეს აუარებელი ხალხი, ლევანის სპა-ჯარით შევსებული, მთისკენ გაემართა“ (ნ. ლორთქიფანიძე); შდრ.: „დილით ადრე გავირეკე მთისაკენ ცხვარი“ (გ. ჩოხელი); „დევნილი ნადირის უნებური სიამაყით დაგებერა თხელი ნესტოები, ზღვი-სა-კენ იცქირები“ (გ. დოჩანაშვილი), შდრ.: „უნდა დაისვენოთ, გადით პარიზიდან – ან ზღვისკენ გაისეირნეთ“ (მ. ჯავახიშვილი)...

მთის კილოებში (მაგ., ფშაურში) გვაქვს -ვე, -ვ სახეობებიც, რომლებიც ხშირად დასტურდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. -ვე ვარიანტი ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება.

თანამედროვე სალიტერატურო ენაში ერთადერთი მართებული ვარიანტია -კენ.

6. -მდე // -მდის თანდებული დაერთვის ვითარებითი ბრუნვის ფორმას. ძველ ქართულში -მდე // -მდის თანდებულების წინ დ მეტნილად დაცული იყო (დღე-დ-მდე // დღე-დ-მდის; სახლ-ა-დ-მდე), თუმცა ადრევე დაიკარგა. მხოლოდ თანხმოვანფუძიან სახელებშია შემონახული ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ა ელემენტი (სახლ-ა-მდე). ძველ ქართულში გვხვდებოდა ამ თანდებულის ორივე სახეობა. XVI-XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენაში მათ დაემატა -მდენ, -მდენა, -მდი, -მდინა, -მდისინ, -მდისინა ვარიანტები, რომლებიც ამჟამად დაცულია კილოებში, ზოგი მათგანი გვხვდება XIX საუკუნის II ნახევრის მწერალთა ენაშიც. მაგ.: „შემოდგომამდინ გაუძლო“ (ი. ჭავჭავაძე); „სოლომონმა ჭიშკრამდი მიაცილა“ (დ. კლდიაშვილი); „ხორციდან დაწყებული სულამდინ გამცალა“ (გ. ნერეთელი).

-მდი სახეობა გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში (ა. ნერეთელი, დ. კლდიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე...), ამ ფორმას იცავდა სილოვან ხუნდაძე, ხოლო -მდინ სახეობა საკმაოდ ხშირად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერლებთან:

-მდი: „ძმაო ნიკო! მე სხვადასხვა შემთხვევის გამო ხუთშაბათამდი ვერ მოვდივარ“ (ა. ნერეთელი); „სკოლაში იმას თუ გასწავლიან, შუადღემდი იძინეო!“ (ვაჟა-ფშაველა); „საწყალ სონიას არც კი გაუგია, როგორ გამოიარა გზა ქველიძიდან სახლამდი“ (დ. კლდიაშვილი); „იმას მოგახსენებდით, ბატონო, შუადღემდი სანახავადაც ვერ მიხვალ...“ (გ. ერისთავი); „ეზო სახლიდან ჭიშკრამდი ნელ-ნელა დაღმართ მიდის“ (ნ. ლორთქიფანიძე)...

-მდინ: „თქმულა, რომ არავინ დარჩება ბოლომდინ მოუმდურავი“ („გაბაასება კაცისა და სოფლისა“); „ლუარსაბმა სიზმარი თავიდან ბოლომდინ, როგორც იყო, ისე უამბო“ (ი. ჭავჭავაძე); „მე უფალმა იმოდენა ლონე კიდევ შემარჩინა, რომ ჩემს ბედს ბოლომდინ, საფლავის კარებამდინ,

მივიტან“ (ი. ჭავჭავაძე); „ეს ერთი თუმანი მომცა და ამაში შემოდგომამდინ თხუთმეტი მანეთის ბარათი ჩამომართვა“ (ა. ფურცელაძე); „მაინც ღრმა შემოდგომამდინ იცოდა სოფლად ყოფნა, მხარში ედგა თავის დედამთილს“ (ვ. ბარნოვი)...

-მდე: „**ფოთამდე** ორ დღეს მოვუნდი სიარულს“ (ა. წერეთელი); „უჰ, **აქამდე** როგორ ვერ მივხვდი – თქვენ ძალიან ჰგავხართ აურელიანო – სქელს“ (გ. დოჩანაშვილი); „იმ ღამეს თარანთან ქვრივს დილამდე ძილი არ მიჰყარებია“ (ი. ჭავჭავაძე); „**ქალაქამდე** დიდი გზა გვაქვს“ (მ. ჯავახიშვილი); „საკვირველია ჩემამდე რატომ არ მოვიდა თოთიას და მანგიას შუღლი“ (მ. ჯავახიშვილი); „თელავიდან **ქალაქამდე** პატარა მანძილია“ (მ. ჯავახიშვილი); „ყრმა რომ **ცამდე** მართალი იყოს, ბატონს ვერ უჩივლებს, ნება არა აქვს“ (მ. ჯავახიშვილი); „მიყვარს მარტო ქარიშხალი თვალუწვდენელ ზღვიდან **ზღვამდე**“ (გ. ტაბიძე); „და ეს ქვეყანა აივსოს **ცამდე**, შხამით და გესლით მორიელისა“ (ლ. ასათიანი); „რას ვხედავ – რამდენიმე ჯეელ მეზობელს, ჩემამდე მოუყრია აქ თავი“ (დ. ტურაშვილი); „კიდმანი ეკლესიამდე კრემისფერი ლიმუზინით მივიდა“ („ხვალინდელი დღე“, 2006).

-მდის: „დილიდან **საღამომდის** ვდიე ხან ერთს და ხან მეორეს“ (ა. წერეთელი); „**ფერისცვალებამდის** არ მოიცდის ხოლმე“ (ი. ჭავჭავაძე); „ნაცყვა დედოფალს ეკლესიამდის და იქიდან ყურთნამდები მაყრულით გამოჰყევა ახლად ჯვარდანერილებს“ (დ. კლდიაშვილი); „გულგადატრიალებულმა ძლივს მიაღწია ცოცხალმა **სახლამდის**“ (დ. კლდიაშვილი); „**ქალაქამდის** ევლოთ და ეხლა, ერთ გუნდად შეჯვეუფერებული, გატაცებით გაპეტეროდნენ“ (ვ. ბარნოვი); „კი მაგრამ, სად იყავ აქამდის გადაკარგული, შე ღვთისპირიდან გადავარდნილო?“ (დ. შენგელაა); „დღეს მე მსურს ვიმღერო ისე, როგორც **ჩემამდის** არავის უმღერია, რადგან ეს სიმღერა შენზე იქნება“ (ტ. ტაბიძე); „ზღვიდან ცამდის, ციდან **ზღვამდის**, მზის ალმური ჩადის... ჩადის!“ (გ. ტაბიძე).

-ც ნაწილაკის დართვისას ჩნდება მავრცობი ხმოვანი: **აქამდის** – **აქამდისაც**, **სახლამდის** – **სახლამდისაც**, **სკოლამდის** – **სკოლამდისაც...**

თანამედროვე ქართულში ძირითადად -**მდე** ვარიანტიანი ფორმები გვაქვს. -**მდის** აქტიურად გამოიყენება რამდენიმე გაქვავებულ ფორმაში – **ნახვამდის**, **ხვალამდის**, თუმცა ეს უკანასკნელიც (**ხვალამდის**) ნელ-ნელა -**მდე** ვარიანტზე გადადის.

ზემოთქმული ეხება როგორც გამოთხოვების, დამშვიდობების აღმნიშვნელ გამოთქმებს, მაგ.: „აბა, მშვიდობით, **ხვალამდე**“, შდრ.: „– **ხვალამდის!** – მითხრა იანგულიმ და მხოლოდ ახლა შევამჩნიე, ზედა ტუჩი შესივებული ჰქონდა“ (ნ. დუმბაძე), ისე დროის ზმნისართებს, მაგ.: „**ხვალამდე** არ ჩამოივლიანო, ძობამ რომ უთხრა, – ვინ აღარ ჩამოივლის?“ (ჭ. ამირეჯიბი); „რას ფიქრობ, ვერტმფრენი რომ გავუშვათ და **ხვალამდე** აქ დავრჩეთო“ (კ. გამსახურდია); „ნუღარ ტირი, ძამიკო, **ხვალამდე** გასძელ, და სამ ულუფას მოვაცემინებ“ (გ. დოჩანაშვილი), შდრ.: „მხოლოდ გთხოვთ **ხვალამდის** დამაცადოთ, დღეს მეტად სუსტადა ვარ“ (ა. ყაზბეგი); „თქვენი პატივისცემით გამოძიება **ხვალამდის** გადამიდვია, – და წყნარად გავიდა“ (ა. ყაზბეგი); „შენ აქ მოისვენე **ხვალამდის**, – ჯვარი გადასახა, შიშჩამდგარი თვალებით ერთხელ კიდევ შეხედა ყრმას“ (გ. აბაშიძე).

გამოთხოვების, დამშვიდობების შემთხვევაში, ბუნებრივია, მართებულ ფორმად -**მდის** თანდებულიანი (**ნახვამდის**) ვარიანტი მიიჩნევა, რასაც მხარს უჭერს „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ და სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზიც, მაგ.: „ხათუთა, ჩემო ხათუთი! **ნახვამდის**, გენაცვალოს ვაჟიკა, **ნახვამდის!** (მ. ჯავახიშვილი); „ნარმოიდვინეთ, სულ სხვა რამ შემძახა: **ნახვამდის**, სიმიკო! (გ. დოჩანაშვილი); „აბა, **ნახვამდის**, არ დაგავიწყდეს! – და ბიჭი გადაუხვევს გზაბოძალში“ (ნ. ლორთქიფანიძე); „**ნახვამდის!** – მივაძახე და სამაგიერო პასუხს აღარ დაველოდე“ (დ. შენგელაა)... თუმცა გვხვდება დამშვიდობების, გამოთხოვების შინაარსით გამოიყენებული -**მდე** თანდებულიანი (**ნახვამდე**) ფორმაც: „გზა მშვიდობისა! **ნახვამდე**, – მიუგო გილიომენმა...“ (გ. ფლობერი)...“

როცა ზემოთ **ნარმოდგენილი** ლექსიკური ერთეული დროის ზმნისართის ფუნქციით არის გამოიყენებული, -**მდე** თანდებულიანი ფორმები სჭარბობენ -**მდის** თანდებულიან ფორმებს.

მაგ: „ყოველი დღე, მის **ნახვამდე** რომ ედო, ღვთის საჩუქრად მიაჩნდა“ („ლიტ. პალიტრა“, 2008); „მათ მიერ ნარმოდგენილი შედეგები იუმორისტული ვიდეოფილმების **ნახვამდე**, ნახვის დროს და შემდეგ, დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ“ („საქ. რესპუბ.“, 2010); „ჩემი ოჯახი აღნიშნული დეოფირის **ნახვამდე**, გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებდა“ („რეზონანსი“, 2007)...

7. -**გან** თანდებული ორ ბრუნვას დაერთვის: ნათესაობითსა და მოქმედებითს. ნათესაობითზე

დართვისას ბრუნვის ფორმა გავრცობილადაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი და გაუვრცობლადაც (შვილისგან და შვილისაგან; გოგოსგან და გოგოსაგან; ძმისგან და ძმისაგან...).

მაგ.: „თედოს ყინჩანითელი კვერცხი, მართლა კვერცხი კი არა, ხისგან იყო გამოთლილი“ (თ. ბიბილური); შდრ.: „სამაგიეროდ მრავლად მოიპოვებოდა იქ კოდი, ხისაგან გამოჭრილი, მრგვალი და გრძელი“ (გ. რობაქიძე); „აქლემიც იგივე მიწისგან გამოძერნაო ღმერთმა, რა მიწისგანაც პირველი ადამიანი“ (ლ. სანიკიძე); შდრ.: „ევროპის სტეპები გადათქერეს და სრულიად ევროპული სამყარო მიწისაგან ალვისა და გაცამტვერების წინაშე დააყენეს“ (ლ. სანიკიძე); „მზისგან შერუჯულ შიშველ წვივებზე კუნთების ჯაჭვი უთამაშებს“ (ლ. ქიაჩელი), შდრ.: „მუხისფოთლებიანი შტო ხეირიანად შეუკრავს და გვირგვინად დაუდგამს თავზე მზისაგან დასაფარავად“ (ნ. ლორთქიფანიძე).

-გან თანდებულიანი ნათესაობითი ალნიშნავს ან მასალას, ან მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მოგვიგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? (წერილი მივიღე მეგობრისგან... შაქარს ჭარხლისგან ამზადებენ...), ხოლო -გან თანდებულიანი მოქმედებითი გამოხატავს მოქმედების დაწყების ადგილს ან მოქმედების დაწყების დროს, შესაბამისად, მოგვიგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან? მაშასადამე, გამოხატავს დაწყებითობის სემანტიკას.

-გან თანდებული მოქმედებითი ბრუნვის მხოლოდ გაუვრცობელ ფორმას ერთვის.

დაწყებითის ფუნქციით ძველ ქართულში იხმარებოდა უთანდებულო ფორმა (იგინი წარვიდეს ადრე მიერ საფლავით. – მ. 28,8; გარდამოქადა იგი მიერ მთით. – მ. 8,1; მე ოდეს აღვმაღლდე ქუეყანით. – ი. 12,32; მოვიდეს ქართლით. – ხანძთელი). შემდგომ ამ ფორმას -გან თანდებული დაერთო (პირველითგან იყო სიტყუა. – ი. 1,1; დასვა იობს წყლულება ბოროტი ფერწითგან ვიდრე თავამდე. – იობ. 2,7), რასაც მოჰყვა ფონეტიკური პროცესები: ჯერ თანდებულის მუღლერი გ-ს გავლენით ბრუნვის ნიშანი თ გამჟღერდა და და-დ იქცა (ქალაქ-იდ-გან), შემდეგ თანდებულის გ-ც დაიკარგა და დაგვრჩა ქალაქ-იდ-ან. ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებთან გვაქვს -დან: წყარო-დან, სამშობლო-დან... ფაქტობრივ, ფორმალურად -გან თანდებულმა შეიცვალა სახე. ამიტომაც სამეცნიერო ლიტერატურაში -დან // -იდან თანდებულებადაც გაიაზრება. ამდენად, თანამედროვე ქართულში -იდან და -დან ვარიანტები შეიძლება პირობითად თანდებულებად მივიჩნიოთ.

უთანდებულო ფორმები დაწყებითი ბრუნვის ფუნქციით ძველი ქართულის მსგავსად დაცულია მთის დიალექტებში:

„ჯერ მეფის სიტყვა არა სჩანს:

შემოგვესია მტერიო,

ფშავით მოიდეს ლაშქარი,

ჩემი ერთგული ერიო“ (ვაჟა-ფშაველა).

„მე კვირია ვარ, მიტირე,

თუშეთით მოსულ გზირია“ (ვაჟა-ფშაველა).

„ავა და ჩავა კახეთსა, ფშავით ამბავსა ჰიზიდავსა“ (ვაჟა-ფშაველა).

-იდ-გან ფორმა საკმაოდ ხშირად გვხვდება XIX საუკუნის მწერალთა ენაში. ამჟამადაც დაცულია ზოგ კილოში (მაგ., იმერულში).

მაგ.: „შორიდგან ვუმზერდე სასურველ მხარეს“ (გრ. ორბელიანი); „ცისა ფერს... სიყრმიდგან ვეტრფოდი“ (ნ. ბარათაშვილი); „შორიდგან სოფელმან მიმაგდო ყარიბობასა, გარნა სახე შენი ვით ვცე თმობასა?“ (ალ. ორბელიანი); „მათ დალვრემილს სახეზედ ღიმილი ჩნდებოდა და კმაყოფილების შუქი გამოდიოდა მათი კეთილი თვალებიდგან“ (ნ. ლომოური); „ასეთსა გდრუზავ მაგ გოგრაში, რომ თვალებიდგან სულ მაშხალები წამოყარო!“ (ეკ. გაბაშვილი); „ქალებს მეტი სიცილით თვალებიდგან ცრემლები სდიოდათ, კაცების ტაშისკვრით და ვაშას ძახილით სახლი ზანზარებდა“ (ეკ. გაბაშვილი); „შორიდგან რომ შეგეხედათ ქალებისთვის, მაშინვე იფიქრებდით, რომ ძიძია იმათ არ ეკუთვნოდა“ (ალ. ყაზბეგი); „თვალებიდგან ცეცხლსა ჰერიდა“ (ალ. ყაზბეგი)...

ჯერ კიდევ „გეფხისტყაოსნიდან“ მოკიდებული, -გან თანდებულიან მოქმედებითს დალმა // დალმე-დან მომდინარე -დამ თანდებულიანი ფორმები შეენაცვლა ბევრ შემთხვევაში. განსაკუთრებით ფართოდ მოკიდა -დამ თანდებულიანმა ფორმებმა ფეხი XVII-XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენაში და კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდა XIX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოდან

გამოსულ მწერალთა ნაწერებში (ილიასთან, ვაჟასთან...): „ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე“ (ი. ჭავჭავაძე); „გევედრები, გზიდამ ჩამომეცალე“ (ი. ჭავჭავაძე); „მთიდამ ბარად მომდინარი არწივი მის კენწეროზე ისვენებდა, მოჰყვებოდა ამაყად ყეფას...“ (ვაჟა-ფშაველა); „მაშინვე კაცი აფრინა მკურნალის მოსაყვანად მახლობელ ქალაქიდამ“ (ი. ჭავჭავაძე); „მეორე დღეს უნდა ქალაქიდამ გავსულიყავით, მე მღვდლის სანახავად წავედი“ (ი. ჭავჭავაძე).

-დამ თანდებულის საკითხი სალიტერატურო ქართულში ამჟამად აქტუალური აღარაა. მის ნაცვლად, ჩვეულებრივ, -დან ვარიანტი გვაქვს. -დამ თანდებული ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლურ კილოებში, დასავლური კილოებიდან გადმონაშთის სახით გურულშილა გვხვდება.

გასული საუკუნის სალიტერატურო ქართულშიც გვქონდა და დღესაც გვხვდება -გან და -დან (/იდან) თანდებულების აღრევის შემთხვევები.

ა) -გან თანდებულის ნაცვლად -იდან არის გამოყენებული:

„ყმობიდან გაგათავისუფლებო“ (ლ. არდაზიანი); „გულდამწვარი ვარ ზოგიერთებიდან“ (ე. ნინოშვილი); „თიხიდან გამოძერნილი თიხადვე უნდა მიიქცეო“ (ფოლკლორი, ნიარამი); „სალმონელა უმეტესად ფრინველისა და მათი კვერცხიდან მომზადებულ საკვებში ხვდება“ („ხვალინდელი დღე“, 2005); „ვინძემ იცით, როგორ კეთდება ბაბუანვერას ყვავილებიდან თაფლი?“ (გუგლი); „სადღაც შორს, მთებში, ლურჯი მიწა მოიპოვება და ლურჯ ფერს იმ მიწიდან ამზადებენო“ (გუგლი); „საქორნინო სუფრაზე ყოველთვის არის ე. წ. „ქორნინების ნამცხვარი“, რომელსაც „ხილის ნამცხვარი“ ეწოდება და მზადდება ალუბლიდან“ (გუგლი); „პატარებს ათასნაირ ზღაპარსა თუ არაკას გვიყვებოდა, ხიდან სათამაშოებს გვითლიდა“ (გუგლი); „კარტოფილიდან ათასნაირი კერძი მზადდება“ (გუგლი); „კვერცხიდან გოგლიმოგლი გააკეთა და კაკაოც შეურია“ (გუგლი)..

ბ) -დან (/იდან) თანდებულის ნაცვლად -გან არის გამოყენებული: „სინათლე... შემოდიოდა ფანჯრებისაგან“ (ე. ნინოშვილი); „გაგრის ცენტრში გთავაზობთ ზღვისგან 50 მეტრის მანძილზე მდებარე ერთ ჰექტარ მიწას“ (გუგლი); „სანაპიროსგან მოშორებით მოჩანდა სასტუმრო „აფხაზეთი“ (გუგლი); „ზღვისგან სახლამდე მანძილი უფრო და უფრო გრძელდება“ (გუგლი)...

ქველ ქართულში -გან თანდებულიანი ნათესაობითის გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა დღევანდელ ქართულში -გან თანდებულიანი მოქმედებითი იხმარება, ჩვეულებრივი იყო: „გამოველ ქუეყანისგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა“ (აბო); „ვითარცა ზღვსგან წუეთი წყალი ვინმე აღმოილო“ (ხანძთელი).

-ც(ა) ნაწილაკის დართვისას ორი ფორმა გვქონდა: **ძმისაგან-ც** და **ძმისა-გან-ა-ც**, ხოლო **-ვე** ნაწილაკის დართვისას – მხოლოდ ერთი: **ძმისაგან-ვე**. თანამედროვე ქართულში **ძმისაგან-ც** ტიპი ფაქტობრივად აღარ გამოიყენება, ხოლო **ძმისაგანვე** ფორმა ჩვეულებრივია.

-განაც: „დედისაგანაც ბევრი რამ ვისწავლე, იმიტომ რომ მთელი ცხოვრება ბავშვებთან მუშაობს“ („დილის გაზეთი“, 2001); „წარმატებებით წაქეზებული მშობლები თვით შვილებისაგანაც მოითხოვენ სწრაფ და წარმატებულ შედეგებს“ („ახალი ვერსია“, 2003); „...თვითონ ღვიძლი ძმისაგანაც შეუძლია განაწყენდეს“ (lib.ge) და სხვ.

8. -ვით თანდებული თანამედროვე ქართულში ორ ბრუნვას დაერთვის: მიცემითსა და სახელობითს. XIX საუკუნის ზოგი მწერლის (ილია ჭავჭავაძე, ნიკო ლომოური) ენაში -ვით ნათესაობით ბრუნვასთანაც დასტურდება. ამგვარი ფორმები ზოგჯერ თანამედროვე სასაუბრო მეტყველებაშიც გვაქვს: „ვარსკვლავს თავის ფიქრებში საკუთარს ეძახდა, მასთან საუკეთესო მეგობრისავით იყო“ (გუგლი); „კარი ძველი იყო, სახლისავით. კიბეები ჭრიალებდა. მოაჯირი ცოტათი მორყეული იყო“ (გუგლი); „დარწმუნებული ვარ იმ კაცისავით პირველები გაიქცევიან ბრძოლის ველიდან“ (გუგლი)...

მეგობარისავით, სახლისავით, კაცისავით ტიპის წარმოება მიუღებელია სალიტერატურო ქართულისათვის.

მიცემით ბრუნვაში -ვით დაერთვის როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი სახელების გავრცობილ ფორმებს მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში:

მაგ.: „ისე ნათლად გამოსთევა აზრი, რომ ყველამ გაგიგოს და კამეჩისავით აღარ გალოლინოს“ (მ. ჯავახიშვილი); „ოჯახი შენ უნდა ასწიო, – და ჩაიხუტა შვილსავით, ცრემლიან გამონათქვამით“ (აკა მორჩილაძე); „მთაწმინდა ბატსავით გაყვითლებულ ცას აეტუზა“ („ლიტ. პალიტრა“, 2008); „მისი უშნოდ გამოჩირგვილი, კახურ ჩურჩელებსავით გასუქებული, კოტიტა თითები ხმლისა

და თოფის ასალებად ვერ გამოდგება“ (კ. გამსახურდია); „მხატვარი სკამიდან ჩამოვიდა, უკან დაიხია, **სხვებსავით** შეაცექერდა სურათს“ (აკა მორჩილაძე); „ჭკები ფრენისას ითოშებოდნენ მწვანე ცაში, **ქვებსავით** ცვიოდნენ ძირს“ („საქ. რესპუბ.“, 2006); „მელქისედეკ კათალიკოსი კალიასავით ახტა და დახტა, უსასტიკესად დასჯა მოითხოვა მისი“ (კ. გამსახურდია); „და ეს ოცნება მზესავით დადის, დავდივარ ნელა საფლავებს შორის“ (ტ. გრანელი); „გარ ერთი ვინმე ცასავით სუფთა და ცაზე ვრცელი გულის პატრონი“ (მ. გელოვანი); „თუმცა ისიც უნდა გითხრა, რომ მეც შენსავით არ დავცარიელებულვარ“ (კ. გამსახურდია); „რავა, რომში ხაჭაპურს კაცი აცხობდა? ჩემსავით ყოფილან მაგინი, ბატონო“ (გ. დოჩანაშვილი).

სახელობით ბრუნვაში **-ვით** დაერთვის:

ა) ბოლოთანხმოვნიან სახელებს მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში:

მაგ.: „ბედნიერი, **ბაყაყივით** გაბლენძილი ზაალი არსენას ალარც კი ამჩნევდა, ბებერი ვაცივით დააბოტებდა“ (მ. ჯავახიშვილი); „მახლობელი მთები შავი **დევებივით** ჩასაფრებულან“ (მ. ჯავახიშვილი); „კალოს **ცხენებივით** ჯაფა გასწიეს, დადნენ და დაილივნენ“ (მ. ჯავახიშვილი); „ქორივით გადახედა ბაბალეს, რომელიც მის თვალთახედვის ქვეშ **მწყერივით** გაინაბა“ (გ. ლეონიძე); „ზილფები გადმოსკდომოდა სწორედ აყვანილ, გამართულ მხრებზე უდაბნოს **გველებივით** წამოსეული“ (კ. გამსახურდია); „ძველი იფნი ჭრიალებდა, მკლავმსხვილა და ტანხატულა, ქარმა ნისლი თრიალეთთან **კურდლელივით** აახტუნა“ (მ. გელოვანი); „მოვიდნენ პოლიტიკაში და გაჭრილი **ვაშლებივით** ჰგვანან ერთმანეთს“ („ახალი თაობა“, 2013).

ბ) ბოლოხმოვნიანებს მრავლობით რიცხვში:

მაგ.: „დათა თავისთვისაც ზრუნავდა – ისევ დანარჩენ **დედებივით**“ (მ. ჯავახიშვილი); „მთებივით მაღლა აზიდული ტალღები ნაპირებს გრიალით ეხეთქებოდნენ“ (ლ. ქიაჩელი); „წელიწადის ეს ოთხთავ დრო ღვიძლი **ძმებივით** იყვნენ ჩემთვის“ (დ. შენგელაია).

ამრიგად, **-ვით** დაერთვის ბოლოხმოვნიანი სახელებისა და ნაცვალსახელების მხოლობითი რიცხვის მხოლოდ მიცემითი ბრუნვისა (გავრცობილს) და მრავლობითი რიცხვის სახელებითი ბრუნვის ფორმებს, ხოლო ბოლოთანხმოვნიანი სახელების მხოლობითი რიცხვის მიცემითისა (გავრცობილის) და ორივე რიცხვის სახელობითის ფორმებს.

აღსანიშნავია ერთი თავისებურება: როცა **-ვით** ბოლოთანხმოვნიანი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის, მას ჩვენებითი ნაცვალსახელი მიცემითი (და არა სახელობითი) ბრუნვის ფორმით ეწყობა: **ამ კაცივით, მაგ კაცივით და არა: ეს კაცივით, ეგ კაცივით, ის კაცივით.**

მაგ.: „ვინ უკეთ ხედავს – ჯანმრთელი? თუ – **ამ კაცივით – საპყარი?**“ (ტ. ჭანტურია); „კანონის მიღება და რეალიზაცია როგორ... შენ გელანდება **მაგ კაცივით?**“ (გუგლი); „თვალების ფორმა ისეთივე ჰქონდა, როგორც იმას, რომელიც **ამ ქალივით ტანკენარი იყო**“ (გიბ.გე); „სიტყვაც ამად მოუყონავდა კალმის წვერიდან, **ამ ყვავილივით ფეროვანი და სურნელოვანი**“ („საქ. რესპუბ.“, 2011)...

ამრიგად, თანამედროვე სალიტერატურო ენაში ბრუნვის ფორმასთან შერწყმული თანდებულიანი სახელების მართლწერისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი წესები:

1. იმ შემთხვევაში, როცა თანდებულიან სახელს ნაწილაკი არ დაერთვის, **-ზედა, -ზედ, -ზე** სახეობათაგან თანამედროვე ქართულში ერთადერთ სწორ ფორმად უნდა დარჩეს **-ზე** (თავზე, ხელზე, მიწაზე და არა: **თავზედ, ხელზედ, მიწაზედ**...).

**-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას მართებულად უნდა მივიჩნიოთ როგორც ძველი (-ზედა) სახეობა, ისე თანამედროვე ქართულში ფართოდ გავრცელებული **-ზე** ვარიანტიანი ფორმები (მთაზედაც // მთაზეც, მიწაზედაც // მიწაზეც, სახლზედაც // სახლზეც, ჩემზედაც // ჩემზეც, მეგობარზედაც // მეგობარზეც, რომელზედაც // რომელზეც...).

**-ვე** ნაწილაკის დართვისას მართებულ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ როგორც ძველი სახეობის ხმოვანმოკეცილი (-ზედ: მთაზედვე, მიწაზედვე...), ისე თანამედროვე ქართულში უკვე

დამკვიდრებული -ზე ვარიანტიანი ფორმები: **სახლზევე, ჩემზევე, შენზევე...**

2. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთი მართებული სახეობაა -ში. -ც(ა) ნაწილაკის დართვისას შეიძლება იხმარებოდეს -შია სახეობაც: **ამაშიც და ამაშიაც; მთაშიც და მთაშიაც; ბარშიც და ბარშიაც.** ამათგან უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირველს: **ამაშიც, მთაშიც, ბარშიც.**

3. -ც(ა) ნაწილაკის დართვისას მართებულად უნდა მივიჩნიოთ **-თანა** (**დედასთანაც, მეგობართანაც, სახლთანაც...**), ხოლო -ვე ნაწილაკიან ფორმებთან – **-თან სახეობა** (**დედასთანვე, ძმასთანვე, თქვენთანვე, ჩემთანვე...**).

4. **-გან** თანდებულიან სახელებზე **-ც(ა)** ნაწილაკის დართვისას მიღებული **-გან-ც და -გან-ა-ც** ფორმებიდან მართებულად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული **-გან-ა-ც** ვარიანტი (**მეგობრისაგანაც, ძმისაგანაც...**), ხოლო **-ვე** ნაწილაკის დართვისას – მხოლოდ გაუვრცობელი ფორმა: **ძმისაგან-ვე.**

5. ნათესაობითი ბრუნვის ფორმებზე **-თვის, -კენ და -გან** თანდებულების დართვისას ორივე ვარიანტი (**გაუვრცობელიც და გავრცობილიც**) მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული: **ძმისთვის და ძმისათვის, სახლისკენ და სახლისაკენ, მეგობრისგან და მეგობრისაგან.**

6. **-მდე, -მდის, -მდი, -მდინ და სხვა სახეობათაგან** მართებულ ფორმად უნდა დარჩეს მხოლოდ ორი: **-მდე და -მდის** (**ქალაქამდე და ქალაქამდის; აქამდე და აქამდის**), ამათგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უპირატესია **-მდე** ვარიანტი.

7. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს **-გან და -დან** (**//-იდან**) თანდებულიანი ფორმები:

7.1. **-გან** გამოიყენება მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა აღნიშნავს ან მასალას, ან მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მიუგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? (**წერილი მივიღე ამხანაგისგან (ამხანაგისაგან); შაქარს ამზადებენ ჭარხლისგან (ჭარხლისაგან); მიწვევა მიიღეს უნივერსიტეტისგან (უნივერსიტეტისაგან)...**)

7.2. **-დან** (**//-იდან**) გამოიყენება მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა გამოხატავს მოქმედების დაწყების ადგილს ან დროს და მიუგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან? (**ქალაქიდან ჩამოვიდა, დილიდან წვიმდა, სამშობლოდან დაბრუნდა...**).

8. **-ვით** თანდებული მხოლობით რიცხვში უნდა დაერთოს მიცემითის გავრცობილ ფორმებს (**ხმოვანფუძიანებსაც და თანხმოვანფუძიანებსაც**): **დედასავით, მზესავით, ლომსავით, კაცსავით, ხოლო სახელობით ბრუნვაში – მხოლოდ თანხმოვანფუძიანებს** (**კაცივით, მეგობარივით, ლომივით**), მრავლობით რიცხვში კი – როგორც სახელობითის, ისე მიცემითის ფორმებს: **კაცებივით, მეგობრებივით, დედებივით, ბავშვებსავით, ჩურჩხელებსავით...**

პირის ნაცვალსახელზე **-ვით** თანდებულის დართვისას შესაბამისი კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძე უნდა იქნეს გამოყენებული და ერთადერთ სწორ ფორმად ჩაითვალოს მიცემითბრუნვიანი ვარიანტები (**ჩემსავით, შენსავით, ჩვენსავით, თქვენსავით**).

ნორმის პირველი ვერსია მოამზადა ლია ლეუავამ, გამოქვეყნებულია 1985 წელს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების N1-2 ბიულეტენში.

### **ნორმის პროექტის ახალი რედაქცია შეიმუშავა თეატრელოშვილმა.**

პროექტი განხილულია თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის 11 ოქტომბრის სხდომაზე და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2019 წლის 6 დეკემბრის სხდომაზე.

## **სადაურობის სახელთა თაროვახა -ეთ და -ის სუფიქსების შემცველი გეოგრაფიული სახელებისგან სადაურობის სახელთა**

-ეთ და -ის სუფიქსების შემცველი გეოგრაფიული სახელებისგან სადაურობის სახელთა წარმოებისას მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. -ეთ-ისა და -ის-ის შემცველი გეოგრაფიული სახელებისგან სადაურობის გამომხატველი სიტყვები ინარმოება ამ სუფიქსების შენარჩუნებით: **თიანეთი – თიანეთ-ელ-ი, თიანეთ-ურ-ი; ბოლნისი – ბოლნის-ელ-ი, ბოლნის-ურ-ი...**

2. აღნიშნული წესი არ ვრცელდება:

2.1. საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართველოს კუთხეების აღმნიშვნელ **-ეთ-სუფიქსიან რიგ სახელებზე, რომელთაც სადაურობის სახელები ან -ეთ-ის გარეშე ეწარმოებათ, ან შესაბამისი სიტყვები სადაურობის აფიქსების გარეშე გამოხატავენ წარმომავლობას. ასეთებია, მაგალითად: ჩინეთი – ჩინ-ელ-ი, ჩინ-ურ-ი; ესპანეთი – ესპან-ელ-ი, ესპან-ურ-ი; ბულგარეთი – ბულგარ-ელ-ი, ბულგარ-ულ-ი; რუმინეთი – რუმინ-ელ-ი, რუმინ-ულ-ი; კახეთი – კახ-ელ-ი, კახ-ურ-ი; იმერეთი – იმერ-ელ-ი, იმერ-ულ-ი... რუსეთი – რუსი, რუს-ულ-ი; ჩეხეთი – ჩეხი, ჩეხ-ურ-ი; სვანეთი – სვანი, სვანური...**

2.2. საეკლესიო ტიტულატურაში გამოყენებულ ფორმებზე, როგორებიცაა: **მროველ-ურბნელი მიტროპოლიტი, მანგლელი მიტროპოლიტი, ბოლნელი მთავარეპისკოპოსი, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი და სხვ.**

3. ძირითადი ფორმების გვერდით დასაშვებია **-ეთ და -ის აფიქსებჩამოცილებული ფუძეებისგან ნაწარმოები ჯერ კიდევ მოქმედი ფორმები: დუშელი, თიანელი, თიანური, წავკელი, წავკური, კლარჯელი (კლარჯის პარალელურად), კლარჯული...**

4. **-ეთ სუფიქსი ჩამოშორდება ფუძეს, თუ სადაურობის აღმნიშვნელი სახელი მიიღება პორიზონტის მხარეების გამომხატველი სიტყვებისაგან:**

**აღმოსავლეთი – აღმოსავლ-ელ-ი, აღმოსავლ-ურ-ი**

**დასავლეთი – დასავლ-ელ-ი, დასავლ-ურ-ი**

**ჩრდილოეთი – ჩრდილო-ელ-ი, ჩრდილო-ურ-ი**

გამონაკლისია **სამხრეთი, რომლისგან ნაწარმოებ სადაურობის სახელებშიც გვექნება პარალელური ფორმები:**

**სამხრეთი – სამხრ-ელ-ი // სამხრ-ეთ-ელ-ი, სამხრ-ულ-ი // სამხრ-ეთ-ულ-ი: სამხრეთელი მეზობელი, სამხრეთელი ხალხი... სამხრული დიალექტი, სამხრული მეტყველება... სამხრეთული კერძები, სამხრეთული ტემპერამენტი, სამხრეთული კლიმატი...**

## დასაბუთება

ქართულში სადაურობის გამომხატველი სიტყვების საწარმოებლად -ელ და -ურ (>-ულ) სუფიქსები დაერთვის გეოგრაფიული სახელების სრულ (თუ სახელი უკუმშველი ან უკვეცელია) ან უსრულ (თუ სახელი კუმშვადი ან კვეცადია) ფუძეებს. მაგ., პორჯომ-ი – პორჯომ-ელ-ი, პორჯომ-ულ-ი; გონიო – გონიო-ელ-ი, გონიო-ურ-ი; ვაზისუბან-ი – ვაზისუბნ-ელ-ი, ვაზისუბნ-ურ-ი; მცხეთა – მცხეთ-ელ-ი, მცხეთ-ურ-ი... ეს წესი ზოგადია, თუმცა ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდში დასტურდება -ეთ და -ის სუფიქსების შემცველ გეოგრაფიულ სახელთაგან მიღებული სადაურობის გამომხატველი სიტყვების ორი ვარიანტი – -ეთ/-ის სუფიქსების შენარჩუნებითა და მათ გარეშე: თიან-ეთ-ი – თიან-ეთ-ელ-ი // თიან-ელ-ი, ბოლნ-ის-ი – ბოლნ-ის-ურ-ი // ბოლნ-ურ-ი...

წარმომავლობის -ელ და -ურ აფიქსთა დართვა მარტივ ფუძეზე ძველი ქართულისთვის ბუნებრივი იყო: ტბ-ელ-ი (< ტბ-ეთ-ი), კარალ-ელ-ი (< კარალ-ეთ-ი), თბილ-ელ-ი (< თბილ-ის-ი), ურბნ-ელ-ი (< ურბნ-ის-ი), თუმცა ძველ ქართულშივე გვაქვს გამონაკლისები: რუ-ეთ-ელ-ი (< რუ-ეთ-ი), მანგლ-ის-ელ-ი (< მანგლ-ის-ი). XIX საუკუნეში გეოგრაფიულ სახელთაგან სადაურობის აღმნიშვნელი ფორმების წარმოებისას იმდენად აქტიურდება აფიქსის შენარჩუნების ტენდენცია, რომ ზოგჯერ -ეთ დასტურდება ისეთ ფორმებშიც, რომლებშიც წესით არ უნდა ყოფილიყო. მაგ., რუსთელი (ი. გოგებაშვილი), უცხოეთელი, ჩინეთური (ვაჟა-ფშაველა)... -ეთ-ისა და -ის-ის შენარჩუნებით გეოგრაფიული სახლებისგან სადაურობის ფორმათა მიღება წესი ხდება და თანამედროვე ქართულში იგი უპირატესია.

ზოგ შემთხვევაში ენამ ერთმანეთისგან მნიშვნელობით გამიჯნა სადაურობის აფიქსიანი ერთი სიტყვის პარალელური ვარიანტები: ურპნელი გამოიყენება საეკლესიო ტიტულატურაში, მაგ., მროველ-ურბნელი მიტროპოლიტი, ხოლო ურპნისელი აღნიშნავს სოფელ ურბნისში მცხოვრებს, წარმოშობით იქაურს. ანალოგიური წარმოებისა საეკლესიო ტიტულატურაში მიღებული ისეთი ფორმებიც, როგორებიცა: მანგლელი მიტროპოლიტი, ბოლნელი მთავარებისკოპოსი, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი და სხვ.

მოუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულში სადაურობის სახელები ზოგ შემთხვევაში მაინც იწარმოება -ეთ / -ის სუფიქსებმოვეცილი ვარიანტებისგან (დუშელი, ბოლნელი, ბოლნური, თიანელი, თიანური, წაველი, კლარჯელი (კლარჯის პარალელურად), კლარჯული....), ქართული ენის განვითარების ტენდენციის შესაბამისად, სალიტერატურო ენისთვის ბუნებრივი -ეთ და -ის სუფიქსებშენარჩუნებული სიტყვებია: თიანეთელი, თიანეთური, დუშეთელი, წავკისელი და სხვ.

აქვეა განსახილველი ჰორიზონტის მხარეთა აღმნიშვნელი ფუძეებისგან წარმოები სახელები. როგორც წესი, აღმოსავლეთისგან, დასავლეთისა და ჩრდილოეთისგან სადაურობის სახელები უმეტესად მიიღება -ეთ აფიქსჩამოცილებულ ფუძეზე წარმომავლობის -ელ-ისა და -ურ-ის (>-ულ-ის) დართვით: აღმოსავლეთი – აღმოსავლ-ელ-ი, აღმოსავლ-ურ-ი; დასავლეთი – დასავლ-ელ-ი, დასავლ-ურ-ი; ჩრდილოეთი – ჩრდილო-ელ-ი, ჩრდილო-ურ-ი. გამონაკლისია სამხრეთი, რომელიც ამგვარ შემთხვევებში იჩენს -ეთ ბოლოსართის შენარჩუნების ტენდენციას – სამხრ-ელ-ისა და სამხრ-ულ-ის გვერდით გვხვდება სამხრეთ-ელ-ი და სამხრეთ-ულ-ი. ეს ფორმები პარალელურ ვარიანტებად უნდა იქნეს განხილული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისთვის. ამგვარ დაშვებას მხარის უჭერს როგორც ენობრივი ტენდენცია (-ეთ აფიქსის შენარჩუნებისა), ასევე ამ ფორმათა ხშირი გამოყენება, რასაც ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კორპუსის მასალაც ადასტურებს. ამგვარად, გვექნება: სამხრეთი – სამხრ-ელ-ი // სამხრეთ-ელ-ი, სამხრ-ულ-ი // სამხრეთ-ულ-ი.

თანამედროვე ქართულში არის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართველოს კუთხეების აღმნიშვნელი -ეთ-სუფიქსიანი რიგი სახელებისა, რომელთაც სადაურობის სახელები ან -ეთ-ის გარეშე ეწარმოებათ, ან შესაბამისი სიტყვები სადაურობის აფიქსების გარეშე გამოხატავენ

წარმომავლობას. ასეთებია, მაგალითად: ჩინეთი – ჩინ-ელ-ი, ჩინ-ურ-ი; ესპანეთი – ესპან-ელ-ი, ესპან-ურ-ი; ბულგარეთი – ბულგარ-ელ-ი, ბულგარ-ულ-ი; რუმინეთი – რუმინ-ელ-ი, რუმინ-ულ-ი; კახეთი – კახ-ელ-ი, კახ-ურ-ი; იმერეთი – იმერ-ელ-ი, იმერ-ულ-ი... რუსეთი – რუსი, რუს-ულ-ი; ჩეხეთი – ჩეხი, ჩეხ-ურ-ი; სვანეთი – სვანი, სვანური... თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში აღნიშნული ფორმები დამკვიდრებულია, მათთან მიმართებით წესის შემუშავების საკითხი არ დაისმის და, რა თქმა უნდა, არც წინამდებარე ნორმაში განიხილება ისინი.

ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში **-ეთ** და **-ის** სუფიქსების შემცველი გეოგრაფიული სახელებისგან სადაურობის სახელთა წარმოებისას მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. **-ეთ**-ისა და **-ის**-ის შემცველი გეოგრაფიული სახელებისგან სადაურობის გამომხატველი სიტყვები იწარმოება ამ სუფიქსების შენარჩუნებით: **თიანეთი – თიანეთ-ელ-ი, თიანეთ-ურ-ი; ბოლნისი – ბოლნის-ელ-ი, ბოლნის-ურ-ი...**

## 2. აღნიშნული წესი არ ვრცელდება:

2.1. საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართველოს კუთხეების აღმნიშვნელ **-ეთ-სუფიქსიან** რიგ სახელებზე, რომელთაც სადაურობის სახელები ან **-ეთ**-ის გარეშე ეწარმოებათ, ან შესაბამისი სიტყვები სადაურობის აფიქსების გარეშე გამოხატავენ წარმომავლობას. ასეთებია, მაგალითად: ჩინეთი – ჩინ-ელ-ი, ჩინ-ურ-ი; ესპანეთი – ესპან-ელ-ი, ესპან-ურ-ი; ბულგარეთი – ბულგარ-ელ-ი, ბულგარ-ულ-ი; რუმინეთი – რუმინ-ელ-ი, რუმინ-ულ-ი; კახეთი – კახ-ელ-ი, კახ-ურ-ი; იმერეთი – იმერ-ელ-ი, იმერ-ულ-ი... რუსეთი – რუსი, რუს-ულ-ი; ჩეხეთი – ჩეხი, ჩეხ-ურ-ი; სვანეთი – სვანი, სვანური...

2.2. საეკლესიო ტიტულატურაში გამოყენებულ ფორმებზე, როგორებიცაა: მროველ-ურბნელი მიტროპოლიტი, **მანგლელი** მიტროპოლიტი, **ბოლნელი** მთავარებისკოპოსი, **ქუთათელ-გაენათელი** მიტროპოლიტი და სხვ.

3. ძირითადი ფორმების გვერდით დასაშვებია **-ეთ** და **-ის** აფიქსებჩამოცილებული ფუძეებისგან ნაწარმოები ჯერ კიდევ მოქმედი ფორმები: **დუშელი, თიანელი, თიანური, წავკელი, წავკური, კლარჯელი (კლარჯის პარალელურად), კლარჯული...**

4. **-ეთ** სუფიქსი ჩამოშორდება ფუძეს, თუ სადაურობის აღმნიშვნელი სახელი მიიღება პორიზონტის მხარეების გამომხატველი სიტყვებისაგან:

**აღმოსავლეთი – აღმოსავლ-ელ-ი, აღმოსავლ-ურ-ი**

**დასავლეთი – დასავლ-ელ-ი, დასავლ-ურ-ი**

**ჩრდილოეთი – ჩრდილო-ელ-ი, ჩრდილო-ურ-ი**

გამონაკლისია **სამხრეთი**, რომლისგან ნაწარმოებ სადაურობის სახელებშიც გვექნება პარალელური ფორმები: **სამხრეთი – სამხრ-ელ-ი // სამხრ-ეთ-ელ-ი, სამხრ-ულ-ი // სამხრ-ეთ-ულ-ი;** **სამხრეთელი** მეზობელი, **სამხრეთელი** ხალხი... **სამხრული** დიალექტი, **სამხრული** მეტყველება... **სამხრეთული** კერძები, **სამხრეთული** ტემპერამენტი, **სამხრეთული** კლიმატი...

ნორმის პირველი ვერსია მოამზადა ივანე გიგინეშვილმა, გამოქვეყნებულია 1970 წელს  
„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

## ნორმის პროექტის ახალი რედაქცია შეიმუშავა თეა ბურჯულაძემ.

პროექტი განხილულია თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის 11 ოქტომბრის სხდომაზე და  
მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2019 წლის 6 დეკემბრის  
სხდომაზე.

## რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელთა მართლწერა

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელების გამოყენებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1.1. ფორმებიდან – **თხუთმეტი, ხუთმეტი და თუთხმეტი** – სალიტერატურო ქართულისათვის  
ერთადერთი მართებული ფორმაა **თხუთმეტი**.

1.2. თუ რაოდენობითი რიცხვითი სახელი დგას რომელიმე ბრუნვაში, ციფრ(ებ)ით გამოსახვისას  
ბრუნვის ნიშანი დეფისით უნდა გამოიყოს: **25-მა, 34-ის, 67-ით, 8-მ...** გამონაკლისია სახელობითი  
ბრუნვა: მისი ნიშანი ციფრთან არ დაიწერება: **5 (ხუთი), 9 (ცხრა), 21 (ოცდაერთი), 28 (ოცდარვა)...**

1.3. ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები **ათასი** სახელობითი ბრუნვის  
ფორმით უნდა შეეწყოს ყველა ბრუნვაში: სახ. ორი ათასი კაცი, მოთხრ. ორი ათასმა კაცმა და ა.შ.

1.4. **მილიონს, მილიარდს** და **სხვა ნასესხებ რიცხვით სახელებს** მათი რაოდენობის აღმნიშვნელი  
რიცხვითი სახელი უნდა შეეწყოს როგორც მსაზღვრელი სახელი: სახ. ორი მილიონი კაცი; მოთხრ.  
ორმა მილიონმა კაცმა; მიც. ორ მილიონ კაცს; ნათ. ორი მილიონი კაცის; მოქმ. ორი მილიონი  
კაცით; ვით. ორ მილიონ კაცად და ა.შ.

1.5. სამი და მეტი ნაწილისაგან შემდგარ რთულ რიცხვით სახელებში (**ორი ათას ხუთასი, ორი**  
**მილიონ სამი ათას შვიდასი, სამი მილიარდ ხუთასი მილიონ ოთხასი ათას რვაასი**) ათასი, მილიონი,  
მილიარდი ფუძის სახით უნდა იქნეს ნარმოდგენილი, ხოლო მათი რაოდენობის აღმნიშვნელი  
რიცხვითი სახელები – სახელობითი ბრუნვის ფორმით. ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშნებს დაირთავს  
მხოლოდ უკანასკნელი რიცხვითი სახელი: სახ. ორი ათას ხუთასი კაცი; მოთხრ. ორი ათას ხუთასმა  
კაცმა; სახ. ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცი; მოთხრ. ორი მილიონ ხუთასი ათას სამასმა  
კაცმა და ა.შ.

1.6. **და** კავშირით შეერთებული რიცხვითი სახელები უნდა დაიწეროს ერთად, ხოლო  
ყველა დანარჩენი – **ცალ-ცალკე: ოცდაერთი, ოცდაათი, ოცდაჩვიდეტი, ორმოცდაცამეტი,**  
სამოცდათხუთმეტი, **ორმოცდაცხრამეტი** და მისთ. ცალ-ცალკე დაიწერება ისეთი რთული  
რიცხვითი სახელები, რომლებიც შეერთებული არ არის და კავშირით. მაგალითად: **ას ერთი, ას ოცი,**  
ას ორმოცდაათი, ათას შვიდას ოცდაათი, ათას ცხრაას ერთი, ოცი ათას შვიდასი, ოცი ათას შვიდას  
ოთხმოცი, მილიონ ათას შვიდას ოცი, ხუთი მილიონ ხუთასი ათას შვიდას ოცდათერთმეტი და მისთ.

2. რიგობითი რიცხვითი სახელების გამოყენებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

2.1. **ერთის** რიგობითი ფორმაა **პირველი** (და არა მეერთე), მაგრამ მისი შემცველი რთული  
რიცხვითი სახელისგან რიგობითი და წილობითი ფორმების ნარმოებისას გამოიყენება **ერთ** (და არა  
პირველ) ფუძე.

### რაოდენობითი

ორმოცდაერთი

### რიგობითი

ორმოცდამეერთე

### წილობითი

ორმოცდამეერთედი

2.2. ყველა რიგობითი რიცხვითი სახელი, გარდა **პირველისა, ხმოვანფუძიანი** და, შესაბამისად,  
კვეცადია: **ას მეხუთე, ას მეხუთ-ის, ას მეხუთ-ით; ათას ხუთას მეექვსე, ათას ხუთას მეექვსის, ათას  
ხუთას მეექვსით...**

2.3. რიცხვითი სახელის **პირველი** დაწერილობისას უპირატესობა მიენიჭოს სიტყვიერად ან  
რომაული ციფრით (**პირველი ან I, პირველმა ან I-მა**) გამოსახვას. **პირველი** არაბული ციფრით უნდა  
გამოისახოს შემდეგნაირად: **1-ელი, 1-ელმა, 1-ელს, 1-ელის... (1-ელი მუხლის მიხედვით, 1-ელ თავში**  
შევიდეს ცვლილებები, **1-ელის შესაბამისად...**). თვეების პირველი კალენდარული დღის აღნიშვნისას  
დასაშვებია ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმები: **1 იანვარი, 1 მაისი, 1 სექტემბერი** და სხვ.

2.4. რიგობითი რიცხვითი სახელების არაბული ციფრებით გამოსახვისას თუ სახელი იწყება **მე-** პრეფიქსით (მეშვიდე, მესამოცე, მეასე...), უნდა დაინტეროს **მე-**, შემდეგ – დეფისი და ციფრი. მაგალითად: **მე-7** (მეშვიდე), **მე-15** (მეთხუთმეტე), **მე-100** (მეასე), **მე-700** (მეშვიდასე). თუ რიგობითი რიცხვითი სახელი არ იწყება **მე-** პრეფიქსით (ოცდამეშვიდე, ორმოცდამეთოთმეტე, სამოცდამესამე, ას მეორე...), მაშინ ბოლოში უნდა დაერთოს -**ე** სუფიქსი, რომელიც ციფრისაგან დეფისით გამოიყოფა: **27-ე** (ოცდამეშვიდე), **102-ე** (ას მეორე), **705-ე** (შვიდას მეხუთე) და სხვ.

2.5. რიგობითი რიცხვითი სახელები უნდა დაინტეროს ისევე, როგორც შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელები: თითოეული წევრი ცალ-ცალკე. რთულ რიგობით რიცხვით სახელებში **მე-ე** მანარმოებელი დაერთვის სიტყვის ბოლო კომპონენტს: ას მეორე (**102-ე**), ათას ორას ოცდამეხუთე (**1225-ე**), ექვსი მილიონ შვიდი ათას ოცდამეთვრამეტე (**6 007 038-ე**)...

2.6. ფორმებიდან – **მეორიათასე** და **მეორათასე**, **მესამიათასე** და **მესამათასე** – მართებულია ი სუფიქსიანი ვარიანტები: **მეორიათასე**, **მესამიათასე**.

ორი ათასი	მეორიათასე	მე-2000
სამი ათასი	მესამიათასე	მე-3000

2.7. უცხოური წარმოშობის რიცხვითი სახელებისაგან (**მილიონი**, **მილიარდი...**) წანარმოებ რიგობით რიცხვით სახელებში **მილიონის** და მისთ. მსაზღვრელი სახელი ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი:

ექვსი მილიონი	მეექვსმილიონე	მე-6000000
შვიდი მილიონი	მეშვიდმილიონე	მე-7000000

2.8. ფორმებიდან – **მეორეული** და **მეორადი** – დასაშვებია ორივე თავ-თავისი შინაარსობრივი (სემანტიკური) სხვაობის გათვალისწინებით: სამეცნიერო ტერმინოლოგიაში (ძირითადად)

– **მეორეული**: მეორეული მოვლენა, მეორეული დაავადება... რაიმეს ხელახალი გამოყენების ან დამატებითი ფუნქციის აღსანიშნავად – **მეორადი**: მეორადი ფაკულტეტი, მეორადი ავეჯი...

2.9. რიგობით რიცხვით სახელებს რომაული ციფრებით გამოსახვისას არც თავსა და არც ბოლოში არ უნდა დაერთოს მანარმოებელი აფიქსები: **VI**, **VIII**, **XIX**, **XX** (და არა მე-VI, VIII-ე, მე-XIX-ე) და სხვ.

## დასაბუთება

რიცხვითი სახელი სამი სახისაა: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი. ქართულში რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძე მარტივი და რთული შედგენილობისაა. მარტივია ერთეულების გამომხატველი სახელები: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ასევე: ათი, ოცი, ასი და რიცხვთა უმაღლესი კლასის გამომხატველი ნასესხები სახელები: მილიონი, მილიარდი (ბილიონი), ტრილიონი, კვადრილიონი და ა. შ.

ყველა დანარჩენი რიცხვითი სახელი რთული შედგენილობისაა: თერთმეტი (<ათერთმეტი), თორმეტი (<ათორმეტი), ცამეტი (<ათსამმეტი), თოთხმეტი (<ათოთხმეტი), თხუთმეტი (<ათხუთმეტი), თექვსმეტი (<ათექვსმეტი), ჩვიდმეტი (<ათშვიდმეტი), თვრამეტი (<ათრვამეტი), ცხრამეტი (<ათცხრამეტი); ოცდაერთი, ოცდაშვიდი, ოცდაცხრამეტი, ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი, ას ერთი, ას ოცი, ას ორმოცდაცხრამეტი, ორასი, შვიდასი, ათასი, ათას ხუთასი, ოცი ათასი, ას ოცი ათასი და ა. შ.

რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელები თერთმეტიდან ცხრამეტამდე (ათერთმეტი... ათცხრამეტი), ოცეულების გამომხატველი სახელები (ორმოცი < ორმეოცი, ოთხმოცი < ოთხმეოცი...) და ასეულების შემცველები (ათას ასი, ათას ორასი, ათას შვიდასი...) მიიღება ფუძეების უკავშიროდ შეერთებით, ხოლო იმ რიცხვით სახელებში, რომლებიც გამოხატავენ რიცხვებს ერთი ოცეულიდან შემდგომ ოცეულამდე, ფუძეები და კავშირით არის შეერთებული ერთმანეთთან: ოც-და-შვიდ-ი, ოც-და-ათ-ი, ორმოც-და-ჩვიდმეტ-ი, სამოც-და-ცხრამეტ-ი, ოთხმოც-და-თერთმეტ-ი...

ათასეულების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები თანამედროვე ქართულში **ათასთან** სახელობითი ბრუნვის ფორმითაა შეწყობილი მაშინაც, როცა ის სახელობით ბრუნვაშია და მაშინაც, როცა სხვა ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი. მაგალითად:

მათვე შეიტანეს უამი იმ ციხეში, სადაც **სამი ათასი** ბერძენი და ხუთასი იბერიელი ტყვედ ჰყავდა ხალიფას (კ. გამსახურდია); სპარსეთს იმოდენა პმართებს გურჯებისა, რომ **ასი ათასმა** თქვენისთანამ რომ ჩამოხრჩოს თავი და სპარსელის ხსენებაც მოისპოს, ჩვენი ვალიდან მაინც ვერ ამოხვალთ(ნ. ლორთქიფანიძე); **ოთხმოცი ათასის** აღებასაც ჩემს მეტი ვერავინ ვერ მოახერხებს (მ. ჯავახიშვილი); რასაც მიწის ქვეშ ჰუფარავდა გრძნობას **ასი ათასი** მდინარის გული (გ. ტაბიძე).

რაც შეეხება ძველ ქართულს, იქ ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები **ათასთან** ფუძის სახით იყო წარმოდგენილი: ოდეს-იგი კუეზად განუტეხე ხუთ ათასსა (მარკ. 8, 19); ინაკ-დგა კაცებმან მან რიცხუთ ხუთ ათასმან (იოანე 6, 10); ოდეს-იგი ხუთი პური განვტეხე ხუთ ათასთვეს (მარკ. 8, 19); (ლორნი) იყვნეს ვრ თრ ათას (მარკ. 5, 13); ხოლო რომელთა ჭამეს, იყვნეს ოთხ ათას მამანი (მათე 15, 38); და ვპოვეთ პროპატიკეს თრ ათას და შვდი სული (წარტყ.); და ვპოვეთ ქუაბთა შინა და ორმოთა და ლაკუათა შინა და მტილთა ექუს ათას ცხრაას და ათშვდმეტი სული (წარტყ.).

მაგრამ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაშივე საკმაოდ ხშირად გვხვდება შემთხვევები, როცა ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები **ათასთან** სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: იყო რიცხუ იგი ყოველთად მათ ერთბამად **სამეოცდაექუსი ათასი** და ხუთასი და ცხრად სული (წარტყ.); განაძლო ოთხი ათასი სული (კიმენი I); და მოსრეს ძეთა ისრატლისათა ბენიამენი მას დღესა შინა ოცდახუთი ათასი და ასი კაცი (ოშკი, მსაჯულთა); მიანიჭა მამასა გრიგოლს და მოყუასთა მისთა დრამად ათი ათასი (ხანძთ.); გამოზარდა ექუსასი ათასი ორმეოცსა წელსა (კიმენი II); და დაეცა სიმრავლე ოთხასი ათასისა ბრძოლისად (ხრონ.); ხოლო იუდასა შორის ოთხას ოთხმეოცი ათასნი კაცნი აღმომჯდელი მახჯლისანი (ხრონ.).

**ათასეულის** რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი ზოგჯერ ბრუნვაშიც კი შეიძლება იყოს შეთანხმებული **ათასთან**: უკუეთუ შემძლებელ არს ათითა ათასითა შემთხუევად ოცითა ათასითა მომავალისა ზედა? (ლუკა 14, 31);

მერმინდელ ძეგლებში სახელობითი ბრუნვა საბოლოოდ მკვიდრდება. მაგალითად:

წარმოემართა ლაშქრითა ოცდაცამეტი ათასითა (ანა დედოფ. ქ. ც.); და მოსწყუიდნა სატლითა სარკინოზთაგან ოცდათხუთმეტი ათასი (იქვე); შენ მიანიჭე შუიდას ოთხმოცი ათასი სული (იქვე); **ასი ათასი** წითელი შენ ქრთამად შეინირეო („ვეფხისტყაოსანი“, 741); შეკრა წითელი **ასი ათასი** პირად მზემან და ტანად სარომან (იქვე, 771); შეყარნა სპანი, არაბეთს აღარა ხანსა ზმულია, კაცი ოთხმოცი ათასი, ყველაი დაკაზმულია (იქვე, 1567); გვირაბის კარსა ჭაბუკი ათი ათასი მცველია (იქვე, 1392); **ათი ათასი** ჭაბუკი დგას ყველაკაი ხასები (იქვე, 1243).

განსხვავებული ვითარება გვაქვს უფრო მაღალი კლასის გამომხატველ რაოდენობით რიცხვით სახელთა (მილიონი, მილიარდი და ა. შ.) გამოყენებისას. კერძოდ: მაშინ, როცა **ათასის** რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ყოველთვის წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, მილიონს, მილიარდს და სხვა მაღალი კლასის რიცხვით სახელებს მათი რაოდენობის გამომხატველი სახელი ისე შეეწყობა, როგორც ბრუნვაში შეთანხმებული ატრიბუტული მსაზღვრელი (შდრ.: თრი ათასმა კაცმა და ორმა მილიონმა კაცმა, თრი ათას კაცს და ორ მილიონ კაცს და ა. შ.). მაგალითები:

მილიარდელს მორგანს, ან გენიოსს ედისონს **ასი-ორასი მილიონი** კაცი იცნობს, ისინი კი ათასაც კი არ იცნობენ (მ. ჯავახიშვილი); საქართველოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ერთი მილიარდ სამოცდახუთი მილიონით განისაზღვრა (ცვლილებები საგადასახადო კოდექსში); ხმა მისცა ორმა მილიონმა ამომრჩეველმა („საქართველოს რესპუბლიკა“); მომხმარებელთა რაოდენობა სამ მილიარდს აღწევს („რეზონანსი“).

ცალკე უნდა გამოიყოს რიცხვითი სახელის **თხუთმეტი** საკითხი. როგორც ცნობილია, რიცხვითი სახელები, **თერთმეტიდან** მოყოლებული, რთული შედგენილობისაა და ასეა მიღებული: **თერთმეტი – ათერთმეტისაგან** თავეიდური ა-ს ჩამოცილებით; ამგვარადვეა მიღებული: **თორმეტი – ათორმეტისაგან**, **თოთხმეტისაგან**, **თექვსმეტი – ათექვსმეტისაგან**, **ცხრამეტი – ათცხრამეტისაგან**. ცამეტი მიღებულია ათსამმეტისაგან თავეიდური ა-ს ჩამოცილებით, ერთი მ-ს დაკარგვითა და თს ბგერების შერწყმით, **ჩვიდმეტი – ათშვიდმეტისაგან** თავეიდური ა-ს ჩამოცილებითა

და თშ ბგერების შერწყმით, თვრამეტი – ათრამეტისაგან თავკიდური ა-ს ჩამოცილებით და 3 ბგერის რ-ს წინ გადმოსმით.

**ათხუთმეტისაგან** თავკიდური ა-ს ჩამოცილებით მიღებულია **თხუთმეტი**, მაგრამ ზოგჯერ თ-ც იკარგება და რჩება **ხუთმეტი**. გარდა ამისა, გვხვდება **თუთხმეტიც** (განსაკუთრებით დასავლურ კილოებში და დასავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში). ეს ფორმა თოთხმეტის ანალოგით არის მიღებული.

**ხუთმეტი: ხუთმეტი** [ურემი] ჩვენ კაცებში თავის გაჩენაში არ შებმულა (ი. ჭავჭავაძე); იანვრის „ცისკარი“... იმ პანაწინა დაჭლექებულ მაისის „მოამბეზედ“ მარტო **ხუთმეტ** და ნახევარ ფურცლით არის მეტი (ი. ჭავჭავაძე); **ხუთმეტი** წელი გავიდა (ვაჟა-ფშაველა); ოცდაათის თუ **ოცდახუთმეტის** წლისა არისო (ე. ნინოშვილი); მემამულეს მოუტანინებია **ოცდახუთმეტ** თუმნად (ი. ჭავჭავაძე); ჩემი სიკო... ეს **ხუთმეტი** წელინადია არ მინახავს (შიო არაგვისპირელი); დარჩა მხოლოდ ციხისთავი, **ხუთმეტი** ოსმალო, ორასი მესხი და თოთხმეტი ზარბაზანი (მ. ჯავახიშვილი); ხუთ კომლამდე დიკა ჰქონდათ დათესილი, **ხუთმეტი** კოდის იმედი ჰქონდა (ვაჟა-ფშაველა); ქალიც გაიზარდა და მოიყარა თოთხმეტ-**ხუთმეტის** წლისა (თ. რაზიკაშვილი).

**თუთხმეტი:** სულ [ფერეიდნის] **თუთხმეტს** სოფელში ირიცხება დაახლოებით 7000 კომლამდე (ი. გოგებაშვილი); მომეცი **თუთხმეტი** მანეთი (ნ. ლორთქიფანიძე); ერთი **თუთხმეტი** ცხენოსანი მოვიყრიდით თავს (ნ. ლორთქიფანიძე); იმათთვის **თუთხმეტი** მანეთი დიდი ფული იყო (ე. ნინოშვილი); **თუთხმეტი** წელინადი მეზღვაური ვიყავი (ს. კლდიაშვილი); ხვალის **თუთხმეტს** უნდა ჩამოხვიდე ჩემთან ქალაქები (დ. კლდიაშვილი).

**თხუთმეტი:** **თხუთმეტი** წლისა წყალში ღრმად შესული ათენებდა ღამეს (გ. რჩეულიშვილი); ჩვიდმეტი წლის ბიჭი და, **თხუთმეტი** წლის, რაღაცნარად უფროსი, გოგო (გ. დოჩანაშვილი); ერთხმად გაიმეორა **თხუთმეტმა** ჯალათმა და **თხუთმეტი** ჯოხი კვლავ აღიმართა (მ. ჯავახიშვილი); მხრებიდან უცებ **თხუთმეტი** წელი ჩამოაგდო, გულიდან ლოდი ჩამოიხსნა... (მ. ჯავახიშვილი); რას ბრძანებ? დღეის **თხუთმეტს** კი არა, **თხუთმეტი** წელინადია, შე დალოცვილო, ვითმენთ და ვითმენთ, ხო იცი? (ნ. ლორთქიფანიძე); იქ ერთ დღიურზე ოთხმოცი კოდი ხორბალი მოჰყავთ, ჩვენში კი **თხუთმეტი** კოდიც ძლივს მოვა (მ. ჯავახიშვილი); **თხუთმეტი** წელინადია მოხუც ქალს კარშიაც კი არ გამოუხდავს (ნ. ლორთქიფანიძე).

**თხუთმეტი** ძირითადი ფორმაა სალიტერატურო ქართულისათვის „ვეფხისტყაოსნიდან“ მოყოლებული დღემდე („**თხუთმეტისა** წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა“ – „**ვეფხისტყ.**“ 332, 1).

იმ რიცხვით სახელებში, რომელთა შემადგენლობაში **ათი** შედის, **თ** შეერწყა მომდევნო თანხმოვანს იქ, სადაც ეს შერწყმა შესაძლებელი იყო (**თს->ც: ათსა(მ)მეტი->თსა(მ)მეტი->ცამეტი;**; **თშ->ჩ: ათშვიდმეტი->თშვიდმეტი->ჩვიდმეტი**). **თ** დარჩა იმ შემთხვევებში, როცა შერწყმა შეუძლებელი იყო (**თორმეტი, თოთხმეტი, თექვსმეტი, თვრამეტი**).

ერთადერთი შემთხვევა, როცა **თ** დაკარგულია, არის **ცხრამეტი**. აქ **თ** დაიკარგა იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით შეუძლებელ **თც** კომპლექსს, შერწყმა კი მიუღებელი იყო, რადგანაც აფრიკატი **ც** თვით შეიცავს **თ-ს**.

ამდენად, **თხუთმეტი თვრამეტის** რიგის ფორმაა და არა **ცხრამეტისა**. აქ **სიტყვის** დასაწყისში ჩვენ გვაქვს ქართულისათვის ბუნებრივი **თხ** კომპლექსი, რომლის გამარტივების საფუძველი არ არსებობს. რაც შეეხება ფორმებს **ხუთმეტი** და **თუთხმეტი**, პირველი ამჟამად აღმოსავლური, ხოლო მეორე დასავლური დიალექტური ფორმაა.

რაც შეეხება რიგობით რიცხვით სახელებს, ისინი იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძისაგან **მე-** პრეფიქსისა და **-ე** სუფიქსის დართვით: **ორ-ი** – **მე-ორ-ე**, **ათ-ი** – **მე-ათ-ე**, **ცხრამეტ-ი** – **მე-ცხრამეტ-ე**, **ოც-ი** – **მე-ოც-ე**, **ორმოც-ი** – **მეორმოც-ე**, **ას-ი** – **მე-ას-ე**, **ხუთას-ი** – **მე-ხუთას-ე**, **ათას-ი** – **მე-ათას-ე**... ყველა რიგობითი რიცხვითი სახელი (გარდა პირველისა) კვეცადია: მეორ-ის, მესამ-ის, მეოთხ-ის, ოცდამეტი-ის...

რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან (რომლებიც ოცეულებსა და ათეულ-ერთეულებს ან ასეულებსა და ერთეულ-ათეულ-ოცეულებს ან ათასეულებსა და ასეულ-ოცეულ-ერთეულებს შეიცავს), რიგობითი რიცხვითი სახელები სხვადასხვაგვარად მიიღება: ოცეულების, ასეულების, ათასეულების და **ა. შ.** გამომხატველი რიცხვითი სახელები უცვლელი

რჩება, საწარმოებლად აღებულია რიცხვითი სახელის ფუძე **ერთიდან ოცამდე**, ასევეა ასეულთა გამომხატველი რიცხვითი სახელები. მათ ემატება **მე-პრეფიქსი** და -ე სუფიქსი. გამონაკლისს წარმოადგენს **ერთი**, რომლისგანაც რიგობითი რიცხვითი სახელი ჩვეულებრივი წესით (**მე-ერთ-ე**) მხოლოდ მაშინ ინარმოება, როცა ეს **ერთი** ოცეულების გამომხატველ სახელს ემატება (**ოცდა-მე-ერთ-ე**, სამოცდა-მე-ერთ-ე), ჩვეულებრივ კი **პირველი** იხმარება. ასე იყო ძველ ქართულში, ასეა ახალ ქართულშიც. მაგალითები ძველი ქართულიდან:

ხოლო იყო გარდაცვალებამ ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და **მეორესა** წელსა (ხანდთ.); **ექუსას და მეერთესა** წელსა ცხორებისა მისისასა გამოვიდა კიდობნისაგან (ხრონ.); **ხუთ ათას მეხუთასესა** წელსა... სრულ იქმნა სიტყუა იგი (ხრონ.); ხოლო ინდიკატონსა ოთხსა და **ოცდამეერთესა** წელსა ჰერეკლეს მეფობისასა დაიბყრა (წარტყ.); გარდაცვალებითგან მისით დაინერა ცხორებამ ესე... დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუს ათას ხუთას ორმეოცდა მეათოთხმეტესა წელსა (ხანდთ.); ხოლო უამსა ჰასაკისა მისისათა ოთხმეოცდამეცხრესა წელსა შეისუენა მამამან ჩუენმან საპა (კიმენი I); ხოლო **ოცდამეცხრამეტესა** დღესა მოიყუნეს იგი (კიმენი I); აღერსულების ცხრად თთუედ ოცდამეხუთს დღს თთუსა დეკენბერისამ (კიმენი II). მაგალითები ახალი ქართულიდან:

პაპაჩემი **ოცდამეოთხე** კაცად იდგა, ჰერ კარტუზო (გ. დოჩანაშვილი); ინდოური მთელი თვე ზის კვერცხებზედ და **ოცდამეათე** დღეს სჩეკავს ჭუკებსა (ი. გოგებაშვილი); მე ოცდასამი წლისა შევსრულდი და **ოცდამეოთხეში** გადავდექი (შიო არაგვისპირელი); წასვლის დრო მაქვს, წასვლისა! ხუმრობა ხომ არ არის, ოთხმოცდამეორეში გადავდექი (ეკ. გაბაშვილი).

სხვადასხვა ტიპის ტექსტებში დასტურდებოდა როგორც **ოცდამეერთე**, ისე **ოცდაპირველი** ფორმაც:

**ოცდამეერთე** დღეს რომ საბუდართან მივედი, კვერცხებიდან კაკუნი მომესმა (ი. გოგებაშვილი); თუ **ოცდაპირველს** დღეს მივალთ საბუდართან, ვნახავთ, რომ წინილები ნისკარტით ამტკრევენ ნაჭუჭსა და გარეთ გამოდიან (ი. გოგებაშვილი).

როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში გვხვდება სხვაგვარი წარმოებაც, როცა საწარმოებელ ფუძედ რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელის მთლიანი ფუძეა აღებული.

ძველი ქართული:

და დაყვეს ბრძოლათა შინა ოცი დღე და ესმოდეს ფილაკავანთა ძლიერად, ვიდრემდის დასცეს ზღუდშ ქალაქისამ **მეოცდაერთესა** დღესა (წარტყ.); და თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად **მეოცდაათესა** წელსა (ლუკა 3, 28); და თავადსა იესუს ეწყო ოდენ **მეოცდაათესა** წელსა (ლუკა, 3, 23).

ახალი ქართული:

[არსენას] ოცი თავი რომ ჰერნდეს, ოცივეს მოვჭრიდი - ისეთი ბრაზით სთქვა დავითმა, რომ მაიორს შეეშინდა, **მეოცდაერთე** ჩემიც არ მიაყოლოსო (მ. ჯავახიშვილი); **მეორმოცდაოთხე** ველი; **მეორმოცდაერთე** ველი; **მეორმოცდაორე** ველი („ნერვული სისტემის ტრავმული დაავადებანი“).

არის წარევი წარმოების შემთხვევებიც:

სწორედ **მეოცდამეერთე** თავის მეხუთე სტრიქონზედ შევდექით (ი. ჭავჭავაძე); უფრო ქვევით, საბძლის ძირში, ოცი გლეხი გაქვავებულიყო და **მეოცდაპირველს** ერთადერთი თვალი ცალთვალა ბუსავით დაეჭყიტა (მ. ჯავახიშვილი).

პირველი რიგის ფორმებს (**ოცდამეორე**, **ოცდამესამე**...) გარკვეული ნაკლოვანებები აქვს. ჯერ ერთი, დარღვეულია წარმოების პრინციპი: როდესაც რთული ფუძისაგან ახალი ფუძეები ინარმოება, საწარმოებლად, ჩვეულებრივ, მთლიანი რთული ფუძეა აღებული და არა მისი შემადგენელი ერთ-ერთი წანილი. ამ მხრივ მეორე რიგის წარმოება (**მეოცდაორე**, **მეოცდასამე**...) უფრო თანამიმდევრულია და ეგუძება ქართული სიტყვანარმოების პრინციპს.

პირველი სახის წარმოებას სხვა უხერხულობაც ახლავს. მარტივი აგებულების რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან წანარმოები რიგობითი რიცხვითი სახელები არაბული ციფრებით გამოხატვის შემთხვევაში ასე ინერება: **მე-2, მე-7, მე-100**. როგორდა უნდა დაინეროს რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან წანარმოები რიგობითი რიცხვითი სახელები, მაგალითად, **ოცდამეშვიდე**, **ოთხმოცდამეცხრე**, **ოთხმოცდამეცამეტე?** თუ ამგვარადვე დაინერა (**მე-27, მე-89, მე-93**), მაშინ აღარ წაიკითხება როგორც **ოცდამეშვიდე**, **ოთხმოცდამეცხრე** ან **ოთხმოცდამეცამეტე**. ამიტომ ასეთი დაწერილობა გავრცელდა: **27-ე, 89-ე, 93-ე**.

დასაზუსტებელია ორ-, სამ- და მეტწევრიან რიგობით რიცხვით სახელთა დაწერილობის საკითხი. სირთულე მაშინ იქმნება, როდესაც ამგვარ რიცხვით სახელებს სიტყვიერად ვწერთ. ერთგვაროვნება არაა დაცული მათი დაწერილობისას. გვხვდება შემადგენელი ნაწილების როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე გაფორმების შემთხვევები: ას მეხუთე / ასმეხუთე, სამი ათას ოცდამეხუთე / სამიათასოცდამეხუთე... ამგვარი რიგობითი რიცხვითი სახელების ერთ სიტყვად დაწერის პრინციპი ვერ გატარდება დაწერილობის სირთულისა და სათანადოდ აღქმის გამო.

უნდა გატარდეს შემდეგი წესი: რიგობითი რიცხვითი სახელები ისე დაიწერება, როგორც შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელები – ანუ ამგვარი რთული რიცხვითი სახელის შემადგენელი თითოეული წევრი ცალ-ცალკე დაიწერება, ხოლო რიგობითობის მაწარმოებელი მე – ე კონფიქსი ბოლო კომპონენტს დაერთვის: ას მეორე, ათას მეორასე, ათას ორას ოცდამეხუთე, ოთხი ათას მეორმოცე, ექვსი მილიონ შვიდი ათას ოცდამეთვრამეტე...

მართალია, ყველა დასახელებული რიცხვითი სახელი, ორკომპონენტიანიცა და სამ- და მეტშემადგენლიანიც, ერთ ერთეულად მოიაზრება, მაგრამ ორზე მეტფუძიანი რიცხვითი სახელის ერთ სიტყვად დაწერა მოუხერხებელია მისი სიგრძის გამო.

**ათასის** რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი ყველა ბრუნვაში **ი** სუფიქსითა წარმოდგენილი (**ი** თითქმის შეხორცებულია ფუძისთან). ამიტომ ბუნებრივი იქნება პარალელურ ვარიანტთაგან (მეორიათასე და მეორათასე, მესამიათასე და მესამათასე) **ი** სუფიქსიანი ფორმის გამოყენება: მეორიათასე, მესამიათასე. თუ ათასის მსაზღვრელია რთული შედგენილობის რიცხვითი სახელი, მაშინ დგება საკითხი, როგორ უნდა ვაწარმოოთ მისგან რიგობითი რიცხვითი სახელი: ას ორი ათასი – ას მეორიათასე თუ მეასორიათასე? ასეთ შემთხვევებში **ათასი** და მისი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულს, ამიტომ უმჯობესია, მე- პრეფიქსი დაერთოს თავში: მეასორიათასე, მესამასორიათასე... მე-ე კონფიქსი ერთგვარად კრავს ამგვარ რიცხვით სახელებს.

უცხოური წარმოშობის რიცხვითი სახელებისაგან (**მილიონი, მილიარდი...**) ნანარმოებ რიგობით რიცხვით სახელებში **მილიონის** და მისთ. მსაზღვრელი სახელი ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი: **მეექვსმილიონე, მეშვიდმილიონე...**

აქტუალურია რიცხვითი სახელის **პირველი** არაბული ციფრებით გამოსახვის საკითხი. მას ამგვარად გამოსახავენ: **1-ლი** ან **1-ელი**. რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით სხვა ბრუნვებში? ამ რიცხვითი სახელის ციფრებით გამოსახვის საჭიროება განსაკუთრებით იჩენს თავს დოკუმენტების გაფორმებისას. **1-ლი** დაწერილობის შემთხვევაში სხვა ბრუნვებში გვექნებოდა: **1-ლმა, 1-ლს, 1-ლის...**(**1-ლმა** მუხლმა, **1-ლ** მუხლში, **1-ლ** მუხლს...), რაც ერთგვარ უხერხულობას ქმნის დაწერილობის თვალსაზრისით. უმჯობესია **-ელ** ელემენტი ყველა ბრუნვაში სრულად შენარჩუნდეს. შესაბამისად, მართებულად უნდა ჩაითვალოს **1-ელი** დაწერილობა: **1-ელი, 1-ელმა, 1-ელს, 1-ელის, 1-ელით, 1-ელად (1-ელი** მუხლის მიხედვით, **1-ელ** თავში შევიდეს ცვლილებები, **1-ელის** მიხედვით შესწორდეს...). თვეების **პირველი** კალენდარული დღის აღნიშვნისას დასაშვებია ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმები: **1 იანვარი, 1 მაისი, 1 სექტემბერი** და სხვა.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკითხი რიგობითი რიცხვითი სახელების გამოყენებისას. გასულ საუკუნეებში დასტურდებოდა პარალელური ფორმები: **მესამოცე წლები** და **სამოციანი წლები**, **მეოთხმოცე წლები** და **ოთხმოციანი წლები**: ერს უჭირდა ორმოციან და **ორმოცდაათიან წლების** განმავლობაში (ი. ჭავჭავაძე); მწერლობა ჩვენი, **ოცდაათიან წლებში** ხელახლად ფეხადგმული, პირველ ხანს უფრო შინაური საქმე იყო, ვიდრე საყოველთაო (ი. ჭავჭავაძე); წარსული საუკუნის **ოთხმოციან წლებში** მოიშალა „ნამესტნიკობა“ (დ. კლდიაშვილი), **შდრ.: მესამოცე წლებმა ჩვენში** აქა-იქ ვარდები დამყნა (ა. წერეთელი); სამწუხარო ის არის, რომ ამგვარ სახელთა რიცხვში ხედავთ **მესამოცე და მეოთხმოცე წლების ზოგიერთ პატრიოტებსაც** (ი. გოგებაშვილი); **მესამოცე წლების** მოღვაწეებში... ყველაზე წინ მეხატებიან გ. წერეთელი, ს. მესხი და ნ. ნიკოლაძე (ა. წერეთელი).

დღეს პრაქტიკულად არ იხმარება **მეოთხმოცე**, **მესამოცე წლების** ტიპის ფორმები. უფრო ბუნებრივია **-იან** მაწარმოებლიანი ვარიანტები (ეს, რა თქმა უნდა, არ შეეხება შემდეგი ტიპის შესიტყვებებს; **მესამოცე რიგი, მეოთხმოცე გაზაფხული** და მისთ.). თანამედროვე ქართულ მწერლობასა და პრესაშიც ის მხოლოდ **-იან** ფორმანტით დასტურდება:

მე-19 საუკუნის **სამოციანი** წლებიდან დგება ახალი ერა ქართველი ხალხის ცხოვრებაში (გრ. აბაშიძე); განსაცვიფრებული იყო **ოცდაათიანი** წლების ქართულ პროზაში თანამედროვეობის ისეთი მძაფრი აღქმა (ნ. დუმბაძე); ასე იცინოდნენ და გარეთ კი, ქალაქში, გარეთ მართლა სუსხი იდგა, **ორმოციანი** წლები, რა იყო იმასთან შუა იანვარი (გ. დოჩანაშვილი); ხალხისგან განსხვავებით არსებულმა რეჟიმმა „ბრჭყალები გამოყო“ და მივიღეთ გასული საუკუნის **ორმოცდაათიანი** თუ სამოცდაათიანი წლები, მივიღეთ 9 აპრილი („საქართველოს რესპუბლიკა“); **ოთხმოცდაათიანი** წლების დასაწყისში საქართველოში ვითარება ძალიან დაიძაბა („ახალი თაობა“); **სამოციანი** წლები იყო და ასე ღიად და პირდაპირ შვილების ნათლობას მაშინ ყველა ერიდებოდა („რეზონანსი“).

რიგობითი რიცხვითი სახელებისგან არის მიღებული წილობითი რიცხვითი სახელები: **მესამე – მესამედ – მესამედი; მეათე – მეათედ – მეათედი, მეასე – მეასედ – მეასედი.**

**ოცდამესამე, ოცდამეოთხე** და მისთ. ფორმებისაგან წილობითი სახელები იწარმოება ამგვარად: **ოცდამესამედი, ოცდამეხუთედი.** პარალელურად გვხვდება **მეოცდასამედი, მეოცდახუთედი** ფორმებიც, რომლებიც უმართებულოა.

აქვე უნდა აღინიშნოს სიტყვა **მეორადის** შესახებ თანამედროვე ქართულში. იგი მიღებულია **პირველადის** ანალოგით. **პირველადი** მიღებულია **პირველის** ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან. ამგვარადვე უნდა ყოფილიყო მეორედი, მაგრამ მის ნაცვლად **მეორადი** გვხვდება **მეორეულის** გვერდით. ფორმათაგან **მეორეული** და **მეორადი** დასაშვებად იქნეს მიჩნეული ორივე თავ-თავისი ნიუანსობრივი სხვაობის გათვალისწინებით: სამეცნიერო ტერმინოლოგიაში (ძირითადად) – **მეორეული: მეორეული** მოვლენა, **მეორეული** დაავადება... რაიმეს ხელახლი გამოყენების ან დამატებითი ფუნქციის აღსანიშნავად – **მეორადი:** **მეორადი** ფაკულტეტი, **მეორადი** ავეჯი...

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელების გამოყენებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1.1. ფორმებიდან – **თხუთმეტი, ხუთმეტი** და **თუთხმეტი** – სალიტერატურო ქართულისათვის ერთადერთ მართებულ ფორმად მიჩნეულ იქნეს **თხუთმეტი.**

1.2. თუ რაოდენობითი რიცხვითი სახელი დგას რომელიმე ბრუნვაში, ციფრ(ებ)ით გამოსახვისას ბრუნვის ნიშანი დეფისით უნდა გამოიყოს: **25-მა, 34-ის, 67-ით, 8-მ...** გამონაკლისია სახელობითი ბრუნვა: მისი ნიშანი ციფრთან არ დაინტერება: **5 (სუთი), 9 (ცხრა), 21 (ოცდაერთი), 28 (ოცდარვა)...**

1.3. ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები **ათასს** სახელობითი ბრუნვის ფორმით უნდა შეეწყოს ყველა ბრუნვაში: **ორი ათასი კაცი, ორი ათასმა კაცმა, ორი ათას კაცს, ორი ათასი კაცის, ორი ათასი კაცით, ორი ათას კაცად.**

1.4. **მილიონს, მილიარდს** და **სხვა ნასესხებ რიცხვით სახელებს** მათი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი უნდა შეეწყოს როგორც მსაზღვრელი სახელი: **სახ. ორი მილიონი კაცი; მოთხრ. ორმა მილიონმა კაცმა; მიც. ორ მილიონ კაცს; ნათ. ორი მილიონი კაცის; მოქმ. ორი მილიონი კაცით; ვით. ორ მილიონ კაცად და ა.შ.**

1.5. სამი და მეტი ნაწილისაგან შემდგარ რთულ რიცხვით სახელები (ორი ათას ხუთასი, ორი მილიონ სამი ათას ხუთასი, სამი მილიარდ ხუთასი მილიონ ოთხასი ათას ხუთასი...) მილიარდი, მილიონი, ათასი ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი, ხოლო მათი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები – სახელობითი ბრუნვის ფორმით. ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მხოლოდ უკანასკნელი (საზღვრულისწინა) რიცხვითი სახელი:

**სახ. ორი ათას ხუთასი კაცი**

**ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცი**

**მოთხრ. ორი ათას ხუთასმა კაცმა**

**ორი მილიონ ხუთასი ათას სამასმა კაცმა**

**მიც. ორი ათას ხუთას კაცს**

**ორი მილიონ ხუთასი ათას სამას კაცს**

**ნათ. ორი ათას ხუთასი კაცის**

**ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცის**

**მოქმ. ორი ათას ხუთასი კაცით**

**ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცით**

**ვით. ორი ათას ხუთას კაცად**

**ორი მილიონ ხუთასი ათას სამას კაცად**

1.6. და კავშირით შეერთებული რიცხვითი სახელები უნდა დაიწეროს ერთად, ხოლო ყველა დანარჩენი – ცალ-ცალკე: ოცდაერთი, ოცდაათი, ოცდაჩვიდმეტი, ორმოცდაცამეტი, სამოცდათხუთმეტი, ორმოცდაცხრამეტი და მისთ. ცალ-ცალკე დაიწერება: ას ერთი, ას შვიდი, ას ოცი, ას ორმოცდაათი, სამას ერთი, სამას ორმოცი, ათას შვიდას ოცდაათი, ათას ცხრას ერთი, ოცი ათას შვიდასი, ოცი ათას შვიდას ოთხმოცი, ორასი ათას ხუთას ოცდაცამეტი, მილიონ ათას შვიდას ოცი, ხუთი მილიონ ხუთასი ათას შვიდას ოცდათერთმეტი და მისთ.

2. რიგობითი რიცხვითი სახელების გამოყენებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

2.1. **ერთის** რიგობითი ფორმაა **პირველი** (და არა მეერთე), მაგრამ მისი შემცველი რთული რიცხვითი სახელისგან რიგობითი და ნილობითი ფორმების წარმოებისას გამოიყენება **ერთ** (და არა პირველ) ფუძე: ორმოცდაერთი – ორმოცდამეერთედი...

2.2. ყველა რიგობითი რიცხვითი სახელი, გარდა **პირველისა**, ხმოვანფუძიანი და, შესაბამისად, კვეცადია: **ას მეხუთე – ას მეხუთ-ის – ას მეხუთ-ით; ათას ხუთას მეექვსე – ათას ხუთას მეექვსის – ათას ხუთას მეექვსით...**

2.3. რიცხვითი სახელის **პირველი** დაწერილობისას უპირატესობა მიენიჭოს სიტყვიერად ან რომაული ციფრით (**პირველი** ან I, **პირველმა** ან I-მა) გამოსახვას. **პირველი** არაბული ციფრით უნდა გამოისახოს შემდეგნაირად: **1-ელი, 1-ელმა, 1-ელს, 1-ელის...** (1-ელი მუხლის მიხედვით, **1-ელ** თავში შევიდეს ცვლილებები, **1-ელის** შესაბამისად...). თვეების **პირველი** კალენდარული დღის აღნიშვნისას დასაშვებია ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმები: **1 იანვარი, 1 მაისი, 1 სექტემბერი** და სხვ.

2.4. რიგობითი რიცხვითი სახელების არაბული ციფრებით გამოსახვისას თუ სახელი იწყება **მე-** პრეფიქსით (მეშვიდე, მესამოცე, მეასე...), უნდა დაიწეროს **მე-**, შემდეგ – დეფისი და ციფრი. მაგალითად: **მე-7** (მეშვიდე), **მე-15** (მეთხუთმეტე), **მე-100** (მეასე), **მე-700** (მეშვიდასე). თუ რიგობითი რიცხვითი სახელი არ იწყება **მე-** პრეფიქსით (ოცდამეშვიდე, ორმოცდამეთოთხმეტე, სამოცდამესამე, ას მეორე...), მაშინ ბოლოში უნდა დაერთოს -ე სუფიქსი, რომელიც ციფრისაგან დეფისით გამოიყოფა: **27-ე** (ოცდამეშვიდე), **102-ე** (ას მეორე), **705-ე** (შვიდას მეხუთე) და სხვ.

რიგობითი რიცხვითი სახელები უნდა დაიწეროს ისევე, როგორც შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელები: თითოეული წევრი ცალ-ცალკე. რთულ რიგობით რიცხვით სახელებში **მე-ე** მაწარმოებელი დაერთვის სიტყვის ბოლო კომპონენტს: **ას მეორე (102-ე), ათას ორას ოცდამეხუთე (1225-ე), ექვსი მილიონ შვიდი ათას ოცდამეთვრამეტე (6 007 038-ე)**...

2.6. ფორმებიდან – **მეორიათასე** და **მეორათასე, მესამიათასე** და **მესამიათასე** – მართებულია ი სუფიქსიანი ვარიანტები: **მეორიათასე, მესამიათასე...**

2.7. უცხოური წარმოშობის რიცხვითი სახელებისაგან (**მილიონი, მილიარდი...**) ნაწარმოებ რიგობით რიცხვით სახელებში **მილიონის** და მისთ. მსაზღვრელი სახელი ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი: **მეექვსმილიონე, მეშვიდმილიონე...**

2.8. ფორმათაგან **მეორეული** და **მეორადი** დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული ორივე თავთავისი ნიუანსობრივი სხვაობის გათვალისწინებით: სამეცნიერო ტერმინოლოგიაში (ძირითადად) – **მეორეული: მეორეული** მოვლენა, **მეორეული** დაავადება... რამეს ხელახლი გამოყენების ან დამატებითი ფუნქციის აღსანიშნავად – **მეორადი: მეორადი** ფაკულტეტი, **მეორადი** ავეჯი...

2.9. რიგობითი რიცხვითი სახელების რომაული ციფრებით გამოსახვისას უნდა გატარდეს შემდეგი წესი: რომაულ ციფრს არც თავსა და არც ბოლოში არ უნდა დაერთოს რიგობითობის მაწარმოებელი აფიქსები: **VI, VIII, XIX, XX** (და არა მე-VI, VIII-ე, მე-XIX-ე) და სხვ.

## **ნორმის პროექტი მოამზადა თეა ბურჯულაძემ.**

პროექტი განხილულია თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელმწიფო ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის 11 ოქტომბრის სხდომაზე და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2019 წლის 6 დეკემბრის სხდომაზე.

### **თანდებულიან და ნაწილაკდართული რიცხვითი სახელების მართლწერასთან დაკავშირებით სახელთა მართლწერა**

თანდებულიანი და ნაწილაკდართული რიცხვითი სახელების მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ციფრ(ებ)ით გამოსახვისას** დეფისით უნდა გამოიყოს თანდებულები და ბრუნვის ნიშნები, სახელმწიფი ბრუნვის ნიშნის გარდა: **15-ვით, 25-ის(ა)თვის, 38-ის(ა)კენ, 59-ის(ა)გან, 22-ში, 35-ზე, 16-თან, 8-იდან, 5-ამდე, 287-ამდე, 26-ამდე...**

2. ნაწილაკდართული რიცხვითი სახელების გამოყენებისას **უპირატესობა მიენიჭოს** სიტყვიერ დაწერილობას, ხოლო **ციფრით გამოსახვისას** რიცხვითი სახელის აღმნიშვნელ ციფრს დეფისით უნდა გამოიყოს ნაწილაკი ბრუნვის ნიშანთან და თანდებულთან ერთად. რაოდენობით რიცხვით სახელებს, არაბული ციფრებით გამოსახვისას, სახელმწიფითში ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის. მაგალითად: **2-ც, 2-მაც, 2-საც, 2-ისაც, 2-ითაც, 2-ადაც; 2-ლა, 2-მალა, 2-სლა, 2-ისლა, 2-ითლა, 2-ადლა; 2-ვე, 2-ვემ, 2-ვეს, 2-ვესი, 2-ვეთი, 2-ვედ; 2-ოდე, 2-ოდემ, 2-ოდეს, 2-ოდესი...**

3. რიგობით რიცხვით სახელთა რომაული ციფრით გამოსახვისას დეფისით უნდა გამოიყოს ბრუნვის ნიშანი, თანდებული და ნაწილაკი. მაგალითად: **XV-სლა, დავით IV-ის(ა)თვის, ვახტანგ VI-ის(ა)გან, ერეკლე II-ისგანაც, გიორგი III-სვე...**

4. რიგობითი რიცხვითი სახელების არაბული ციფრით გამოსახვისას დეფისით უნდა გამოიყოს ბრუნვის ნიშანი, თანდებული, ნაწილაკი და რიგობითობის მანარმოებელი აფიქსი. მაგალითად: **დავით მე-4-ის(ა)თვის, ვახტანგ მე-6-ის(ა)გან, ერეკლე მე-2-ისგანაც, 38-ემლა...**

5. თანდებულიან და ნაწილაკდართულ რიგობით რიცხვით სახელთა დაწერილობისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სიტყვიერ ან რომაული ციფრებით გაფორმებას, საჭიროების შემთხვევაში (სპეციფიკური დანიშნულებით გამოყენებისას) დასაშვებია ამგვარი რიგობითი რიცხვითი სახელების გამოსახვა არაბული ციფრებითაც.

<b>სიტყვიერად</b>	<b>რომაული ციფრებით</b>	<b>არაბული ციფრებით</b>
ოცდამეხუთეში	XXV-ში	25-ეში
ორმოცდამეთექვსმეტეზე	LVI-ზე	56-ეზე
დავით მეოთხის(ა)თვის	დავით IV-ის(ა)თვის	დავით მე-4-ის(ა)თვის
ვახტანგ მეექვსის(ა)გან	ვახტანგ VI-ის(ა)გან	ვახტანგ მე-6-ის(ა)გან
მეორმოცესლა	XXXX-სლა	მე-40-სლა
ერეკლე მეორესვე	ერეკლე II-სვე	ერეკლე მე-2-სვე
ერეკლე მეორის(ა)კენ	ერეკლე II-ის(ა)კენ	ერეკლე მე-2-ის(ა)კენ
ოცდამეთვრამეტემაც	XXXVIII-მაც	38-ემაც

## დასაბუთება

რიცხვით სახელთა მართლწერისას გასათვალისწინებელია, თუ რომელ ჯგუფს განეკუთვნება ესა თუ ის ფორმა – რაოდენობითს, რიგობითსა თუ წილობითს. მნიშვნელოვანია ისიც, სიტყვიერად ვწერთ თუ ციფრებით, რიცხვითი სახელი არაბული ციფრებითაა გამოსახული თუ რომაულით. სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს ასევე თანდებულიანი და ნაწილაკდართული რიცხვითი სახელების სათანადოდ გაფორმება.

თუ რაოდენობითი რიცხვითი სახელი დგას რომელიმე ბრუნვაში, გარდა სახელობითისა, ციფრით გამოსახვისას დეფისით უნდა გამოიყოს ბრუნვის ნიშანი: **25-მა, 34-ის, 67-ით...** თანდებულიანი რიცხვითი სახელის შემთხვევაში კი საკითხი ასე დაისმის: არაბული ციფრით გამოხატული რიცხვითი სახელის დაწერისას თანდებულთან ერთად ბრუნვის ნიშანიც აღინიშნოს თუ არა? - **25-ისათვის თუ 25-თვის?** **19-ისათვის თუ 19-თვის?** **9-სავით თუ 9-ვით?** რაოდენობითი რიცხვითი სახელის შემდეგ თანდებული დეფისით უნდა გამოიყოს ბრუნვის ნიშანთან ერთად: **25-ის(ა)თვის, 38-ის(ა)კენ, 40-ის(ა)თვის, 59-ის(ა)კენ, 9-სავით...** იმ თანდებულთა შემთხვევაში კი, რომელთა დართვისას ისედაც არ ჩანს ბრუნვის ნიშანი (ფონეტიკური პროცესების გამო იკარგება), მხოლოდ თანდებული გამოიყოფა: **22-ში, 35-ზე, 16-თან...**

გასარკვევია, როგორ დაიწეროს **-მდე** და **-დან** თანდებულებიანი რიცხვითი სახელები. ასეთ ფორმებში უნდა შენარჩუნდეს ბრუნვის ნიშანიცა და თანდებულიც. ამიტომ დაიწერება ამგვარად: **5-იდან, 27-იდან, 43-იდან... 8-იდან, 9-იდან, 28-იდან, 29-იდან...** მცდარია ამ ფორმათა ბოლო ხანს გავრცელებული შემდეგი დაწერილობა: **5-დან, 27-დან, 43-დან...** ხოლო **-მდე/ამდე** თანდებულიანი ფორმები დაიწერება ასე: **5-ამდე, 287-ამდე, 26-ამდე, 57-ამდე...** რაც შეეხება ხმოვანფუძიან რიცხვით სახელებს, **რვასა და ცხრას** (ან მათ შემცველ სხვა რთულ რიცხვით სახელებს), მათ დაერთვის **-მდე** (და არა **-ამდე**). შესაბამისად, დაიწერება ასე: **8-მდე, 9-მდე, 28-მდე, 29-მდე...**

რაოდენობით რიცხვით სახელებთან ასევე გვხვდება ნაწილაკები: **-ც(-ა), -ლა, -ოდე, -ვე:** ორივე, სამილა, თორმეტიც(ა), ხუთიოდე... ასეთი ფორმების გამოყენებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სიტყვიერ დაწერილობას. საჭიროებისამებრ შეიძლება არაბული ციფრების გამოყენებაც. დასაზუსტებელია, როგორ დაიწეროს ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი: **22-ვემ თუ 22-ივემ?** **-ვე** და **-ოდე** ნაწილაკები ფუძესთანაა შეხორცებული და შემდეგ დაირთავს ბრუნვის ნიშანს: ორივემ, ორივეს, ორივესი, ორივეთი, ორივედ; ორიოდე, ორიოდემ, ორიოდეს, ორიოდესი, ორიოდეთი, ორიოდედ. მართებული დაწერილობა ასეთი იქნება: **2-ვე, 3-ვემ, 2-ვეს, 2-ვესი, 2-ვეთი, 2-ვედ; 2-ოდე, 2-ოდემ, 2-ოდეს, 2-ოდესი, 2-ოდეთი, 2-ოდედ.** ყველა დასახელებულ შემთხვევაში სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ი** შეხორცებულია ფუძესთან, დაკარგული აქვს ფუნქცია და ისე დაირთავს ნაწილაკებს. მსგავსი ფორმები ასე უნდა დაიწეროს: **2-ვე, 2-ოდე.**

**-ც** და **-ლა** ნაწილაკები რიცხვით სახელს (ისევე როგორც სხვა სახელებს) ბრუნვის ნიშნის შემდეგ დაერთვის, ამიტომ ამ ნაწილაკებდართული რაოდენობითი რიცხვითი სახელები ისე უნდა დაიწეროს, როგორც თანდებულიანი ფორმები: **2-ლა, 2-მალა, 2-სლა, 2-ისლა, 2-ითლა, 2-ადლა; 2-ც, 2-მაც, 2-საც, 2-ისაც, 2-ითაც, 2-ადაც...** ბრუნვის ნიშნების გამოყოფის გარეშე ვერ მოხერხდება კონტექსტის სათანადოდ გააზრება. მაგალითად: **2-სლა დარჩა** მოსატანი წიგნები თუ **2-ლა დარჩა** მოსატანი წიგნები? რა თქმა უნდა, **2-სლა** დაწერილობის გარეშე აზრი გაუგებარი რჩება. ამიტომ მართებული იქნება **-ლა** ნაწილაკთან ერთად ბრუნვის ნიშანიც (სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარდა) გამოიყოს დეფისით. ამგვარად, **-ლა და -ც** ნაწილაკებიან რიცხვით სახელებთან ბრუნვის ნიშნები დაიწერება: **2-ლა, 2-მალა, 3-ისლა, 27-ლა, 32-მაც, 10-ც, 10-საც** და ა. შ.

რიგობით რიცხვით სახელებზე თანდებულისა თუ ნაწილაკის დართვისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ბრუნვის ნიშანი, არამედ რიგობითობის მანარმოებელი ფორმანტებიც. რაკი და კავშირიანი რიგობითი რიცხვითი სახელების არაბული ციფრებით გამოსახვისას მათ მხოლოდ ბოლოში უნდა დაერთოს -**ე** სუფიქსი, ეს პრინციპი უნდა გატარდეს თანდებულის დართვის შემთხვევაშიც. თუ რიცხვს ბოლოსართი დაერთვის, თანდებულიანი რიგობითი რიცხვითი სახელის დაწერისას რიგობითობის აღმნიშვნელი -**ე** სუფიქსიც უნდა გამოიყოს: **25-ეში, 43-ესთან, 56-ეზე...** თუ არ აღინიშნა რიგობითობის მანარმოებელი -**ე**, მაშინ ის აირევა შესაბამის რაოდენობით რიცხვით სახელში: გიორგი სწავლობს მე-100 საჯარო სკოლაში, ხოლო ლუკა - **25-ეში** (და არა **25-ში**). მე-პრეფიქსით დაწყებული რიგობითი რიცხვითი სახელები თანდებულების დართვისას დაინტერება ასე: **მე-5-ზე, მე-8-სთან, მე-60-ში, მე-100-ის(ა)თვის...** რიგობითობის მანარმოებელი აფიქსი შენარჩუნდება აგრეთვე ნაწილაკების დართვისას და ბრუნვის ნიშანთან ერთად გამოიყოფა დეფისით: **22-ელა, 38-ემლა, მე-4-სლა, მე-4-ვე, 35-ევემ...**

ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დეფისით გამოეყოფა ასევე რომაული ციფრებით წარმოდგენილ რიცხვით სახელებს: **პეტრე I-ის, ვახტანგ VI-მ, გიორგი III-ისთვის; დავით IV-ის(ა)კენ, ერეკლე II-ის(ა)თვის, ვახტანგ VI-ის(ა)გან...**

ნაწილაკთა დართვის შემთხვევაშიც იგივე პრინციპი შენარჩუნდება: **-ვე** და **-ლა** ნაწილაკების დართვისას დეფისით გამოიყოფა ბრუნვის ნიშანი, თანდებული (თუ ისინი დადასტურებულია ფორმაში), შემდეგ კი – ნაწილაკი: **გიორგი III-მლა, ერეკლე II-ითვე, ერეკლე II-მდეც, ერეკლე II-სვე, დავით IV-სლა.** ბრუნვის ნიშნის გამოყოფის გარეშე აქაც აირევა სახელობითისა და სხვა ბრუნვათა ფორმები: **დავით IV-ლა** (სახ. ბრ.) – **დავით IV-სლა** (მიც. ბრ.).

თანდებულიანი და ნაწილაკდართული რიცხვითი სახელების მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ციფრ(ებ)ით გამოსახვისას** დეფისით უნდა გამოიყოს თანდებულები და ბრუნვის ნიშნები, სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარდა: **15-ვით, 25-ის(ა)თვის, 38-ის(ა)კენ, 59-ის(ა)გან, 22-ში, 35-ზე, 16-თან, 8-იდან, 5-ამდე, 287-ამდე, 26-ამდე...**

2. ნაწილაკდართული რიცხვითი სახელების გამოყენებისას **უპირატესობა მიენიჭოს** სიტყვიერ დაწერილობას, ხოლო **ციფრით გამოსახვისას** რიცხვითი სახელის აღმნიშვნელ ციფრს დეფისით უნდა გამოეყოს ნაწილაკი ბრუნვის ნიშანთან და თანდებულთან ერთად. რაოდენობით რიცხვით სახელებს, არაბული ციფრებით გამოსახვისას, სახელობითში ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის. მაგალითად: **2-ც, 2-მაც, 2-საც, 2-ისაც, 2-ითაც, 2-ადაც; 2-ლა, 2-მალა, 2-სლა, 2-ისლა, 2-ითლა, 2-ადლა; 2-ვე, 2-ვემ, 2-ვეს, 2-ვესი, 2-ვეთი, 2-ვედ; 2-ოდე, 2-ოდემ, 2-ოდეს, 2-ოდესი...**

3. თანდებულიან და ნაწილაკდართულ რიგობით რიცხვით სახელთა დაწერილობისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სიტყვიერ გაფორმებას, ხოლო მათი რომაული ციფრით გამოსახვისას დეფისით უნდა გამოიყოს ბრუნვის ნიშანი, თანდებული და ნაწილაკი. მაგალითად: **XL-სლა, XXXVIII-მლა, დავით IV-ის(ა)თვის, ვახტანგ VI-ის(ა)გან, ერეკლე II-ისგანაც...**

4. საჭიროების შემთხვევაში (სპეციფიკური დანიშნულებით გამოყენებისას) თანდებულიანი და/ან ნაწილაკიანი რიგობითი რიცხვითი სახელები შეიძლება გამოისახოს არაბული ციფრებით. ამგვარი დაწერილობისას დეფისით უნდა გამოეყოს ბრუნვის ნიშნები, თანდებულები, ნაწილაკები და რიგობითობის მანარმოებელი აფიქსები. მაგალითად: **22-ეზეც, 38-ემლა, მე-4-სლა, მე-4-ვე, 35-ემაც, დავით მე-4-ის(ა)თვის, ვახტანგ მე-6-ის(ა)განაც, ერეკლე მე-2-ისგან...**

**მარინა ბერიძე, ნანა გოგია, მაკა თეთრაძე, სოფიო კობიაშვილი**  
**მუნიციპალური ტოპონიმისა და გეოგრაფიული ობიექტების მართლწერის,**  
**ტრანსლიტერაციისა და თარგმანის საკითხები**

(მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 11 მაისის სხდომაზე, ოქმი №4)

საკუთარი სახელების მართლწერისა და უცხო ენაზე გადატანის წესების დადგენისა და დაცვის აუცილებლობა განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით:

ა) სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის (თავი VI, საკუთარი სახელის და სხვა სახელწოდების ენა) შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტის სახელდებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 21).

ბ) გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონში (მუხლი 7) ნათქვამია:

პუნქტი 4. გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები, რომლებიც იხმარება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ქართულენოვან კარტოგრაფიულ მასალებსა და სხვა დოკუმენტებში აღინიშნება ქართულ და, საჭიროების შემთხვევაში, უცხო ენებზე, ხოლო ამ ობიექტების სახელწოდებათა უცხოენოვანი დაწერილობა უნდა დაეფუძნოს ტრანსლიტერაციის საერთაშორისო ნორმებს.

პუნქტი 5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ მაკროტოპონიმებზე, რომელთა უცხოენოვანი დაწერილობა ტრადიციულად განსხვავდება ქართული ფორმისაგან. ასეთ შემთხვევაში სახელწოდებების უცხო ენაზე დაწერისას გამოიყენება არა ტრანსლიტერირებული, არამედ ტრადიციული (უცხოენოვანი) ფორმები.

პუნქტი 6. საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების ნორმალიზებული სახელწოდებები საგზაო და სხვა სახის მაჩვენებლებზე იწერება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთის ტერიტორიაზე – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. საჭიროების შემთხვევაში, უცხო ენაზე ამ წარწერების აღნიშვნა ხდება ტრანსლიტერაციის წესით.

გ) ხოლო სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დეპულებით მის ერთ-ერთ ფუნქციად განსაზღვრულია საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი წარწერის არასახელმწიფო ენაზე (მათ შორის, ეროვნული უმცირესობის ენაზე) წარმოდგენის წესის შემუშავება და დამტკიცება (თავი II, მუხლი 3, პუნქტი ჟ).

მუნიციპალური სამისამართო სახელწოდებების მოქმედი სიების ანალიზის შედეგად გამოიყო სახელწოდებათა რამდენიმე ჯგუფი, გამოვლინდა ტიპური შეცდომები, თარგმნისას არაუნიფიცირებული მიდგომისა და ქართული დაწერილობისას ორთოგრაფიული წესების დარღვევის შემთხვევები.

სამისამართო სახელწოდებები შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

1. სახელი და გვარი;
2. ზედნოდება;
3. საზოგადო სახელი;
4. რომელიმე მნიშვნელოვანი ამბისადმი მიძღვნილი დასახელება;
5. რელიგიური დღესასწაულების სახელები.

ყველა განსაზიღველ ჯგუფში აღმოჩნდა არაერთგვაროვანი მიდგომა როგორც ქართულ დაწერილობაში, ისე ინგლისურ თარგმანში. მაგ.:

**სახელი და გვარი:**

ა) ქართული საკუთარი სახელი გადადის ტრანსლიტერაციით, მაგრამ ინგლისური ენის ნორმების გათვალისწინებით:

**Giorgi Chubinashvili Street და არა Giorgi Chubinashvilis Street**

ბ) ქართული სახელი გადადის ხანინგლისური დაწერილობით, ხან კი სრული ტრანსლიტერაციით: გიორგი გურჯიევის | ჩიხი - George Gurdjieff | Dead End

გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილის ქ. – Giorgi (George) Papashvili Str.

**ზედნოდება:**

ასეთივე ნაირგვარობაა სხვადასხვა ზედნოდების გამოყენებისას და თარგმნისას:

ანთიმოზ ივერიელის ჩიხი – Anthim the Iberian Dead-End

ანთიმოზ ივერიელის ქ. – Anthimoz Iverieli Str.

ანთიმოზ ივერიელის ჩიხი – Anthimos of Iberia Dead End

9 ძმა ხერხეულიძის ქ. – Kherkheulidze 9 Brothers Str.

9 ძმის ქუჩა - 9 Dzma str.

საზოგადო სახელები გეოგრაფიული ობიექტების სახელებად ითარგმნება ამგვარად:

ხელოვანთა ქუჩა – Artists Str.

ღვინის აღმართი – Wine Ascent

ნარმოდგენილია თარგმანიც და ტრანსლიტერაციაც:

ფერმწერთა ქ. – Permitsera (Painters) Str.

**არ ითარგმნება:**

წყაროს ქ. – Tsqaro Str.

შეუსაბამობა ტრანსლიტერაციისას:

ფეირბართა ქ. – Peikrebi Str. (განსხვავებული ფორმაა ტრანსლიტერიზებული).

რომელიმე მნიშვნელოვანი ამბისადმი მიძღვნილი დასახელება:

რამდენიმესიტყვიანი, გარკვეული შინაარსის ან ამბის შემცველი დასახელებები, როგორც  
წესი, მთლიანად არის ხოლმე თარგმნილი:

26 მაისის ქუჩა, დაბა წყნეთი – 26 May Street, Tsqneti Borough

ასი ათასი მონამის ქუჩა, სოფელი ზურგოვანი – Hundred Thousands Street, Zurgovani Village.

**რელიგიური დღესასწაულების სახელები:**

ამ ჯგუფის სახელები ყოველთვის ტრანსლიტერაციითაა გადმოცემული, თუმცა ინგლისურ  
ვერსიაში ტრანსლიტერიზებულია არა ნათესაობითის, არამედ ქართული სახელობითის ფორმით.

ამაღლების ქ. – Amaghleba Str.

ჯვართამაღლების სახელობის ეკლესია – Jvartamaghleba Church.

მუნიციპალური ტოპონიმების ამჟამინდელ ინგლისურ დაწერილობაში სხვადასხვა სტრატეგიაა  
გამოყენებული, ესენია:

სრული ტრანსლიტერაცია

ნაწილობრივი თარგმანი / ნაწილობრივი ტრანსლიტერაცია

სრული თარგმანი.

„სრული ტრანსლიტერაცია“ პირობითი ცნებაა, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, ეს არის  
ქართული სიტყვის (და არა ფორმის) ტრანსლიტერაციული ჩანაწერი ინგლისური ენის ნორმების  
დაცვით:

სახელი და გვარი: Shalva Eristavi Str.

ტოპონიმი: Udzo str., Tibaani Str.

საზოგადო სახელი: Alublebi Str.

ეს არის სახელისა და გვარის, ტოპონიმის, საზოგადო სახელისა და არა სინტაქსური  
კონსტრუქციის ტრანსლიტერაცია (ნათესაობითი უგულებელყოფილია ინგლისური ენის ნორმის  
სასარგებლოდ).

ტოპონიმურ დასახელებებში კვეცადი და კუმშვადი სახელები უკუმშველად და უკვეცელადაა  
წარმოდგენილი ინგლისურად:

Avlabari Str., Avchala Str.

**ნაწილობრივი თარგმანი / ნაწილობრივი ტრანსლიტერაცია:**

შინდისელი გმირის ჩიხი – Shindiseli Hero Dead End

შინდისელი გმირის ქუჩა – Shindiseli Hero Str.

ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი – Monk Gabriel Salosi Ave.

**სრული თარგმანი:**

თავისუფლების მოედანი - Freedom Square.

არაერთგვაროვანია, აგრეთვე, გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი საზოგადო სახელების (ე.წ. ტოპონიმის ინდიკატორების) დაწერილობაც და უცხო ენაზე გადმოცემაც.

## **რეკომენდაციები მუნიციპალური სამისამართო სახელწოდებების ქართული და ინგლისური ვერსიების გადმოსაცემად:**

ქუჩების დასახელებისა და სხვა მუნიციპალური ობიექტების სახელწოდებების უცხო ენაზე წარმოდგენისას გათვალისწინებულ იქნეს პრაგმატული ასპექტი და უპირატესობა მიეცეს ტრანსლიტერაციული ჩანაწერის გამოყენებას.

მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში დარჩეს ნათარგმნი ვერსია (თავისუფლების მოედანი, გმირთა მოედანი...).

იმისათვის, რომ არ დაიკარგოს ქალაქის სახელდების კულტურული ასპექტი და უცხოელმა სტუმარმა შეძლოს ტოპონიმიკის, როგორც კულტურული ტექსტისა და განსაკუთრებული სემიოტიკური სისტემის გააზრება, ტრანსლიტერირებულ წარწერათა გვერდით ქუჩის (მოედნის, ხეივნის და სხვ.) ერთ ან რამდენიმე თვალსაჩინო ადგილას მიეთითოს ქუჩის ქართული სახელწოდების თარგმანიც.

გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი საზოგადო სახელების თარგმნისას გამოყენებულ იქნეს დეპარტამენტის მიერ შეთავაზებული უნიფიცირებული სია და შემოკლებები.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ გასწორებული თბილისის ქუჩებისა და სხვა მუნიციპალური ობიექტების ქართულ-ინგლისური სახელწოდებების ბაზა გამოყენებულ იქნეს არსებული სახელწოდებების გასასწორებლად მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხოლო ახალი სახელების დარქმევის დროს სარეკომენდაციო სიად.

მუნიციპალური ტოპონიმიისა და გეოგრაფიული ობიექტების ტრანსლიტერაციისას დაცულ იქნეს ტრანსლიტერაციის სარეკომენდაციო წესები.

### **დამატებითი რეკომენდაციები:**

**1)** დამატებით გამოიკვეთა პრობლემა იმ დასახელებებში, რომლებშიც გამოყენებულია უცხოური წარმოშობის საკუთარი სახელები. მათი დაწერილობისას უნდა ვისარგებლოთ წარმომავლობის ენის მონაცემით:

ფერდინანდ თავაძის ქ. Ferdinand Tavadze Str. (და არა იმ სახით, როგორც ახლაა: Perdinand Tavadze Str. )

ფილადელფის კიკნაძის ქ. Philadelphos Kiknadze Str. (როგორც არის კიდეც ამჟამად).

**2)** თუ ქუჩის სახელწოდება შეიცავს სტატუსის ან რელიგიური დღესასწაულის აღმნიშვნელ ერთ სიტყვას, მაგ. მეფე, პერი, ძმა ... ფერისცვალება... ამ სიტყვის თარგმანი მიეთითოს ფრჩხილებში: არჩილ მეფის ქ. - Mepe (King) Archil Str. ფერისცვალების ქ. - Peristsvaledba (Transfiguration) Str.

შენიშვნა 1: ინგლისურ დასახელებებში ხან იწერებოდა Street, ხან კი მისი შემოკლებული ვარიანტი: Str. ყველგან გამოყენებულ უნდა იქნეს Str.

აქვე დავურთავთ მისამართებში გამოყენებული სხვა გეოგრაფიული ობიექტების ქართულ და ინგლისურ დასახელებათა შემოკლებების სიას.

შენიშვნა 2: შეიცვალა სკვერის ინგლისური შესატყვისი Minipark \_ MP (იყო Park \_ PK)

# გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი საზოგადო სახელების უნიფიცირებული სია შემოკლებებით

ადმინისტრაციული ერთეული - ადმინ. ერთ. //აუ - Administrative Unit - AU

აღმართი - ას. - Ascent - AST

ბაღი - ბაღი - Garden - GDN

ბინა - ბ. - Apartment - Apt.

ბულვარი - ბულვ. - Boulevard - Blvd.

გამზირი/პროსპექტი - გამზ. - Avenue, Ave.

გასასვლელი - გას. - Path

გზატკეცილი - გზატკ. - Highway - HWY

დაბა - დ. - Borough - BOR / Boro.

დასახლება - დასახლ. - Settlement - Sett.

დაღმართი - დაღ. - Descent - DST

ზონა - ზონა - Zone - Zone

კვარტალი - კვ. - Block - BL

კორპუსი - კ. - Building - Bldg.

კოტეჯი - კტეჯ. - Cottage - Ctge

მასივი - მას. - Residential District, R/D

მთა - Hill (ზოგ შემთხვევაში Mount)

მიკრორაიონი - მკრ. - Microdistrict, M/D

მოედანი - Square - SQ

მუნიციპალიტეტი - მუნიციპ. - Municipality - Muni

ნაკვეთი - ნაკვ. - Plot - Plot

პარკი - Park - PK

პლატო - პლატო - Plateau - Plat

სადარბაზო - სად. - Entrance - Ent.

სანაპირო - სანაპ. - Embankment - Emb.

სკვერი - Minipark - MP

სოფელი - სოფ. - Village - VLG

სპორტული მოედანი - Sports Ground

უბანი - უბ. - District - DIST

ფერდობი - ფერდ. - Slope - SLP

ქალაქიქ. (+დასახელება სახელობით ბრ.-ში) City - City

ქუჩა - ქ. - Street - Str.

ქუჩის გაგრძელება - ქ. გაგრძელება Street Extension - Str. Ext (თიანეთის ქუჩის გაგრძელება)

შენობა - შ./შენ. - Premise - Prem

შესასვლელი - შეს. - Gateway - GTWY

შესახვევი - შესახვ. - Lane - LN

ჩიხი - ჩიხ. - Dead-End - DE

ხევი - ხევ. - Ravine - Rav.

ხეივანი - Alley - ALY

ხიდი - Bridge - BRG

## თინათინ ბოლქვაძე, მაკა თეთრაძე, ნიკო ქელბაქიანი

### ოპერაცია –ი: ქართული ენის სახელობითი ბრუნვის ფორმის გამოყენების პროგლოგა მუზიკურ დოკუმენტებში<sup>1</sup>

2004-2011 წლებში საქართველოში მოქმედი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა პირადობის დადასტურებისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტის გაცემის წესის შესახებ ინსტრუქციის“ მე-10 მუხლი განსაზღვრავდა პირადობის (ბინადრობის) მოწმობის მოქმედების ვადებსა და რეკვიზიტებს. ამ მუხლიდან ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი პუნქტები:

„ა) სახელი – სახელი, რომლის ფუძე მთავრდება ხმოვანზე, ინერება მთლიანად, ხოლო სახელი, რომლის ფუძე მთავრდება თანხმოვანზე, ინერება „ი“ ხმოვნის გარეშე;

ბ) გვარი - თუ პირი ატარებს ორ შერწყმულ გვარს, მოწმობაში ჩაინერება ორივე გვარი, გამოყოფილი დეფისით მათი თანმიმდევრობა განისაზღვრება ფაქტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტით;

გ) დაბადების ადგილი – საქართველოში დაბადებული პირის მოწმობაში ჩაინერება ქალაქის, რაიონის (დაბის) შესაბამისი სახელწოდება, ხოლო საზღვარგარეთ დაბადებული პირის მოწმობაში – ქვეყნის დასახელება.“

2011 წელს ეს ინსტრუქცია ძალადაკარგულად გამოცხადდა, რასაც მოჰყვა შეცდომები სხვადასხვა სახის პასპორტში, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებსა და მათზე დაფუძნებულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში. კერძოდ, თანხმოვანფუძიანი სახელი წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, რომელიც პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით უცვლელად გადადის პასპორტზე დაფუძნებულ დოკუმენტებში, რაც შეცდომათა რიცხვს კიდევ უფრო მეტად ზრდის. სახელობითი ბრუნვის ნიშანი გადაჰყვება სხვა ენაზე ტრანსლიტერაციის დროსაც.

ჩვეულებრივი გახდა ოფიციალურ დოკუმენტებში: დიპლომი მიეცა დავითი აბესაძეს, როცა ქართული ენის ნორმების მიხედვით სწორი ფორმაა: დიპლომი მიეცა დავით აბესაძეს. ასეთი შეცდომები ხშირად ქმნის პიროვნების იდენტიფიკაციის პრობლემას.

მეორე მხრივ, სახელობითი ბრუნვის ნიშანი პირადობის მოწმობაში, პასპორტსა და მასზე დაფუძნებულ ოფიციალურ დოკუმენტებში არაქართული წარმოშობის გვარები ხშირად წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე: პეტროსიან, ბალდარ, ჰომლერ და ა.შ.

მსგავსი ტენდენცია შეინიშნება უცხოური წარმოშობის სახელწოდებების ქართულად ტრანსლიტერაციის შემთხვევაშიც. კანონირეკლამის შესახებ კომპანიის მეპატრონესავალდებულებს, უცხოური სახელწოდების ქართულად ტრანსლიტერაციას (იხ. კანონი რეკლამის შესახებ, მუხლი 4, 2). საჯარო დანიშნულების საინფორმაციო-საცნობარო თუ სარეკლამო აბრებზე ხშირად ვხვდებით ისეთ წარწერებს, რომლებიც არ პასუხობს ქართულ სალიტერატურო ენის ნორმებს, კერძოდ, ტრანსლიტერირებული ფორმას არ ახლავს სახელობითი ბრუნვის ნიშანი, როცა მისი დართვა ნორმის მიხედვით აუცილებელია.

ამ ტიპის შეცდომების თავიდან აცილებას ახალი ენობრივი ნორმის მიღება არ სჭირდება. სახელობითი ბრუნვის ნიშნისა და მისი გამოყენების შესახებ ენობრივი ნორმა დიდი ხნის მიღებული და მოქმედი ნორმაა. ეს კვლევა მიზნად ისახავს იმ პრობლემებზე ყურადღების გამახვილებას, რომლებიც უკავშირდება თანხმოვანფუძიანი საკუთარი (პირთა და გეოგრაფიული) სახელების სახელობითი ბრუნვის ფორმის გამოყენებას სხვადასხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტში. აუცილებელია, რომ დე იურე ნორმა დე ფაქტო ნორმად იქცეს ენობრივი პრაქტიკის ყველა სფეროში.

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივ საერთაშორისო კონფერენციაზე „საერთაშორისო ტერმინოლოგია: თარგმნა და სტანდარტიზაცია“, კონფერენციის პროგრამა და თეზისები, 5-7 ოქტომბერი, 2018, გამომცემლობა „გრიფონი“, თბილისი, 2018

სახელობითი ბრუნვის ნიშანი, სუფიქსი -ი პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ტოპონიმების სხვა ენაზე ტრანსლიტერაციის დროს. ჩვეულებრივ, სხვა ენებზე ტრანსლიტერაციისას სახელობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია, მაგალითად, თბილისი - *Tbilisi*. რა თქმა უნდა, ეს არ არის გამონაკლისი შემთხვევა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლიეტუვური და ბერძნული სახელები, რომლებიც ქართულის მსგავსად, სახელობით ბრუნვაში სპეციალურ მარკერებს დაირთავენ. მაგალითად, ბერძნულ სახელებში ხშირად -ს, რომელიც სახელობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილია, შენარჩუნებულია: *როდოსი, კვიპროსი, თუმცა ბევრ ბერძნული გეოგრაფიულ სახელს ქართულად, ინგლისურად თუ ბევრ სხვა ენაზე თავიანთი ეგზონიმები აქვს და ტრანსლიტერაციით არ გადადის, შესაბამისად, ხშირად სახელობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებული არ არის. თუმცა თანამედროვე ბერძენ პირთა სახელები, რომლებიც უმეტესად ტრანსლიტერაციით გადადის უცხოურ ენებში, სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე არ იწერება: მაგ., პროკოპის პავლოპულოსი* (ბერძნ. პროკოპიოს პავლოპულოსი, ინგლ. Prokopis Pavlopoulos, რუს. Прокопис Павлопулос), *კირიაკოს მიცოტავის მიცოტავისი* (ბერძნ. Κυριάκος Μητσοτάκης, ინგლ. Kyriakos Mitsotakis, რუს. Кириакос Митцотакис). ასევე, ლიეტუვური ქალაქები, მაგ. *ვილნიუსი და კაუნასი, ქართულში, ინგლისურში, რუსულსა და ბევრ სხვა ენაზე ტრანსლიტერაციისას ლიეტუვურ სახელობით ბრუნვის ნიშნებს ინარჩუნებენ. საგულისხმოა, რომ ვილნიუსს ბევრი ეგზონიმი აქვს, მათ შორის პოლონური Wilno, და რუსულადაც ქალაქს ვილნა / ვილნი ეწოდებოდა, თუმცა რუსულში სახელწოდება 1939 წლის საბჭოთა ანექსიის შემდეგ ლიეტუვური ენდონიმით შეიცვალა და ვილნიუს (ვილნიუს) ეწოდა.*

ეს ცვლილება თანხვდება მაშინდელ საბჭოთა ენობრივ პოლიტიკას, რომელიც ქართულ გეოგრაფიულ სახელებს 1936 წელს შეეხო. თბილის სახელი 1936 წელს შეეცვალა (მანამდე ტფილისი ერქვა), თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები ქართული გეოგრაფიული სახელების რუსულ დასახელებებს შეეხო. საბჭოთა ხელმძღვანელობამ საქართველოს სსრ-ის გეოგრაფიული სახელწოდებების ტრანსლიტერაციით გადატანის გადაწყვეტილება მიიღო. ასე რომ, *თიფლის გახდა თბილისი, კუთაისი - კუთაისი, ბათუმი - ბათუმი, სუხუმ - სუხუმი*. ეს გადაწყვეტილება შეეხო სომხეთის გეოგრაფიულ სახელებსაც და ერივან გახდა ეревან.

მანამდე რუსეთის იმპერიისა და ადრეულ საბჭოთა რუკებსა და დოკუმენტებში ქართულ თანხმოვანფუძიან ტოპონიმებში სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი არაერთგვაროვნად გამოიყენებოდა (იხ. რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირში გამოცემული 1897, 1934, 1939, 1954 და 1988 წლის რუკები)<sup>1</sup>. დიდი ქალაქები უმეტესად -ი ბრუნვის ნიშნის გარეშე იწერებოდა (*თიფლისი, კუთაისი, ბათუმი, სუხუმი, თელავი, დუშეთი*), ზოგი ქალაქი -ი ბრუნვის ნიშნით იწერებოდა (*Гори, Поти*), ზოგ შემთხვევაში რუსული ყოველი ხმოვანი გამოიყენებოდა და ხმოვნის ნაცვლად (*Озургеты, Кобулеты*), ზოგი სახელწოდება კი რუსულად თანხმოვანზე მთავრდებოდა, მაშინ როცა ქართული სახელწოდება ხმოვანფუძიანი იყო (*Ахалцих(ი) - ახალციხე, მცხეთ(ი) - მცხეთა*). ეს სახელწოდები ამოღებულია 1897 წლის კავკასიის და 1934 წლის საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის რუსულენოვანი რუკებიდან. 1897 წლის რუკისგან განსხვავებით, 1934 წლის რუკაზე ტოპონიმებს უკვე აღარ აქვს რუსული სიმაგრის ნიშანი (იხ.). 1934 წლის რუკაზე ოზურგეთის სახელწოდება უკვე შეცვლილა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როდესაც რუსეთის ფედერაციამ გადაწყვიტა საქართველოს ორი რეგიონის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, დამოუკიდებლობის აღიარება, რუსეთის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ფედერალურმა სააგენტომ „ახალი სახელმწიფო“ რუკაზე საქართველოსგან განსხვავებული ფერით გამოყო, ხოლო „დედაქალაქების“ რუსულ

<sup>1</sup> Кarta Кавказа 1897 года. 100 верстовка. [http://www.etomesto.ru/map-kuban\\_1897/](http://www.etomesto.ru/map-kuban_1897/)

Почтовая карта Европейской части СССР 1934 года; [http://www.etomesto.ru/map-atlas\\_pochtovaya-karta-sssr-1934/](http://www.etomesto.ru/map-atlas_pochtovaya-karta-sssr-1934/)

Главное управление геодезии и картографии при СНК СССР, Карманный Атлас СССР, Ленинград, 1939 (Политико-Административное деление дано на 1 декабря 1938 г.) <http://minchanin.esmasoft.com/maps/ussr1939/>

Главное управление геодезии и картографии при совете министров СССР, Атлас СССР, Москва, 1955 (Политико-административное деление СССР дано на 20-ое октября 1954 года);

Главное управление геодезии и картографии МВД СССР, Атлас мира, Москва, 1988.

სახელწოდებებად განსაზღვრა სუხუმი (თუმცა აფხაზურად სოხუმს აჩხა [აყია] ეწოდება) და ცხინვალ, ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე, როგორც მოიხსენიებდნენ ამ ქალაქებს „ახალ რესპუბლიკებში“.<sup>1</sup> ქართული ენის სახელობითი ბრუნვის ნიშნები სხვა გეოგრაფიულ ობიექტებსაც ჩამოშორდა. ზოგ შემთხვევაში გამოიყენება ქართული სახელწოდებისგან განსხვავებული დასახელება: **ახალგორი - Ленингор, ყორნისი - Знаур.**<sup>2</sup>

ამჯერად არ ვმსჯელობთ იმ გეოგრაფიული სახელების აფხაზურ და ოსურ დასახელებებზე, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ქართული დასახელებისგან მხოლოდ ბრუნვის ნიშნით არ განსხვავდება. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც კონფლიქტის მხარეები კონკრეტული ტოპონიმის სახელზე ვერ თანხმდებიან. თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსეთმა რუსულ ენაში ოკუპირებული ტერიტორიების ტოპონიმებში ქართულ სახელობითი ბრუნვის ნიშანზე იერიშის მიტანით ერთი შეხედვით არასადაცვო სახელები დავის საგნად აქცია და ამით ოკუპაციის გამყარება სცადა.

შეიძლება ითქვას, რომ უცხოურენოვანდოკუმენტებში, რუკებსა და საინფორმაციო გამოცემებში ოკუპირებულ ტერიტორიების გეოგრაფიულ სახელთა დაწერილობაში ჩანს დამოკიდებულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი. საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა გაერო, ევროკავშირი, ეუთო, ტოპონიმების ქართულ სახელწოდებებს იყენებენ ბრუნვის ნიშნიანად. ზოგიერთი რუსეთისგან დამოუკიდებელი საინფორმაციო გამოცემა, აფხაზი და ოსი ჟურნალისტების ნაწერების დამოწმებისას მათ მიერ გამოყენებულ ტოპონიმებს არ ცვლიან, თუმცა იქვე უთითებენ, რომ ეს ტექსტები შეიცავს იმ ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომლებიც ამ ტერიტორიებზე გამოიყენება, და არ ასახავს რედაქციის პოზიციას.

უფრო საინტერესოა ონლაინრუკების პლატფორმები, რომლებიც არა მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ კომპანია რომელ ქვეყანაშია დაარსებული, არამედ იმაზეც, თუ მომხმარებელი რომელი ქვეყნიდან იყენებს ამ ვებგვერდს. ამ მხრივ ცნობილი შემთხვევაა რუსული კომპანიის, იანდექსის, ონლაინრუკების პლატფორმა, რომელზეც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში არ შედის, თუკი მომხმარებელს არაქართული იპ (ინტერნეტ-პროტოკოლის) მისამართით აქვს წვდომა ვებგვერდზე. იანდექსის რუკებზე საქართველოდან შესვლის შემთხვევაში მომხმარებელი ქალაქების ქართულ და ქართულის შესაბამის რუსულ დასახელებებსაც დაინახავს სახელობითი ბრუნვის ნიშნებიანად, თუმცა მიახლოებისას უფრო პატარა დასახლებებიც ჩნდება, რომელსაც მხოლოდ აფხაზურ-რუსული ან ოსურ-რუსული დასახელებები აქვს: **აფხაზეთი - Гулрыпш-Гэылрыпш, Чигрпш-Чагрыпш, სამხრეთი ოსეთი - Зар-Зар, Белот-Белот.**

საინტერესოა გუგლის რუკების შემთხვევაც. გუგლი ამერიკული კომპანიაა, რომლის რუკები ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ონლაინრუკების ვებგვერდია. თუმცა გუგლს ხშირად უწევს ადგილობრივი კანონების გათვალისწინება და სადაცო ტერიტორიების შემთხვევაში სხვადასხვა ქვეყნიდან შესულ მომხმარებლებს შეიძლება სხვადასხვა საზღვრები უჩვენოს. საგულისხმოა, რომ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთის რეგიონებს გუგლი წყვეტილი ხაზით (ტერიტორიის სადაცვობის აღსანიშნად) საქართველოს საზღვრების შიგნით ათავსებს რუსული იპ მისამართით შესული მომხმარებლებისთვისაც.

გუგლის ინგლისურენოვან რუკებზე ოკუპირებული ტერიტორიების ტოპონიმები ქართული დასახელებების ტრანსლიტერაციით არის მოცემული. მეტიც, სოხუმიც კი, რომელიც ბევრგან

<sup>1</sup> ინტერფაქსის 2008 წლის 13 ნოემბრის სტატია, <https://www.interfax.ru/russia/45294>

<sup>2</sup> Республика Южная Осетия, Управление Государственной Статистики, Итоги Всеобщей Переписи Населения Республики Южная Осетия 2015 Года, <http://ugosstat.ru/wp-content/uploads/2017/06/Itogi-perepisi-RYUO.pdf>

გვხვდება, როგორც **Sukumi**, გუგლის რუკებზე ქართული ენიდან არის ტრანსლიტერირებული და მოცემულია, როგორც **Sokhumi**. თუმცა ენის რუსულზე გადართვის შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიების ბევრ დასახლებულ პუნქტზე ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშნები აქაც ქრება და **სოხუმსა და ცხინვალს ცხუმ და ცხინვალი**.

კიდევ ერთი საინტერესო ონლაინრუკების პლატფორმაა „ქუჩების ღია რუკები“ (OpenStreetMap), რომელიც ბრიტანეთშია დაფუძნებული და მომხმარებლებს შეუძლიათ თავად შეიტანონ ინფორმაცია და დაარედაქტირონ რუკა. ამ რუკებზე ტოპონიმები ადგილობრივ ენებზეა მოცემული. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი მხოლოდ წყვეტილი ხაზით არის გამოყოფილი და საქართველოს საზღვრებში მოქცეული, ტოპონიმები აფხაზეთში აფხაზურ-რუსულად, ხოლო სამხრეთ ოსეთში ოსურადაა მოცემული: **აფხაზეთი - Tkharjal-Tkuarjal, Akaa-ცხუმ, Aphon ჭყაფ- ხოვათი აფონ, სამხრეთი ოსეთი - ცხინვალ, ზაუყ, ძაუ, ძმენის, კეუის, აუნეი.**

სტატიაში თავმოყრილი ფაქტები აჩვენებს, რა სახის პრობლემებს ქმნის თანხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშნის არასწორად გამოყენება საკუთარ (პირთა და გეოგრაფიულ) სახელებთან მოქალაქის პასპორტში, მასზე დაფუძნებულ ოფიციალურ დოკუმენტებსა და რუკებში როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო მასშტაბით. ამით კიდევ ერთხელ ვაჩვენებთ დე იურე ნორმის დე ფაქტო ნორმად ქცევის აუცილებლობას ენობრივი პრაქტიკის ყველა სფეროში.

**მარიკა ოძელი, კახა გაბუნია, ნანა შავთვალაძე, მაია მანჯგალაძე, ნინო შარაშენიძე**

## **ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღნიშვნები**

(მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე, ოქმი №7  
დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს.)

„ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღნიშვნები“ მოიცავს იმ კრიტერიუმთა ერთობლიობას, რომლითაც განისაზღვრება ქართული ენის ფლობა მოსმენის, კითხვის, მეტყველებისა და წერის შესაბამისი დონის მიხედვით. დოკუმენტი შესრულებულია ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ექვსდონიანი სისტემის A1, A2, B1, B2, C1, C2 საფუძველზე. დოკუმენტის მიზანია ერთიანი უნიფიცირებული სისტემის დანერგვა. „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღნიშვნები“ სავალდებულოა ქართული ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა შემთხვევაში.

### **A1 დონე**

#### **მოსმენა**

შემსწავლელს შეუძლია ქართული მეტყველებიდან საერთაშორისო სიტყვების (მაგ., ოფისი, ინტერნეტი...) გაგება.

შემსწავლელს შეუძლია გარკვევით და ნელა წარმოთქმული მარტივი ტექსტიდან ნაცნობი სიტყვებისა და მარტივი ფრაზების გაგება.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ყოველდღიურ მეტყველებაში ხშირად გამოყენებული გარკვევით ნათქვამი მარტივი ლექსიკური ერთეულები (მაგ., დიას, არა, გამარჯობა, ნახვამდის, ბოდიში, გმადლობა...).

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ნელა, გარკვევით და შიგადაშიგ პაუზებით წარმოთქმული მარტივი ტექსტი.

შემსწავლელს შეუძლია პიროვნების წარდგენისა თუ გაცნობის დროს ისეთი ინფორმაციის გაგება, როგორიცაა ადამიანის ვინაობა, ასაკი, ეროვნება, სადაურობა.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ზოგიერთი სიტყვა და გამოთქმა ნელი და მკაფიო საუბრიდან, თუ მისთვის ნაცნობი თემატიკა (მაგ., ოჯახი, საქმიანობა).

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ქართულენოვანი მოსაუბრის მიერ მასზე, მის ოჯახსა თუ საქმიანობაზე ნელა და გარკვევით ნათქვამი მარტივი წინადადება.

შემსწავლელს შეუძლია იმ მარტივი შეკითხვების გაგება, რომლებსაც პირადად მას უსვამენ.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ყოფითი ლექსიკა, თუ თანამოსაუბრე ცდილობს, რომ გარკვევით და ნელა ელაპარაკოს.

შემსწავლელს შეუძლია დროის, ფასების, ძირითადი ფერების გაგება ყოველდღიურ სიტუაციებში (მაგ., მაღაზიაში, სადგურზე, აეროპორტში...).

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ნელა და მკაფიოდ წარმოთქმული მარტივი ინსტრუქციები, შეუძლია მიჰყენ მისთვის ნათქვამ მოკლე მითითებებს.

#### **კითხვა**

შემსწავლელს შეუძლია ტექსტში ცალკეული სიტყვების გაგება.

შემსწავლელს შეუძლია საერთაშორისო სიტყვების შემცველი ძალიან მარტივი ტექსტის გაგება.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ბლანკი / სარეგისტრაციო ფორმა / კითხვარი, რომელიც ითხოვს ინფორმაციას მის შესახებ (მაგ., სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, ოჯახური მდგომარეობა...).

შემსწავლელს შეუძლია აპრეზზე დაწერილი მიმანიშნებელი ინფორმაციის გაგება (მაგ.,

სადგური, პარკი, შესასვლელი, გასასვლელი, შესვენება, ღიაა, დაკეტილია...).

შემსწავლელს შეუძლია მარტივი ტექსტის მთავარი არსის გაგება განსაკუთრებით მაშინ, თუ მას დართული აქვს ილუსტრაციები.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს აფიშებზე, პოსტერებსა და აბრებზე დაწერილი ზოგიერთი ინფორმაცია და გაიგოს მათი ზოგადი შინაარსი.

შემსწავლელს შეუძლია მოკლე, მარტივი შეტყობინების (მაგ., შეხვედრის დრო, ადგილი) გაგება.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს მარტივი მოსაწვევი ბარათი და გაიგოს, თუ რისთვის, სად, როდის და რომელ საათზე იწვევენ (მაგ., დაბადების დღეზე, გამოფენაზე).

შემსწავლელს შეუძლია მისთვის საჭირო ლონისძიების შესახებ ძირითადი ინფორმაციის მოძიება პროგრამებში, პოსტერებზე, ინტერნეტში... და გაგება (მაგ., რა ლირს ბილეთი, სად და როდის ტარდება ლონისძიება და მისთ.).

შემსწავლელს შეუძლია ძალიან მოკლე მარტივი ტექსტის გაგება ნაცნობი სიტყვებისა და ძირითადი ფრაზების საშუალებით, თუ მას, საჭიროების შემთხვევაში, ექნება ტექსტის ხელახლა გადაკითხვის შესაძლებლობა.

## მეტყველება

შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით მისალმება, დამშვიდობება, თანხმობის, უარყოფის, თხოვნის, მობოდიშებისა თუ მადლიერების გამოხატვა (მაგ., გამარჯობა, ნახვამდის, დიახ, არა, ბოდიში, გთხოვთ, გმადლობთ...).

შემსწავლელს შეუძლია დაასახელოს მარტივი ციფრები.

შემსწავლელს შეუძლია მარტივად საუბარი თავის თავზე, თავისი ოჯახის შესახებ (მაგ., ვინ არიან მისი ოჯახის წევრები, მათი გარეგნობის მარტივად აღწერა...)

შემსწავლელს შეუძლია ახლობელი ადამიანების / საკუთარი საცხოვრებელი ადგილის, ასევე, საკუთარი საქმიანობის შესახებ მარტივად საუბარი.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი ენით ახსნას ნაცნობი ობიექტის ადგილმდებარეობა, მასთან მისასვლელი გზა და საშუალება.

შემსწავლელს შეუძლია შეიძინოს / შეუკვეთოს პროდუქტები, ნივთები (მაგ., საჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი, ბილეთი...)

შემსწავლელს შეუძლია პასუხის გაცემა მარტივ შეკითხვებზე მარტივი სიტყვებით, გამოთქმებითა და სტანდარტული წინადადებებით.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი შეკითხვების დასმა (მაგ., რა არის, ვინ არის ეს /ის?).

შემსწავლელს შეუძლია თავის წარდგენა, სხვისთვის შეკითხვის დასმა ვინაობასა და ასაკთან დაკავშირებით (მაგ., შეუძლია ჰქითხოს თანამოსაუბრეს, თუ ვინ არის და რა ჰქვია მას, რამდენი წლისაა?..).

შემსწავლელს შეუძლია ლაპარაკი თავისი დაბადების თარიღისა თუ ადგილის შესახებ და სხვისთვის კითხვის დასმა ანალოგიური ინფორმაციის მისაღებად.

შემსწავლელს შეუძლია თქვას, რა ფერისაა მისი ტანსაცმელი, ესა თუ ის ნივთი, ასევე, შეკითხვა დასვას ამა თუ იმ საგნის ფერის გასაგებად.

შემსწავლელს შეუძლია თქვას ასაკი, დრო და თარიღი (რიცხვი, დღე, თვე, წელი, სეზონი...) და დასვას შეკითხვები ამ თემებთან დაკავშირებით.

შემსწავლელს შეუძლია ძალიან მარტივ დიალოგში მონაწილეობა, თუ მოსაუბრე ელაპარაკება ნელა, გარკვევით; საჭიროებისამებრ უმეორებს ნათქვამს და ეხმარება პასუხის ფორმულირებაში.

## ნერა

შემსწავლელს შეუძლია ლექსიკონის, სახელმძღვანელოს, სავარჯიშო რვეულის დახმარებით რამდენიმე სიტყვისგან შემდგარი მარტივი წინადადების დაწერა.

შემსწავლელს შეუძლია ფოტოებზე / ნახატებზე ალბეჭდილი საგნის აღმნიშვნელი ძალიან მარტივი სიტყვების დაწერა (მაგ., ადამიანები, ცხოველები, ნივთები...).

შემსწავლელს შეუძლია ბლანკის, სასტუმროს სარეგისტრაციო ფორმის და მისთ. შევსება

(სახელის, გვარის, ასაკის, ეროვნების, მისამართის... ჩაწერა).

შემსწავლელს შეუძლია მარტივად დაწეროს / უპასუხოს შეკითხვებს / თავად დასვას შეკითხვები ვინაობის, პროფესიის, საქმიანობის, საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია მარტივად აღწეროს საყოფაცხოვრებო ნივთები (მაგ., მანქანის ფერი, ზომა...), ნაცნობი სივრცე.

შემსწავლელს შეუძლია ძალიან მარტივი, მოკლე წინადადებებით დაწეროს ყოველდღიური ცხოვრების (მაგ., საქმიანობა, ოჯახი, ჰობი, ნაცნობები, დღის რეჟიმი...) შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია ძალიან მოკლე ტექსტის (მაგ., მისალოცი ბარათები, მარტივი სტანდარტული წერილები...) დაწერა მარტივი, ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირებული წინადადებებით.

შემსწავლელს შეუძლია სამუშაო გეგმებისა და ვადების შესახებ მარტივი ჩანაწერების გაკეთება პირადი მიზნებისათვის.

შემსწავლელს შეუძლია მეგობრებს მისწეროს მოკლე, მარტივი შეტყობინება, რომელიც შეიცავს შეკითხვას ან ინფორმაციას.

## A2 დოცე

### მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია ნელა და ძალიან გარკვევით ნათქვამ ტექსტში ხშირად ხმარებული სიტყვების, ცალკეული ფრაზებისა და მოკლე წინადადებების გაგება (მაგ., გამყიდველისა და მყიდველის დიალოგი...).

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ტექსტი, რომელიც მისთვის ნაცნობ თემებს (მაგ., ოჯახი, სწავლა, სამუშაო, თავისუფალი დრო...) ეხება.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე, მარტივი შეტყობინებების/განცხადებების დედააზრი, თუ ტექსტი ნელა და გარკვევით არის ნათქვამი და მისთვის ნაცნობ თემებს ეხება.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს საუბარი, რომელიც ეხება რაიმე ნივთის მახასიათებლებს (მაგ., ფერს, ზომას, წონას, მოცულობას).

შემსწავლელს შეუძლია მარტივი მითითების გაგება იმის შესახებ, თუ როგორ მივიდეს (ფეხით თუ ტრანსპორტით) მისთვის სასურველ ადგილამდე.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე ტექსტის ძირითადი ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მას აინტერესებს.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ძირითადი ინფორმაცია სპორტული ანგარიშის, რეკლამის, ამინდის პროგნოზის შესახებ, თუ საუბრობენ ნელა და გარკვევით.

შემსწავლელს შეუძლია მიხვდეს, თუ რას ეხება შემთხვევით გაგონილი საუბარი (მაღაზიაში/ტრანსპორტში/ ბანკში).

შემსწავლელს შეუძლია ამოიცნოს მოსაუბრების განწყობა (როგორ ხასიათზე არიან, როგორ გრძნობენ თავს - კარგად, ცუდად, მხნედ...).

შემსწავლელს შეუძლია ნელი და მკაფიო აუდიოჩანაწერებიდან იმ ძირითადი ინფორმაციის ამოკრება და გაგება, რომელიც ყოველდღიურ ამბებს ეხება.

### კითხვა

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე, მარტივი ტექსტისა თუ შეტყობინების ძირითადი არსი.

შემსწავლელს შეუძლია ცალკეული ფრაზებისა და ხშირად გამოყენებული სიტყვების გაგება, თუ ტექსტი მისთვის ნაცნობ/საინტერესო თემას ეხება.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი ტექსტის სტრუქტურული კომპონენტების გამოყოფა (სათაური, წინადადება, აბზაცი...).

შემსწავლელს შეუძლია მისთვის საჭირო ადვილად მისახვედრი ინფორმაციის მოძიება განრიგში, ცხრილში, მენიუში, რეკლამაში, განცხადებაში, წიგნის სარჩევში, საძიებელსა თუ

ცნობარში და მისი ძირითადი არსის გაგება.

შემსწავლელს შეუძლია წარწერების, აპრებისა და მინიშნებების (დირექტივები, ინსტრუქციები, გაფრთხილებები) გაგება (მაგ., ქუჩაში, პარკში, რესტორანში, რკინიგზის სადგურში, აეროპორტში, მეტროში, კინოთეატრში...).

შემსწავლელს შეუძლია ამა თუ იმ ღონისძიების შესახებ ძირითადი ინფორმაციის გაგება (მაგ., ღონისძიების მოსაწვევი, კინოთეატრის აფიშები, კონცერტების/ფესტივალების პროგრამა და განრიგი...).

შემსწავლელს შეუძლია ყოველდღიური მოხმარების საგნების ინსტრუქციების ძირითადი მითითებების გაგება, თუ ისინი შეიცავს მოკლე წინადადებებსა და ილუსტრაციებს (მაგ., უსაფრთხოების ინსტრუქციები მატარებელში, თვითმფრინავში...).

შემსწავლელს შეუძლია ნაცნობ თემაზე დაწერილი მარტივი სტანდარტული წერილების გაგება (მაგ., მოთხოვნა, დაკვეთა, დადასტურება...).

შემსწავლელს შეუძლია მისთვის საინტერესო ან საყოფაცხოვრებო თემებზე თხრობითი ხასიათის მცირე ზომის, მარტივი მხატვრული ტექსტის ძირითადი შინაარსის გაგება, თუ ტექსტს მკაფიო და ლოგიკური სტრუქტურა აქვს.

შემსწავლელს შეუძლია კონკრეტული ინფორმაციის გამოყოფა მიმდინარე მოვლენების ამსახველ მარტივ ტექსტებში.

## მეტყველება

შემსწავლელს შეუძლია მოკლედ ისაუბროს საკუთარ თავზე (მაგ., ვინაობა, მისამართი, ტელეფონის ნომერი, საიდან არის, სად მუშაობს...), საკუთარ ოჯახზე (მაგ., ვინ არიან მისი ოჯახის წევრები, რა ასაკისა და პროფესიის არიან ისინი და ა. შ.).

შემსწავლელს შეუძლია თქვას, რა არის მისი ჰობი (მაგ., სიმღერა, ცეკვა, ხატვა, ცურვა, ფეხბურთი...), ისაუბროს რომელიმე მუსიკალური ჯგუფის, სამხატვრო სტუდიის, სპორტული გუნდის... შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია თქვას და მარტივად დაასაბუთოს, რა უყვარს / მოსწონს ან არ უყვარს / არ მოსწონს; ასევე, გადმოსცეს, თუ სად (მაგ., სოფელში, ქალაქში, ზღვაზე, მთაში...) ურჩევნია ყოფნა.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით გადმოსცეს საკუთარი ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობა, მოკლედ და მარტივად ილაპარაკოს რაიმე მოვლენის, ფაქტის (მაგ., წვეულების, ექსკურსის, გაკვეთილის...). შესახებ ამ მოვლენებისა და ფაქტების თანამიმდევრობის დაცვით და მარტივად გამოხატოს მასთან დაკავშირებული ემოციები.

შემსწავლელს შეუძლია მოკლედ ილაპარაკოს თავისი გეგმებისა (რას აპირებს კვირის ბოლოს / არღადეგებზე...) და იმის შესახებ, თუ როგორ აღნიშნავენ დღესასწაულებს მის ქვეყანაში.

შემსწავლელს შეუძლია მიპატივებაზე დათანხმება / უარის თქმა. მას ასევე შეუძლია მობოდიშება, მობოდიშებაზე სტანდარტული პასუხი და თავაზიანი თხოვნა გაუგებარი სიტყვის / წინადადების გამეორებაზე.

შემსწავლელს შეუძლია ყოველდღიურ პრაქტიკულ საკითხებზე მარტივად საუბარი, როდესაც უშუალოდ მას მიმართავენ და ესაუბრებიან ნელა და მკაფიოდ.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი შეკითხვების დასმა თავაზიანი ფორმების გამოყენებით.

შემსწავლელს შეუძლია სხვებს მოუთხროს თავისი საქმიანობის შესახებ, დასვას შეკითხვა თანამისაუბრის საქმიანობასთან დაკავშირებით და უპასუხოს მისთვის დასმულ ანალოგიურ შეკითხვებს.

შემსწავლელს შეუძლია მოითხოვოს მომსახურება (მაგ., მაღაზიაში, ბანკში...), მიიღოს და გასცეს მარტივი ინფორმაცია (ყიდვა-გაყიდვის, მგზავრობის... შესახებ).

შემსწავლელს შეუძლია მოკლე სატელეფონო საუბრის წარმართვა (მაგ., შეხვედრის ადგილის დანიშვნა...).

შემსწავლელს შეუძლია ითხოვოს დახმარება (მაგ., მარშრუტის ჩვენება გეგმაზე ან რუკაზე...) და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს, როცა მას სთხოვენ დახმარებას.

შემსწავლელს შეუძლია ჩაერთოს ნაცნობი თემატიკის განხილვის პროცესში (შესაძლოა,

ინტერვიუს ფორმით), თუ საჭიროების დროს განუმარტავენ გარკვეულ სიტყვებს / გამოთქმებს / ფრაზებს... ან ეხმარებიან თავისი სათქმელის ფორმულირებაში.

შემსწავლელს შეუძლია სტანდარტული ფრაზებით ჩანარი თავისი სათქმელის ფიციალურ მსჯელობაში, თუ საუბარი მის პროფესიულ საქმიანობას ეხება და მოსაუბრები მეტყველებენ მკაფიოდ და ნელა. მას ასევე შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა ამა თუ იმ საკითხზე, როდესაც უშუალოდ მას მიმართავენ და საჭიროებისამებრ იმეორებენ საკვანძო მომენტებს.

შემსწავლელს შეუძლია სხვადასხვა საკითხზე სტანდარტული რეპლიკებით შეკამათება და თავისი პოზიციის წარმოჩენა.

## ნერა

შემსწავლელს შეუძლია თავისი ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობის შესახებ მოკლე მარტივი ჩანაწერების გაკეთება / ანკეტის შევსება განათლების, ინტერესების, სპეციალური ცოდნის / უნარების შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია შეადგინოს სამუშაო გეგმა კვირის დღეებისა და თარიღების მითითებით. მას, ასევე, შეუძლია მარტივად ჩანეროს თავის გეგმაში, როდის რა ისწავლა და კიდევ რა აქვს სასწავლი.

შემსწავლელს შეუძლია მოკლე, მარტივი წინადადებებით მისთვის ნაცნობი საგნების, ადგილების... აღწერა.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით დაწეროს საკუთარი საქმიანობის (მაგ., სწავლის, სამსახურის, სპორტისა თუ თავისუფალი დროის...) შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი ფრაზებისა და წინადადებების დაწერა ხშირად გამოყენებული კავშირებით (მაგ., და, მაგრამ, იმიტომ, რომ).

შემსწავლელს შეუძლია ახლობელს მისტეროს მარტივი შინაარსის მოსაწვევი ბარათი და წერილობით უპასუხოს მოწვევას; მარტივი სიტყვებით დაეთანხმოს / არ დაეთანხმოს მოწვევას; მისწეროს, რომ არ / ვერ ახერხებს შესვედრაზე წასვლას / აგვიანდება / ავად არის / სხვა საქმით არის დაკავებული / გამოხატოს მადლიერება...

შემსწავლელს შეუძლია ნაცნობებსა და მეგობრებს წერილობით მისცეს საჭირო მარტივი ინფორმაცია / რჩევა (მაგ., ამა თუ იმ ნივთის ფასის შესახებ სხვადასხვა მაღაზიაში, რომელი სპორტული კლუბი / საცურაო აუზი / სილამაზის სალონი... ჯობს).

შემსწავლელს შეუძლია მოკლე წინადადებებით დაწეროს, თუ რა უყვარს/მოსწონს... არ უყვარს / არ მოსწონს.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი, ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული წინადადებებით აღწეროს რაიმე მოვლენა, როდის და რა ვითარებაში მოხდა იგი.

შემსწავლელს შეუძლია ნაცნობი თემების შესახებ მარტივი ტექსტების შედგენა, საკუთარი აზრის წერილობით ჩამოყალიბება, მარტივი ისტორიის მოყოლა (მაგ., ლამაზად გატარებული არდადეგების ან მომავალი მოგზაურობის, საქმიანობის შესახებ).

შემსწავლელს შეუძლია მარტივი განცხადების დაწერა, მისთვის საინტერესო / საჭირო განცხადებაზე რეაგირება, პირადი თუ ზოგადი ხასიათის, ყოველდღიურობასთან დაკავშირებული მოკლე წერილობითი ინფორმაციის შექმნა.

## B1 დონე

### მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს საუბარი, როდესაც ელაპარაკებიან ნელა და გარკვევით ყოველდღიურობაზე, თუმცა, ზოგ შემთხვევაში მან შეიძლება სთხოვოს მოსაუბრეს, რომ გაუმეოროს ან განუმარტოს ესა თუ ის სიტყვა, ფრაზა, წინადადება.

შემსწავლელს შეუძლია იმ მარტივი საინფორმაციო შეტყობინებების გაგება, რომლებიც ეხება მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყოველდღიურ საკითხებს; ამასთანავე, შეუძლია გამოყოს მათში ძირითადი აზრი და კონკრეტული დეტალები იმ შემთხვევაში, თუ მეტყველება არის მკაფიო

ან მისთვის უკვე ნაცნობი.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ისეთი დისკუსიის ძირითადი შინაარსი, რომელიც ეხება ყოველდღიურ ცხოვრებას ან/და მისთვის ნაცნობ თემებს იმ შემთხვევაში, თუ ეს დისკუსია არ მიმდინარეობს სწრაფად და არასალიტერატურო ენით.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს დეტალური მითითებები (მაგ., ფიტნესინსტრუქტორის), რჩევები (მაგ., რომელი საინტერესო ადგილები მოინახულოს უცხო ქვეყანაში მოგზაურობისას), რეცეპტები (მაგ., საჭმლის მომზადების).

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მისთვის საინტერესო სატელევიზიო და რადიოგადაცემების (მაგ., ინტერვიუები, ახალი ამბები, ბუნების დაცვა, ცხოველთა სამყარო, სპორტული მიმოხილვა, კინოვარსკვლავები, რეკლამები...) მთავარი არსი და მნიშვნელოვანი დეტალები, თუ ტექსტი გადმოიცემა სალიტერატურო ენით, ნელა და გარკვევით.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მარტივი პრეზენტაციებისა და მოხსენებების შინაარსი, თუ ისინი მისთვის ნაცნობ თემებს ეხება.

შემსწავლელს შეუძლია თავის პროფესიულ თემატიკასთან დაკავშირებული მარტივი და მკაფიო სტრუქტურის მქონე ლექციის / მოხსენების გაგება, თუ საუბრის საგანი მისთვის ნაცნობია.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მარტივი ტექნიკური ინსტრუქციები (მაგ., როგორ გამოიყენება ესა თუ ის ხელსაწყო).

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მარტივი ინფორმაციის დეტალები (მაგ., როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრში...).

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ქართულენოვანი მოსაუბრების დიალოგი, თუ ისინი ლაპარაკობენ გარკვევით და მკაფიოდ.

## კითხვა

შემსწავლელს შეუძლია სრულყოფილად გაიგოს ისეთი მარტივი ტექსტი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ მასალას მისთვის საინტერესო თემაზე.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს აქტუალურ თემებზე დაწერილი სტატიები (მაგ., ბუნების დაცვა, კულტურული ქრონიკა, მშენებლობა...), ინტერვიუები.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს განცხადებების შინაარსი იმ შემთხვევაში, თუ არ ხვდება რთული აბრევიატურები.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს პირადი წერილები, რომლებიც ეხება სხვადასხვა ურთიერთობას, გრძნობებსა და ემოციებს.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს საკვების შეფუთვაზე დაწერილი ინფორმაცია (მაგ., საკვების შემადგენლობა, მომზადების წესი...).

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს სხვადასხვა სახის მოკლე ინსტრუქცია (მაგ., ელექტრონელსაწყოების, ტელეფონის, ბანკომატის...), მარტივი ენით დაწერილი უსაფრთხოების წესები, რომლებიც განთავსებულია საზოგადოებრივ ტრანსპორტსა თუ ელექტრომოწყობილობებზე.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს წამლების ინსტრუქცია და გაიგოს მისთვის საჭირო ძირითადი მითითებები.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე ტექსტები მისთვის ნაცნობ თემებზე, რომლებშიც გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები (მაგ., მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებული პოლემიკა).

შემსწავლელს შეუძლია ვრცელ ტექსტებში თვალის გადავლებით იპოვოს საჭირო ინფორმაცია / შეკრიბოს ინფორმაცია ტექსტის სხვადასხვა ნაწილიდან ან სხვადასხვა ტექსტიდან.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს განსახილველი საკითხების მთავარი არსი, თუმცა, შესაძლოა, ყოველთვის ვერ ჩასწოდეს დეტალებს.

## მეტყველება

შემსწავლელს შეუძლია მოუმზადებლად ჩაერთოს ისეთ საუბარში, რომელიც ყოველდღიურობას, საყოფაცხოვრებო თემებსა და მისი პირადი ინტერესის სფეროს ეხება (მაგ., მიმდინარე პროცესები, საყიდლების ღირებულება, გაიაფება, გაძვირება, ფასდაკლება, ნივთების მოხმარების წესები, საყვარელი მუსიკალური ჯგუფები / მსახიობები / ფილმები / წიგნები...) და

გამოთქვას საკუთარი აზრი.

შემსწავლელს შეუძლია არა მარტო მოყვეს რამე ამბავს, ფილმისა თუ წიგნის შინაარსს, არამედ მასთან დაკავშირებით გადმოსცეს საკუთარი მოსაზრებები. მას ასევე შეუძლია ისაუბროს ამა თუ იმ მოვლენის, შთაბეჭდილების, დაინტერესების / დაუინტერესებლობის, ემოციის (გაკვირვება, სიხარული, სევდა და მისთ.) შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია თანამიმდევრულად და მნიშვნელოვანი ნიუანსების გათვალისწინებით გადმოსცეს ისეთი მოვლენა თუ ფაქტი (მაგ., დაჯილდოების ცერემონია, საგზაო შემთხვევა...), რომელსაც თვითონ შეესწრო.

შემსწავლელს შეუძლია ახლობლებთან მარტივი სატელეფონო საუბრის (მაგ., საერთო ინტერესების, პირადი ცხოვრების შესახებ) წარმართვა.

შემსწავლელს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობა და საკუთარი აზრის, შთაბეჭდილებისა თუ განცდების მოკლედ გადმოცემა, ახსნა, დასაბუთება. მას ასევე შეუძლია თითქმის სპონტანურად დაუსვას მოსაუბრეს შეკითხვები.

შემსწავლელს შეუძლია დიდი რაოდენობით ფაქტობრივი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა ისეთ ნაცნობ და შედარებით იშვიათ თემებზე, რომლებიც მისი საქმიანობის სფეროს ეხება.

შემსწავლელს შეუძლია მოკლე მოთხოვობის, სტატიის, დისკუსიის, ინტერვიუს ან დოკუმენტური ფილმის რეზიუმირება, მათ შესახებ საკუთარი მოსაზრების გადმოცემა და დასმულ შეკითხვებზე დეტალური პასუხების გაცემა.

შემსწავლელს შეუძლია ნაცნობ თემებზე წინასწარ მომზადებული მოხსენებისა თუ პრეზენტაციის იმდენად კარგად წარმართვა, რომ მისი აზრის გაეხდა სრულიად თავისუფლად იყოს შესაძლებელი; თუმცა, თუ შემსწავლელის საჯარო გამოსვლა წინასწარ არაა მომზადებული, შეიძლება რამდენადმე გაუგებარი დარჩეს მისი ნათქვამის არსი / აზრის სიზუსტე.

შემსწავლელს შეუძლია სხვისი ნათქვამის გაეხდა, მაგრამ, თუ მოსაუბრე ლაპარაკობს სწრაფად და ხანგრძლივად, სჭირდება, რომ გაამეორებინოს ან ხელახლა აახსნევინოს ნათქვამი. მას შეუძლია მოსაუბრეთა თვალსაზრისებზე კომენტარების გაკეთება.

შემსწავლელს შეუძლია ეტიკეტის გათვალისწინებით გამოთქვას თავისი თვალსაზრისი, დამოკიდებულება, რწმენა, გამოხატოს თანხმობა ან არ დაეთანხმოს მოსაუბრეს... მას ასევე შეუძლია გამოთქვას პრეტენზია (მაგ., მაღაზიაში რაიმე ნივთის წუნის აღმოჩენის შემთხვევაში...).

შემსწავლელს შეუძლია თანამოსაუბრეს მისცეს დეტალური მითითებები და რჩევები (მაგ., ტანსაცმლის, ტექნიკის და მისთ. საყიდლად, შესარჩევად; საჭმლის მოსამზადებლად; შინაური ცხოველის მოვლისთვის; თავისუფალი დროის სასიამოვნოდ გასატარებლად ამა თუ იმ ქვეყანაში...).

შემსწავლელს შეუძლია მოკლე ინტერვიუს ჩამორთმევა, თუ კითხვები წინასწარ აქვს მომზადებული; მას ასევე შეუძლია დამატებითი შეკითხვების დასმა ხანგრძლივი დაფიქრების გარეშე. შემსწავლელს აქვს უნარი, ინტერვიუს მიმდინარეობისას აიღოს ინიციატივა (მაგ., ახალი თემის დაწყება), თუმცა დამოკიდებულია ინტერვიუერზე.

შემსწავლელი საკმაოდ კარგად იყენებს სტანდარტულ კონსტრუქციებს საუბრისას, რომელიც ეხება მის პროფესიულ საქმიანობას. მას ასევე შეუძლია მრავალფეროვანი მარტივი ენობრივი საშუალებებით სხვადასხვა სიტუაციის დაძლევა.

შემსწავლელს შეუძლია კონკრეტული, მაგრამ ზოგჯერ არაზუსტი, ინფორმაციის გაცემა (მაგ., ექიმისთვის ავადმყოფობის სიმპტომების აღწერა...).

შემსწავლელი ნაცნობ სიტუაციებში აზრს აყალიბებს საკმაოდ ზუსტად, თუმცა ემჩნევა მშობლიური ენის გავლენა. იგი ზოგჯერ უშვებს შეცდომებს, მაგრამ მისი საუბრის ზოგადი აზრი სავსებით ნათელია.

## ნერა

შემსწავლელს შეუძლია მოსმენის დროს ჩაინიშნოს, ჩაინეროს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

შემსწავლელს შეუძლია წერილობითი ფორმით აზრის თანამიმდევრულად ჩამოყალიბება მისთვის საინტერესო ან/და ნაცნობ თემებზე (მაგ., საინტერესო ადგილების, პროფესიული გამოცდილებისა და საქმიანი შეხვედრის შესახებ).

შემსწავლელს შეუძლია ფორმითა და შინაარსით სტანდარტული, ძალიან მოკლე, ინფორმაციული ხასიათის თემის წერა ყოველდღიურობასა და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

შემსწავლელს შეუძლია შეკრებილი ფაქტობრივი ინფორმაციის შეჯამება და საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება იმ შემთხვევაშიც კი, თუ თემა არ ეხება ყოველდღიურ საკითხებს.

შემსწავლელს შეუძლია პირადი წერილის დაწერა მნიშვნელოვანი მოვლენის ან საკუთარი ემოციების (მაგ., მოგზაურობის შთაბეჭდილება, საინფორმაციო ხასიათის ახალი ამბები, მეგობრებთან ურთიერთობა...) შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი ენობრივი საშუალებებით თანამიმდევრული ტექსტის (ამბავი / მოვლენა / გამოცდილება) ჩამოყალიბება.

შემსწავლელს შეუძლია წერილობითი რეაგირება მისთვის საინტერესო განცხადებაზე (მაგ., სასწავლო კურსები, არდადეგები, ბილეთის, სასტუმროს დაჯავშნა...).

შემსწავლელს შეუძლია გარკვევით აღწეროს მისთვის საინტერესო მოვლენები ან საგნები (მაგ., უნივერსიტეტის დამთავრება, მუშაობის დაწყება, თანამედროვე მოდა, სპორტის რომელიმე სახეობა, თავისი ან სხვისი ბინა / სახლი / აგარავი...).

შემსწავლელს შეუძლია წარმოაჩინოს საგნების, მოვლენების დადებითი და უარყოფითი მხარეები და დაასაბუთოს საკუთარი აზრი მარტივი ენობრივი საშუალებებით.

შემსწავლელს შეუძლია მისთვის ნაცნობი ან საინტერესო საკითხების დაწვრილებით აღწერა მარტივი ენით, საჭირო ინფორმაციის წერილობით მოთხოვნა და ასევე ამ მიზნით კითხვარის შედგენა / შეკითხვების მომზადება.

შემსწავლელს შეუძლია ავტობიოგრაფიის დაწერა.

## B2 დონი

### მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით წარმართული სასაუბრო მეტყველების (ცოცხალი თუ ჩანაწერი) გაგება ნაცნობ თუ უცნობ თემებზე, პირად, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროებში ურთიერთობისას. მხოლოდ ძლიერ ფონურ ხმაურს / არასწორად აგებულ დისკურსს / რთულ იდიომატურ გამოთქმათა გამოყენებას შეუძლია იქონიოს გავლენა ნათქვამის გაგებაზე.

შემსწავლელს შეუძლია ძირითადად ყველაფერი გაიგოს აქტუალურ თემებზე სალიტერატურო ენით გადმოცემული სატელევიზიო რეპორტაჟებიდან, პირდაპირი ჩართვებიდან თუ ტოქშოუებიდან.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ხანგრძლივი საუბარი მისთვის ნაწილობრივ ნაცნობ თემებზე. მას ასევე შეუძლია გაიგოს ყველა ინფორმაცია და ახალი ამბავი მიმდინარე მოვლენებზე.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ჩვეულებრივი ტემპით წარმოთქმული განცხადება, რომელიც ეხება აბსტრაქტულ თუ კონკრეტულ თემებს.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ის მოხსენებები, რომლებიც ეხება თანამედროვე პრობლემებს და რომელთა ავტორებიც გამოთქვამენ ახალ მოსაზრებებს ან აქვთ განსხვავებული პოზიცია.

შემსწავლელს შეუძლია მიჰყვეს საკმად გრძელ გამოსვლას / მოხსენებას / კომპლექსურ არგუმენტირებას, თუ თემა ასე თუ ისე ნაცნობია და მოხსენების სტრუქტურა მკაფიოდაა გამოხატული.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ფილმების პერსონაჟების საუბარი, თუ ისინი სალიტერატურო ენით მეტყველებენ.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მისთვის საინტერესო საგნების (მაგ., კომპიუტერის, ტელეფონის, ავტომობილის...) ტექნიკური მახასიათებლებისა თუ ფუნქციების დაწვრილებითი განმარტება.

შემსწავლელს შეუძლია ამოიცნოს მოსაუბრის ტონი (საყვედურისა თუ მადლიერების...) და

განწყობა (კარგი, ამაღლებული, ცუდი...), ზოგ შემთხვევაში გაიგოს ენობრივი იუმორი.

შემსწავლელს შეუძლია გარკვეული ძალისახმევის შედეგად გაიგოს მისი თანდასწრებით მიმდინარე ქართულენოვანი მოსაუბრების მსჯელობის მნიშვნელოვანი ნაწილი; სირთულეს აწყდება მაშინ, თუ მათ საუბარში უნდა ჩაერთოს და ისინი კი თავიანთი მეტყველების სტილს არ ცვლიან.

## კითხვა

შემსწავლელს შეუძლია თავის მიზნებსა და ტექსტის სტილს მიუსადაგოს კითხვის სტრატეგია და სისწრაფე, სათანადოდ აირჩიოს და გამოიყენოს დამოწმებული წყაროები; ამ დონეზე იგი ფლობს ლექსიკის მრავალფეროვან მარაგს. მცირე შეფერხება შეიძლება გამოიწვიოს იშვიათად ხმარებულმა იდიომატურმა გამოთქმებმა.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს მისი საქმიანობის სფეროსა თუ ინტერესებთან დაკავშირებული ვრცელი კორესპონდენცია, ამოიცნოს ძირითადი აზრი და ზოგჯერ დეტალებიც.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ის სტატიები, რომლებიც ეხება თანამედროვე პრობლემებს და რომელთა ავტორებიც გამოთქვამენ ახალ მოსაზრებებს ან აქვთ განსხვავებული პოზიცია.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს აქტუალურ თემებზე დაწერილი სტატიები, სხვადასხვა ტიპის ტექსტები და გაიზიაროს / არ გაიზიაროს ავტორის პოზიცია.

შემსწავლელს შეუძლია სწრაფად გაერკვეს პროფესიული ხასიათის ფართო სპექტრის სტატიის შინაარსსა და აქტუალურობაში.

შემსწავლელს შეუძლია თვალი გადაავლოს დიდი მოცულობის რთულ ტექსტს და გამოყოს მნიშვნელოვანი დეტალები.

შემსწავლელს შეუძლია კომპლექსური და გრძელი ტექსტების სწრაფად გადაკითხვა მისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების მიზნით.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და დეტალურად გაიგოს სხვადასხვა ხასიათისა და ტიპის ვრცელი ტექსტი (მაგ., სახელმძღვანელო, რომანი...), საჭიროებისამებრ, გამოიყენოს ლექსიკონი.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს სპეციალური სტატიები, რომლებიც სცილდება მისი საქმიანობის სფეროს, იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ლექსიკონის გამოყენების საშუალება ამა თუ იმ ტერმინის / პოლისემიური სიტყვის რომელიმე მნიშვნელობის დასაზუსტებლად.

შემსწავლელს შეუძლია მისი საქმიანობის ფარგლებში რთული ინსტრუქციების გაგება, რომლებიც შეიცავს დეტალურ აღწერილობას მოწყობილობის მოხმარებისა და უსაფრთხოების შესახებ, თუ აქვს ამ ინსტრუქციის განმეორებით გადაკითხვის საშუალება.

## მეტყველება

შემსწავლელს შეუძლია ჩაერთოს საკმაოდ ვრცელ საუბარში თითქმის ყველა თემაზე ზოგადი ინტერესების სფეროდან; ბუნებრივად და დაუბრკოლებლად მიიღოს მონაწილეობა ხმაურიან გარემოში მიმდინარე საუბარშიც კი; შეუძლია ქართულენოვან თანამოსაუბრესთან ილაპარაკოს იმდენად გამართულად, რომ არ გამოიწვიოს გაუგებრობა / უნებლივი დაცინვა.

შემსწავლელმა შესაძლოა წინადადების აგებისას დაუშვას უმნიშვნელო ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრა თვითონვე შეუძლია. იგი არ უშვებს ისეთ შეცდომებს, რომლებიც ამახინჯებს გამონათქვამის აზრს. ზოგადად, მისი მეტყველება ხასიათდება გრამატიკული სიზუსტის მაღალი დონით. შეუძლია გადმოსცეს სხვადასხვა ხარისხის ემოცია.

შემსწავლელს შეუძლია თანამიმდევრულად და დაწერილებით გადმოსცეს ესა თუ ის ამბავი ან პირადი განცდები, ისაუბროს შთაბეჭდილებებზე, გრძნობებზე, გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები.

შემსწავლელს შეუძლია პრობლემის კრიტიკულად აღწერა და პრობლემური სიტუაციიდან გამოსვლის დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩამოთვლა.

შემსწავლელს შეუძლია დეტალურად გადმოსცეს საკუთარი პროფესიული გამოცდილება; შეუძლია რთულ დიალოგში მონაწილეობა, ინფორმაციისა და რეკომენდაციების მიღება და გაცემა

პროფესიული საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებით; შეუძლია დაწვრილებით აღწეროს ნიუანსები და ფაქტობრივი მასალები შეადაროს ერთმანეთს.

შემსწავლელს შეუძლია ადვილად მიჰყვეს ქართულენოვან მოსაუბრეთა ემოციურ საუბარს; შეუძლია ზუსტად გადმოსცეს და დამაჯერებლად დაასაბუთოს საკუთარი აზრები და შეხედულებები რთულ თემებზე.

შემსწავლელს შეუძლია საუბრის დაწყება, აზრის გამოთქმა, საუბრის პროცესში შეკითხვების დასმა და საუბრის დასრულება; შეუძლია ინტერვიუს თავისუფლად წარმართვა წინასწარ დასახული გეგმიდან გადახვევის შემთხვევაშიც კი.

შემსწავლელს შეუძლია, დისკუსიის დროს არგუმენტების, ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების საშუალებით საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, დასაბუთება და დამტკიცება; ალტერნატიული შეხედულებების შეფასება; მას, ასევე, შეუძლია რეაგირება სხვათა არგუმენტებზე.

შემსწავლელს შეუძლია, მოხსენების წარდგენისას უპასუხოს ამ მოხსენების შესახებ დასმულ შეკითხვებს; ამასთანავე, ისე თავისუფლად ისაუბროს, რომ მსმენელს არ შეექმნას დაბრკოლება მისი ნათქვამის გაგებაში.

შემსწავლელს შეუძლია წარმატებით გაართვას თავი ისეთ სიტუაციებს (მაგ., დაჯარიმება, სასამართლოსთან ურთიერთობა, საგზაო შემთხვევები...), რომლებიც მისგან მოითხოვს სპონტანურ ენობრივ რეაგირებას.

## ნერა

შემსწავლელს შეუძლია მისთვის საინტერესო, აქტუალურ თემებზე ტექსტის (მაგ., ბუნებისა და ცხოველთა დაცვა, მსოფლიოს ახალი ამბები...) დაწერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის წინ წამოწევით.

შემსწავლელს შეუძლია ჰერნდეს აქტიური მიმოწერა სხვადასხვა თემაზე; შეუძლია წერილებში სხვადასხვა ემოციის გამოხატვა, პირად ინტერესებზე ხაზგასმა, კომენტარების გაკეთება იმ ადამიანის თვალსაზრისთან დაკავშირებით, რომელთანაც აქვს მიმოწერა.

შემსწავლელს შეუძლია ისეთი ტექსტის დაწერა, რომელშიც დეტალურად იქნება წარმოჩენილი მისი გამოცდილება, სხვადასხვა მოსაზრება, ემოცია.

შემსწავლელს შეუძლია კარგად ჩამოყალიბებული, დეტალური ტექსტის დაწერა წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე.

შემსწავლელს შეუძლია ფილმის, წიგნის ან სპექტაკლის შინაარსის დაწერა.

შემსწავლელს შეუძლია რაიმე ისტორიის (მაგ., მოგზაურობის ისტორია, კრიმინალური ან ფანტასტიკური ამბავი...) ვრცლად, ნათლად და ზუსტად ჩამოყალიბება.

შემსწავლელს შეუძლია არაერთი საინტერესო თემის შესახებ დეტალური ტექსტის დაწერა, სხვადასხვა პოზიციის ასახვა და ერთმანეთთან შედარება, საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვა.

შემსწავლელს შეუძლია პრობლემის არსის გადმოცემა, სისტემურად წარმოჩენა, მნიშვნელოვანი საკითხების წინ წამოწევა და წერილობითი დისკუსიის გამართვა.

შემსწავლელს შეუძლია წერილობით ტექსტებში დამოკიდებულებაზე, მიზეზებსა და შედეგებზე ვარაუდების გამოთქმა.

შემსწავლელს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ინფორმაციისა და არგუმენტების შეფასება და განზოგადებული ტექსტის დაწერა.

შემსწავლელს შეუძლია ისეთი მოხსენების/სტატიის დაწერა, რომელშიც მტკიცებულებები წარმოჩენილია სისტემურად, ხაზგასმულია ძირითადი მომენტები და ისეთი დეტალები, რომლებიც აძლიერებს მოხსენებაში წარმოდგენილ თვალსაზრისს.

## C1 დონე

### მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია კონკრეტული ინფორმაციის გაგება საზოგადოებრივ ადგილებში (სადგურზე, სტადიონზე, თვითმფრინავში...) მიწოდებული განცხადებებიდან ხმაურისა და ცუდი სმენადობის მიუხედავად.

შემსწავლელს შეუძლია ტელე- და რადიოგადაცემების / სხვადასხვა პროგრამის / ფილმების თითქმის თავისუფლად გაგება ენის არასტანდარტული გამოყენების პირობებშიც კი, ზუსტად ერკვევა მოსაუბრეთა ურთიერთდამოკიდებულებაში.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს რთული ტექნიკური ინფორმაცია.

შემსწავლელს თავისუფლად შეუძლია ლექციების, განხილვებისა და დისკუსიების გაგება.

შემსწავლელს დაუბრკოლებლად შეუძლია გაიგოს რთული მსჯელობები ჯგუფური განხილვის / დისკუსიის დროს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თემა აბსტრაქტულია / მისთვის უცნობია.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს იდიომატური თუ სასაუბრო გამოთქმების უმეტესობა, ამჩნევს მოსაუბრეთა ურთიერთდამოკიდებულებას, საუბრის სტილის შეცვლას.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს რთული და დიდი მოცულობის მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტები და მათი სტილური თავისებურებები, აღიქვამს ტექსტის წვრილმან დეტალებს.

შემსწავლელს შეუძლია ზედმინევნით გაიგოს ტექსტი აბსტრაქტულ და რთულ სპეციფიკურ თემებზე, რომლებიც მისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებს სცილდება, თუმცა, ზოგჯერ, სჭირდება დააზუსტოს ცალკეული დეტალები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მეტყველების სტილი მისთვის უცხოა.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ვრცელი მოხსენება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას არ გააჩნია მეტიოდ გამოხატული ლოგიკური სტრუქტურა და აზრობრივი კავშირი, იდეებს შორის ურთიერთმიმართება მხოლოდ იგულისხმება, მაგრამ არაა ნათლად გამოხატული.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს სხვადასხვა სახისა და შინაარსის ტექსტები, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც არასალიტერატურო ენითაა წარმოთქმული ან შეიცავს უცხო ტერმინოლოგიას.

შემსწავლელს შეუძლია თავისუფლად ჩაერთოს იმ ადამიანთა საუბარში, ვისთვისაც ქართული ენა მშობლიურია; ასევე ჯგუფურ დისკუსიებსა და დებატებში მაშინაც კი, თუ საუბრის თემები აბსტრაქტული, კომპლექსური ან მისთვის უცხოა.

### კითხვა

შემსწავლელს შეუძლია დაწვრილებით გაიგოს დიდი რთული ტექსტები / ვრცელი ინსტრუქციები იმის მიუხედავად, მიეკუთვნება თუ არა ისინი მისი ინტერესების / პროფესიული საქმიანობის სფეროს, მაგრამ უნდა ჰქონდეს რთული მონაკვეთების განმეორებით გადაკითხვის საშუალება.

შემსწავლელს შეუძლია ნებისმიერი წერილობითი ტექსტის გაგება, თუ საჭიროების დროს ექნება ლექსიკონის გამოყენების საშუალება.

შემსწავლელს შეუძლია პრაქტიკულად ყველა სტილის წერითი მეტყველების გაგება და ინტერპრეტაცია. მისთვის შეიძლება უცნობი იყოს ნაკლებად გამოყენებული ან არქაული ფორმები და გამოთქმები, მაგრამ ეს ფაქტობრივად არ უშლის მას ხელს მთლიანი ტექსტის გაგებაში.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს რთული და დიდი მოცულობის მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, განასხვაოს სტილი; ამ დონეზე შემსწავლელს ესმის სტატიებისა და ტექნიკური ინსტრუქციების სპეციფიკური ენა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ტექსტი სცილდება მისი პროფესიული საქმიანობის სფეროს.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ვრცელი, რთული ტექსტები სოციალურ, პროფესიულ და სამეცნიერო საკითხებზე; შეუძლია მიხვდეს ურთიერთდამოკიდებულებებისა და თვალსაზრისების როგორც ფარულ, ისე აშკარა ნიუანსებს. შესაძლოა რთული ტექსტის ზოგიერთი დეტალი მისთვის გასაგები გახდეს მხოლოდ განმეორებითი წაკითხვის შემდეგ; განსაკუთრებულ შემთხვევებში იყენებს ლექსიკონს.

## მეტყველება

შემსწავლელს შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა თავისუფლად, მოუმზადებლად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. იგი ფლობს მრავალფეროვან ლექსიკურ რეპერტუარს, რომელიც აძლევს საშუალებას დავიწყებული სიტყვა ხატოვნად ახსნას ან მისი განმარტებით / სინონიმით ჩანაცვლოს. იშვიათად მიმართავს სირთულეების დაძლევის სტრატეგიებს, მხოლოდ საუბრის რთულ თემას შეუძლია შეუშალოს ხელი საუბრის მაღალ დონეზე წარმართვაში.

შემსწავლელს შეუძლია ილაპარაკოს პრაქტიკულად ძალდაუტანებლად, თავისუფლად და სპონტანურად. მისი მეტყველების სწორი, ბუნებრივი დინება შეიძლება შეფერხდეს მხოლოდ რთული, ნაკლებად ნაცნობი სასაუბრო თემის შემთხვევაში.

შემსწავლელს შეუძლია მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებებით მანიპულირება, ემოციების, ალეზიების, იუმორის მოქნილად და ეფექტურად გამოყენება.

შემსწავლელს შეუძლია რამე თვალსაზრისის კრიტიკული ანალიზი, საუბარი ამ თვალსაზრისის სხვადასხვაგვარ განვითარებაზე შესაფერისი მაგალითების მოყვანით.

შემსწავლელს შეუძლია მოკლე, მკაფიოდ სტრუქტურირებული მოხსენებების გაკეთება რთულ თემაზე, ზოგიერთი მტკიცებულების განვითარება საკუთარი თვალსაზრისის შესახებ საკმაოდ გავრცობილი დამატებითი მსჯელობით, დასაბუთებებით, სათანადო მაგალითებით; შეუძლია თავი გაართვას ისეთ სიტუაციას, როდესაც აწყვეტინებენ საუბარს და, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, სხარტად გააგრძელოს საუბარი ან უპასუხოს მოსაუბრის შეკითხვას.

შემსწავლელს შეუძლია ინტერვიუში თავისუფლად მონაწილეობა როგორც ინტერვიუერის, ისე რესპონდენტის როლში, თემის თავისუფლად, სხვისი დახმარების გარეშე წამოჭრა და განვითარება ისე, რომ საუბრის შეწყვეტინების შემთხვევაშიც კი არ დაკარგოს საუბრის ძარღვი.

შემსწავლელს შეუძლია მკაფიოდ, დაწვრილებით აღწეროს რამე და რთულ თემებზე გააკეთოს მოხსენება, ჩამოაყალიბოს მტკიცებულებათა სისტემა, ჩაულრმავდეს ქვეთემებს, განავრცოს ცალკეული დებულება და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები.

შემსწავლელს შეუძლია დისკუსიის დროს შესაფერისი გამოთქმის შერჩევა და მისი გამოყენება საუბრის დასაწყისშივე, რათა მიიღოს სიტყვის თქმის უფლება და შეინარჩუნოს მოსაუბრის პოზიცია ან მარჯვედ დაუკავშიროს თავისი რეპლიკა მოსაუბრის რეპლიკას თემის განხილვის გაგრძელების მიზნით.

შემსწავლელს შეუძლია მეტყველების ნათლად, პაუზების გარეშე აგება და მისი სწორად ორგანიზება. მას ასევე შეუძლია მეტყველებისას ნამოჭრილი დაბრკოლების გადასალახავად ფორმულირების შეუფერხებლად შეცვლა. იგი მუდმივად იცავს გრამატიკული სისწორის მაღალ დონეს; იშვიათად უშვებს შეცდომებს, ხოლო პრაქტიკულად შეუმჩნეველი შეცდომის დაშვების შემთხვევაში, სწრაფადვე ასწორებს მას.

შემსწავლელს შეუძლია შეტყობინების თავისუფლად, შეუფერხებლად, ძალდატანების გარეშე, შინაარსის სიზუსტის დაცვისათვის მახვილისა და ინტონაციის გამოყენება.

## ნერა

შემსწავლელს შეუძლია მკაფიოდ და ზუსტად გამოხატოს საკუთარი აზრი პირად წერილებში, თავისუფლად გამოიყენოს ენობრივი მასალა ხუმრობისთვის, ემოციებისა და მინიშნებების გადმოსაცემად.

შემსწავლელს შეუძლია კარგად სტრუქტურირებული, ორგანიზებული, ნათლად ფორმულირებული ტექსტის დაწერა ნაირგვარი ენობრივი საშუალებისა თუ ადრესატისთვის შესაფერისი სტილის გამოყენებით.

შემსწავლელს შეუძლია გასაგები, ლოგიკურად აგებული, ვრცელი არაოფიციალური ტექსტის დაწერა.

შემსწავლელს შეუძლია რთულ თემებზე / პრობლემებზე ნათელი, კარგად სტრუქტურირებული ახსნა-განმარტების დაწერა და მასში მთავარი საკითხების გამოყოფა საკმაოდ ვრცელი დამატებითი მტკიცებულებების, მაგალითებისა და არგუმენტების მოშველიებით.

შემსწავლელს შეუძლია დაწეროს დიდი მოცულობის სხვადასხვა სახის ტექსტი (წერილი, ესე, მოხსენება...), რომელშიც მისი აზრი ზუსტად, ნათლად და დეტალურად იქნება გადმოცემული,

ხოლო ენობრივი საშუალებები - მოქნილად და ეფექტურად გამოყენებული.

შემსწავლელს შეუძლია თვალსაზრისის, აზრის, ალბათობის ხარისხის, ეჭვის, ვარაუდის გამოხატვა.

შემსწავლელს შეუძლია ტექსტის ელემენტების დალაგება, მისი აბზაცებად დაყოფა და მართლწერის წესების დაცვა, თუმცა გამორიცხული არ არის პუნქტუაციური და ორთოგრაფიული შეცდომები.

## C2 დონე

### მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია თვალყური ადევნოს კონფერენციას მისთვის უცხო თემაზე, რომელშიც მრავლად გამოიყენება უცნობი ტერმინები, დიალექტური ფორმები, პროფესიული გამოთქმები.

შემსწავლელს შეუძლია ისეთი ლექციების / მოხსენებების / გამოსვლების გაგება, რომლებიც სპეციალურ პრობლემებს აშექებს და რომლებშიც გამოიყენება იდიომატური გამოთქმები, მრავალფეროვანი ტერმინოლოგია.

შემსწავლელს შეუძლია ქართული ენის მატარებლისთვის ბუნებრივი სისწრაფით წარმოთქმული ნებისმიერი მეტყველების (ცოცხალისა თუ აუდიოჩანაწერის) გაგება.

შემსწავლელს შეუძლია საჯარო განცხადებების გაგება არახელსაყრელი თანმხლები პირობების შემთხვევაშიც (მაგ., როდესაც დეფორმირებულ ხმას ემატება გარე ხმაური სტადიონზე / სადგურზე).

შემსწავლელს შეუძლია თავისუფლად გაიგოს ნებისმიერი ტიპის კომპოზიციური თუ ენობრივი თვალსაზრისით რთული (ინსტრუქციები, სპეციალური სტატიები, მხატვრული ნაწარმოებები...) ან აბსტრაქტული ხასიათის ტექსტები.

შემსწავლელს შეუძლია ნებისმიერი შეტყობინების წვრილმანი ნიუანსების გაგება სირთულის გარეშე.

შემსწავლელს შეუძლია თავისუფლად გაიგოს ნებისმიერი სახის ახსნა-განმარტებები რთულ, პრობლემატურ თუ მიმდინარე საკითხებზე; საუბრის სტილიდან გამომდინარე, ზუსტად განსაზღვროს მოსაუბრის განწყობა.

შემსწავლელს, თუ საშუალება აქვს, რომ შეეგუოს მოსაუბრის აქცენტს, თავისებურ ან დიალექტურ მეტყველებას, შეუძლია ქართული ენის მატარებლის გაგება მაშინაც კი, როდესაც საუბარი ეხება აბსტრაქტულ, რთულ თემებს.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს არაფორმალური საუბარი მაშინაც კი, როცა მასში ხშირადაა გამოიყენებული სასაუბრო მეტყველებისთვის დამახასიათებელი გამოთქმები.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ფილმი, რომელშიც უხვადაა იდიომატური / სასაუბრო გამოთქმები, უარგონი, იუმორი, კულტურული ალუზიები.

### კითხვა

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს და კრიტიკულად შეაფასოს ნებისმიერი სახის მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტი (სტრუქტურული თვალსაზრისით რთული, აბსტრაქტულ თემებზე აგებული, სალიტერატურო თუ სასაუბრო ენით დაწერილი...).

შემსწავლელს შეუძლია ფართო სპექტრის მქონე ვრცელი რთული ტექსტების გაგება, მათი სტილური ნიუანსების შეფასება.

შემსწავლელს შეუძლია ტექსტის როგორც აშკარად გამოხატული, ასევე ფარული მნიშვნელობის მიხედრა.

შემსწავლელს შეუძლია დაბრკოლების გარეშე გაიგოს ნებისმიერი ტექსტი, რომელშიც არის რთული იდიომატური გამოთქმები და გრამატიკული კონსტრუქციები.

## მეტყველება

შემსწავლელს შეუძლია მშვიდად და სწორად წარმართოს საუბარი, არანაირი ენობრივი ბარიერი არ გააჩნია პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ურთიერთობისას.

შემსწავლელს შეუძლია არაფორმალურ საუბარში ხანგრძლივად მონაწილეობა და სრულიად თავისუფლად, მრავალფეროვანი ენობრივი საშუალების გამოყენებით, ნებისმიერ თემასა თუ საკითხზე მსჯელობა.

შემსწავლელს შეუძლია რთული თემის დაბეჭითებით, ნათლად მიწოდება ისეთი საზოგადოებისთვის, რომლისთვისაც ეს თემა უცხოა და თხრობის ისეთნაირად აგება, საკითხის იმგვარად გამარტივება, როგორსაც აუდიტორია მოითხოვს. მას შეუძლია შეკითხვებზე პასუხის გაცემა იმ შემთხვევებშიც კი, თუკი აუდიტორია მისადმი არაკეთილგანწყობილია.

შემსწავლელს შეუძლია რთული საკითხების ოფიციალური განხილვისას, მკაფიო და სარწმუნო არგუმენტების ფორმულირებით, კარგად წარმოაჩინოს თავისი აზრი და მის სისწორეში დაარწმუნოს აუდიტორია.

შემსწავლელს შეუძლია გამართული, კარგად სტრუქტურირებული ტექსტის ჩამოყალიბება, რომელსაც ექნება ლოგიკური აქცენტები და ეფექტურად დაეხმარება ადრესატს მნიშვნელოვანი მომენტების შემჩნევასა და დამასხსოვრებაში.

შემსწავლელს შეუძლია, საჭიროების შემთხვევებში (ენობრივი თუ სიტუაციური სირთულის შექმნისას), ნათქვამის მსმენელთაგან შეუმჩნევლად იმგვარად ფორმულირება ან შეცვლა, რომ მოსაუბრებ ვერც კი იგრძნოს ეს.

შემსწავლელს შეუძლია ძალიან კარგად წარმართოს დიალოგი და სრულიად თავისუფლად წარმართოს საუბარი ენის მატარებელთან როგორც რესპონდენტის, ისე ინტერვიუერის როლში.

შემსწავლელი კარგად ფლობს იდიომატურ და სასაუბრო გამოთქმებს, იცის მათი კონოტაციური მნიშვნელობები, ზუსტად იყენებს სიტყვის მნიშვნელობის ელფერსა და გამოთქმათა სახეცვლილებების ნაირგვარ საშუალებას.

შემსწავლელი მუდმივად ინარჩუნებს ქართული ენის გრამატიკის ფლობის მაღალ დონეს მაშინაც კი, როცა რთული მეტყველების დროს ყურადღება ეფანტება გარკვეული მიზეზის გამო (მაგ., მომდევნო წინადადებების დაგეგმვისას, სხვების რეაქციაზე დაკვირვებისას...).

## ნერა

შემსწავლელს შეუძლია თავისუფლად, გასაგებად და საინტერესოდ აღწეროს თავისი გამოცდილება და სხვადასხვა ისტორია.

შემსწავლელს შეუძლია რთული ტექსტების ნათლად, პუნქტრივად წერა ტექსტისთვის შესაბამისი სტილითა და გამართული ლოგიკური სტრუქტურით, რომელიც ეხმარება მკითხველს მთავარი დებულების აღქმაში.

შემსწავლელს შეუძლია რთული მოხსენების, სტატიის, ესეს თავისუფლად და გასაგებად წერა, ლიტერატურული ნაწარმოების არგუმენტირებული/კრიტიკული შეფასება; მის მიერ შედგენილი ტექსტის ლოგიკური სტრუქტურა ეხმარება მკითხველს რთული მონაკვეთების გაგებაში.

შემსწავლელს შეუძლია სხვადასხვა წყაროში არსებული ინფორმაციისა თუ არგუმენტების განზოგადება და მათ საფუძველზე გაბმული ტექსტის შექმნა.

შემსწავლელს შეუძლია ყველა ტიპის ტექსტის დაწერა; იგი მოქნილად იყენებს მრავალფეროვან ენობრივ საშუალებებს და კარგად ერკვევა ლექსიკური ერთეულების პოლისემიაში.

შემსწავლელს შეუძლია შეკრული, აზრობრივად გამართული ტექსტის შექმნა მაორგანიზებელი სტრუქტურის მთელი არსენალისა და ენობრივი საშუალებების გამოყენებით; იგი არ უშვებს ორთოგრაფიულ შეცდომებს.

შემსწავლელს შეუძლია შეკრული, აზრობრივად გამართული ტექსტის შექმნა ლექსიკონის გამოყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე გვაქვს უცნობი სფეროს ტერმინოლოგიასთან.

**სახელმწიფო ცნოს დეპარტამენტი**

**ბიულეტენი**  
||

**STATE LANGUAGE DEPARTMENT**

**Bulletin**  
||

თავისუს  
2019-2020



ISBN 978-9941-480-63-8

A standard linear barcode representing the ISBN number.

9 789941 480638

[www.enadep.gov.ge](http://www.enadep.gov.ge)